# საქართველოს ინგუშოლოგიური კორპუსი

# ИНГУШЕВЕДЧЕСКИЙ КОРПУС ГРУЗИИ

## III

### საქართველოს პერიოდული ბეჭდური გამოცემების ნარატივები ინგუშებისა და ინგუშეთის შესახებ (1846-1990 წწ.)

### НАРРАТИВЫ ПЕРИОДИЧЕСКИХ ПЕЧАТНЫХ ИЗДАНИЙ ГРУЗИИ ОБ ИНГУШЕТИИ И ИНГУШАХ (1846-1990 ГГ.)

თბილისი / Тбилиси
2026

პროექტი განხორციელდა თბილისის ინგუშური კულტურის ცენტრის მიერ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (CS-I-24-060)
Проект осуществлен Ингушским Культурным Центром г. Тбилиси при поддержке Национального Научного Фонда Грузии имени Шота Руставели (CS-I-24-060)
This work was implemented by the Ingushian Culture Center of Tbilisi with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (CS-I-24-060)

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ხვთისო მამისიმედიშვილი

Научный руководитель проекта:
ХВТИСО МАМИСИМЕДИШВИЛИ

პროექტის ავტორი და კოორდინატორი:
მარიამ ბეჟიტაშვილი

Автор и координатор проекта:
МАРИАМ БЕЖИТАШВИЛИ

მთავარი რედაქტორი:
ხვთისო მამისიმედიშვილი

Главный редактор:
ХВТИСО МАМИСИМЕДИШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:
ხამარზ კოსტოი, მარიამ ბეჟიტაშვილი, ბეჟან ხორავა, ქეთევან ხუციშვილი

Редакционная коллегия:
ХАМАРЗ КОСТОЙ, МАРИАМ БЕЖИТАШВИЛИ, БЕЖАН ХОРАВА, КЕТЕВАН ХУЦИШВИЛИ

თარგმანი:
ნათია ამირეჯიბი

Перевод:
НАТИА АМИРЭДЖИБИ

დიზაინი და დაკაბადონება:
დათო მოსიაშვილი

Дизайн и подготовка книги:
ДАТО МОСИАШВИЛИ

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, პროექტის ავტორის ნებართვის გარეშე

Запрещается перепечатывать, воспроизводить или распространять содержащиеся здесь материалы в коммерческих целях без разрешения автора проекта

© თბილისის ინგუშური კულტურის ცენტრი
© რუსთაველის ფონდი
© გამომცემლობა „ფავორიტი“

Ингушский Культурный Центр г. Тбилиси
Фонд Руставели
Издательство Favorite

ISBN 978-9941-8-8353-8 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-8-8458-0 (მესამე ტომის)

# წინასიტყვაობა

ბეჭდური მედიის როლი ისტორიის რეპრეზენტაციის პროცესში საყოველთაოდ აღიარებულია. პერიოდული გამოცემები ხშირად გადამწყვეტ წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ კონკრეტული ისტორიული ფაქტის, არამედ მისი აღქმის, ინტერპრეტაციისა და კონტექსტის შესწავლისათვის. მედიის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ისე საზოგადოებრივი პერცეფციების ანალიზის თვალსაზრისით.

პირველ რიგში, მედია-ნარატივები არ არის ნეიტრალური საინფორმაციო წყაროები; ისინი წარმოადგენენ ძალაუფლებრივ პრაქტიკებთან დაკავშირებულ დისკურსულ კონსტრუქციებს, რომლებიც განსაზღვრავენ, რა ხდება ხილული სივრცეში და რა – მარგინალიზებული ან დავიწყებული. შესაბამისად, ისტორიული მოვლენების მედია-რეპრეზენტაციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, როგორ ყალიბდებოდა, ტრანსფორმირდებოდა ან გადაიფარებოდა ისტორიული ცოდნა სხვადასხვა ეპოქაში.

მეორე მხრივ, საგაზეთო კორესპონდენციები და სტატიები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. თუ მანამდე ისტორიული ცოდნა ძირითადად ბიუროკრატიული ენით შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტებსა და სპეციალიზებულ ისტორიოგრაფიულ ტექსტებში კონსტრუირდებოდა, ბეჭდური მედიის განვითარებამ იგი უფრო ფართო საზოგადოებრივ სივრცეში გადაიტანა. გაზეთებმა და ჟურნალებმა შექმნა საერთო საინფორმაციო ველი, სადაც ისტორიული თემები ყოველდღიური ენობრივი პრაქტიკის ნაწილი გახდა.

მედიის ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, „საქართველოს ინგუშოლოგიური კორპუსის“ პროექტის ფარგლებში თავიდანვე განისაზღვრა საქართველოს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული, ინგუშეთსა და ინგუშებთან დაკავშირებული მასალების თავმოყრა და პუბლიკაცია. აქ მოიაზრებოდა საქართველოში გამოცემული ქართული და რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენციები და ანალიტიკური სტატიები, რომლებიც ასახავდა ინგუშებთან დაკავშირებულ აქტუალურ მოვლენებს, საზოგადოებრივ პროცესებსა და ისტორიულ გარემოებებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველებისა და ინგუშების მჭიდრო სამეზობლო და ისტორიული ურთიერთობები ბუნებრივად აისახა როგორც სახელისუფლებო, ისე ქართულ ეროვნულ პრესაში. კვლევის შედეგად გამოვლენილი პუბლიკაციები ქრონოლოგიურად XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება, ხოლო ზედა ზღვარი, კორპუსის კონცეფციის შესაბამისად, XX საუკუნის 90-იან წლებამდე განისაზღვრა. ამგვარად, წარმოდგენილია თითქმის საუკუნენახევრიანი პერიოდი, რომელიც მოიცავს რუსეთის იმპერიის კოლონიური მმართველობის ეპოქას, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მმართველობის ხანას და საბჭოთა პერიოდს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული ეტაპი, როდესაც ბეჭდური მედია ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკულად უალტერნატივო საშუალება იყო.

რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში საქართველო წარმოადგენდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციულ ცენტრს, ხოლო თბილისი – საგაზეთო სივრცის ერთ-ერთ მთავარ კერას. ბეჭდური მედიის ისტორია რეგიონში სწორედ თბილისში, 1819 წლის 21 მარტს დაიწყო.

საყურადღებოა, რომ XIX–XX საუკუნეებში საქართველოს ბეჭდური მედია ცენზურულ რეგულაციებს ექვემდებარებოდა. ქართული პრესის ცენზურის ისტორიის დასაწყისად 1837 წელი მიიჩნევა. 1874-1918 წლებში ბეჭდვით საქმიანობას აკონტროლებდა კავკასიის ცენზურის კომიტეტი (მოგვიანებით – კავკასიის ბეჭდვითი საქმის კომიტეტი) და თბილისის ტიპოგრაფიების ინსპექტორი. მედია მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ინსტრუმენტად იქცა, რომელიც იმპერიული ნარატივების გავრცელებას ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული პრესა მაინც ქმნიდა კომუნიკაციურ

სივრცეს, სადაც ეროვნული და რეგიონული საკითხები საჯარო განხილვის საგნად იქცა.

ინგუშეთის ისტორიისა და ინგუშური იდენტობის მარკერების – ეთნონიმიის, ტერიტორიის, ენისა და რელიგიის – რეპრეზენტაცია სწორედ ამ დისკურსულ სივრცეში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამავე დროს, მედიამასალების გამოყენება მოითხოვს მათი შექმნის პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტის კრიტიკულ გააზრებას.

ინგუშთა ეროვნული იდენტობის, ეთნოკულტურისა და ქართულ-ინგუშური ურთიერთობების შესახებ მასალა გამოვლინდა ქართულენოვან გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „ისარი“, „მიწა“, „საქმე“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“, „სოციალ-დემოკრატი“, „ლიტერატურული საქართველო“, „მებრძოლი საქართველო“, „თავისუფალი საქართველო“ და ჟურნალში „მწყემსი“. მნიშვნელოვანი რაოდენობის პუბლიკაციები მოვიძიეთ საქართველოში გამოცემულ რუსულენოვან სახელისუფლებო ბეჭდურ გამოცემებში, როგორებიცაა „კავკაზი“, „ვოლნი გორეცი“ და „ზარია ვოსტოკა“.

ტომის მომზადება ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა და მოიცავდა მასალების იდენტიფიცირებას, შერჩევას, გაციფრებას, რედაქტირებას, თარგმნას, თემატურ და ქრონოლოგიურ სტრუქტურირებას, რუბრიკებისა და სათაურების ფორმირებას. მასალები გაანალიზდა თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდით, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა თემატური ბლოკები და კონცეპტუალური სტრუქტურა. ანალიტიკურ სტილში იქნა დასათაურებული როგორც რუბრიკები, ასევე ცალკეული სტატიები. რადგან სტატიები ამა თუ იმ გაზეთიდან ხშირად ნეიტრალური და ტრივიალური სათაურებით იყო წარმოდგენილი (მაგალითად; ახალი ამბები, საშინაო უწყებანი, ადგილობრივი ამბები, კორესპონდენცია, არაოფიციალური ქრონიკა და სხვ.).

„კავკაზისა“ და „ვოლნი გორეცის“ მასალები ინგუშეთის ისტორიის მკვლევართა ყურადღების ცენტრში ადრეც მოქცეულა, მაგრამ კომპლექსური და სტრუქტურირებული სახით მათი გამოცემა ჩვენამდე არ განხორციელებულა. ამ ბლოკის პუბლიკაციების იდენტიფიცირებასა და საგამოცემოდ მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტის მონაწილემ, ინგუშმა მკვლევარმა ხამარზ კოსტოიმ. აღსანიშნავია, რომ ეს მასალები ქართულ ენაზე პირველად სწორედ წინამდებარე გამოცემის ფარგლებში გახდა ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება ქართულ პერიოდიკას, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ქართული ბეჭდური მედიის, როგორც ისტორიული წყაროს, მოხმობის მრავალმხრივი გამოცდილება, ინგუშური იდენტობისა და ქართულ-ინგუშური ურთიერთობების სისტემური კვლევა ბეჭდური მედიის საფუძველზე აქამდე არ განხორციელებულა. წარმოდგენილი ტომი ამ მხრივ ახალ კვლევით მიმართულებას აყალიბებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქართულენოვანი მედია-მასალები რუსული თარგმანის მეშვეობით უკვე ხელმისაწვდომი გახდება ინგუში და სხვა ეროვნების მკვლევართათვისაც.

საგაზეთო პუბლიკაციების გარდა, კორპუსის წინამდებარე ტომი, ისევე, როგორც პირველი და მეორე ტომები, აღჭურვილია წინასიტყვაობით, კვლვითი-ანალიტიკური სტატიით, ბიბლიოგრაფიით, გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებით და სარჩევით, რაც უზრუნველყოფს ტომის სტრუქტურულ მთლიანობასა და გამოყენების სიმარტივეს.

კვლევით-ანალიტიკურ სტატიაში „ინგუშეთი საქართველოს ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით“ წარმოდგენილია ტომში შეტანილ პერიოდულ გამოცემათა ნარატივების დისკურსული ანალიზი. იგი ეფუძნება სარედაქციო პოლიტიკის თავისებურებების, იდეოლოგიური კონტექსტის, საზოგადოებრივი პერცეფციებისა და კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესებზე დაკვირვებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ იცვლებოდა ინგუშებისა და ინგუშეთის რეპრეზენტაციის ფორმები სხვადასხვა პოლიტი-

კურ ეპოქაში, როგორ ყალიბდებოდა ეთნიკური იდენტობის მარკერები მედია-დისკურსში და რა გავლენას ახდენდა ეს საზოგადოებრივ აღქმებზე. ამავე სტატიაში შეფასებულია ტომში თავმოყრილი მასალების, როგორც ისტორიული წყაროს, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის მნიშვნელობა.

ტომის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი რესურსი აღმოჩნდა სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ დაცული პერიოდული გამოცემების ფონდი. ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომმა მასალებმა შესაძლებელი გახადა გამოცემათა სისტემური მოძიება გამოცემის თარიღის, ქრონოლოგიური ჩარჩოსა და თემატური საკვანძო სიტყვების მიხედვით. აღნიშნულმა ციფრულმა ინფრასტრუქტურამ მნიშვნელოვნად გაამარტივა კვლევითი პროცესი და უზრუნველყო მასალების ოპერატიული იდენტიფიცირება. ამასთანავე, რიგი გამოცემები, რომლებიც პროექტზე მუშაობის პერიოდში ჯერ არ იყო გაციფრებული, ადგილზე – ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და პერიოდულ გამოცემათა დარბაზებში – დამუშავდა. პუბლიკაციების მოძიებასა და გაციფრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტის მონაწილემ, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქეთევან ხუციშვილმა.

კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოები – მათ შორის მასალების თემატური და ქრონოლოგიური სისტემატიზაცია, რუბრიკების კონცეპტუალური ჩამოყალიბება და დასათაურება, წინასიტყვაობისა და კვლევით-ანალიტიკური სტატიის მომზადება – განხორციელდა მარიამ ბეჟიტაშვილის მიერ. ბიბლიოგრაფიისა და საძიებლების შედგენა, აგრეთვე ტომის სამეცნიერო რედაქტირება, შესრულდა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ხვთისო მამისიმედიშვილის მიერ. პასუხისმგებლობათა ამგვარმა განაწილებამ უზრუნველყო გამოცემის სტრუქტურული თანმიმდევრულობა და მეთოდოლოგიური სიზუსტე.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მასშტაბიდან და გეგმა-გრაფიკიდან გამომდინარე, საგამოცემოდ მომზადდა გამოვლენილი მასალების არა სრული ერთობლიობა, არამედ შერჩეული ნაწილი. შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო პუბლიკაციების თემატური რელევანტობა, ინფორმაციული სიღრმე, წყაროს უნიკალურობა და განმეორებადობის ხარისხი. გარკვეული მასალები გამორიცხულ იქნა ინფორმაციული დუბლირების ან ნაკლები თემატური მნიშვნელობის გამო. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მასალების მოცულობა და მრავალფეროვნება საკმარის საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ტომში ჩამოყალიბებული ნარატიული და კონცეპტუალური ხაზი რეპრეზენტატიულია და დამატებითი პუბლიკაციების ჩართვა არსებითად არ შეცვლიდა მის ძირითად შინაარსობრივ მიმართულებას. სხვადასხვა ტიპის წყაროების – ოფიციალური განკარგულებების, კორესპონდენციების, მიმოხილვითი მასალებისა და ანალიტიკური სტატიების – ინტეგრაციამ შესაძლებელი გახადა ნარატივების მრავალგანზომილებიანი წარმოდგენა და კვლევის შიდა ლიმიტაციების მაქსიმალური კომპენსირება.

რაც შეეხება კვლევის ეთიკურ სტანდარტებს, სანდოობასა და ვალიდურობას, ტომში შეტანილი თითოეული პუბლიკაცია სრულად არის დამოწმებული შესაბამისი პერიოდული გამოცემის დასახელებით, გამოქვეყნების თარიღითა და ნომრით. ციტირების ამგვარი სიზუსტე უზრუნველყოფს გამოყენებული მასალების გამჭვირვალობას, მათ გადამოწმებადობასა და შემდგომი კვლევითი გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული პრინციპი ემყარება აკადემიური პასუხისმგებლობისა და წყაროსადმი პატივისცემის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, რაც გამოცემას სამეცნიერო სანდოობასა და მეთოდოლოგიურ გამართულობას ანიჭებს.

მარიამ ბეჟიტაშვილი
თბილისის ინგუშური კულტურის
ცენტრის დირექტორი

# ПРЕДИСЛОВИЕ

Роль печатных средств массовой информации в процессе репрезентации истории общепризнана. Периодические издания нередко выступают ключевым источником не только для изучения конкретных исторических фактов, но и для анализа их восприятия, интерпретации и контекстуализации. Исследование медиа представляет значимость как с точки зрения анализа государственной политики, так и в аспекте изучения общественных перцепций.

Прежде всего, медийные нарративы не являются нейтральными информационными источниками; они представляют собой дискурсивные конструкции, сопряжённые с практиками власти, которые определяют, что становится видимым в публичном пространстве, а что – маргинализируется или предаётся забвению. Соответственно, анализ медийной репрезентации исторических событий позволяет проследить, каким образом историческое знание формировалось, трансформировалось или вытеснялось в различные эпохи.

С другой стороны, газетные корреспонденции и статьи играли важную роль в удовлетворении информационных потребностей общества и формировании общественного мнения. Если ранее историческое знание конструировалось преимущественно в официальных документах и специализированных историографических трудах, составленных бюрократическим языком, то развитие печатной прессы перенесло его в более широкое общественное пространство. Газеты и журналы создали общее информационное поле, в котором историческая проблематика стала частью повседневной языковой практики.

Исходя из указанной значимости медиа, в рамках проекта «Ингушеведческий корпус Грузии» изначально была поставлена задача выявления, систематизации и публикации материалов, посвящённых Ингушетии и ингушам, опубликованных в периодических изданиях Грузии. Речь идёт о корреспонденциях и аналитических статьях в грузино- и русскоязычных журналах и газетах, отражавших актуальные события, общественные процессы и исторические обстоятельства, связанные с ингушами.

Как и следовало ожидать, тесное соседство и исторические связи грузин и ингушей нашли отражение как в официальной, так и в национальной грузинской прессе. Выявленные в ходе исследования публикации хронологически охватывают период с 1840-х годов XIX века, тогда как верхняя граница, в соответствии с концепцией корпуса, определена до начала 1990-х гг. XX века. Таким образом, представлен почти полуторавековой временной отрезок, включающий эпоху колониального управления Российской империи, период независимых государственных образований 1918-1921 годов и советский этап. Особое значение имеет ранний период, когда печатная пресса фактически являлась безальтернативным средством распространения информации.

В период управления Российской империи Грузия представляла собой административный центр Кавказского наместничества, а Тбилиси – один из ключевых центров газетного пространства. История печатной прессы в регионе начинается 21 марта 1819 года именно в Тбилиси.

Следует отметить, что в XIX-XX веках печатная пресса Грузии функционировала в условиях цензурного регулирования. Началом истории цензуры грузинской печати принято считать 1837 год. В 1874-1918 годах издательская деятельность контролировалась Кавказским цензурным комитетом (позднее – Кавказским комитетом по делам печати) и инспектором тбилисских типографий. Медиа стали важным идеологическим инструментом распространения имперских нар-

ративов. Вместе с тем грузинская пресса формировала коммуникативное пространство, в котором национальные и региональные вопросы становились предметом публичного обсуждения.

Репрезентация истории Ингушетии и маркеров ингушской идентичности – этнонимии, территории, языка и религии – приобретает особую значимость именно в этом дискурсивном пространстве. В то же время использование медийных материалов требует их критического осмысления с учётом политического и исторического контекста их создания.

Материалы, касающиеся национальной идентичности ингушей, их этнокультуры и грузино-ингушских взаимоотношений, были выявлены в грузиноязычных изданиях: «Дроэба», «Иверия», «Цнобис пурцели», «Мегобари», «Исари», «Мица», «Сакмэ», «Эртоба», «Сакартвелос Республика», «Коммунисти», «Сакартвелос коммунисти», «Социал-демократи», «Литературули Сакартвело», «Мебрдзоли Сакартвело», «Тависупали Сакартвело», а также в журнале «Мцкемси». Значительное количество публикаций было обнаружено в русскоязычных официальных изданиях, выходивших в Грузии, таких как «Кавказ», «Вольный горец» и «Заря Востока».

Подготовка тома продолжалась более одного года и включала идентификацию, отбор, оцифровку, редактирование, перевод, тематическую и хронологическую систематизацию материалов, формирование рубрик и заголовков. Материалы были проанализированы методом качественного контент-анализа, на основании которого сформированы тематические блоки и концептуальная структура издания. Рубрики и отдельные статьи получили аналитически выверенные заголовки, поскольку в первоначальных публикациях нередко использовались нейтральные или формальные наименования («Новости», «Внутренние известия», «Местные события», «Корреспонденция», «Неофициальная хроника» и др.).

Материалы русскоязычных изданий «Кавказ» и «Вольный горец» ранее привлекали внимание исследователей истории Ингушетии, однако их комплексное и структурированное издание до настоящего времени не осуществлялось. Существенный вклад в идентификацию и подготовку данного блока публикаций внёс участник проекта, ингушский исследователь Хамарз Костой. Примечательно, что значительная часть этих материалов впервые стала доступна на грузинском языке именно в рамках настоящего издания.

Что касается грузинской периодики, несмотря на существование в специальной литературе обширного опыта использования грузинской печати в качестве исторического источника, систематическое исследование ингушской идентичности и грузино-ингушских отношений на основе материалов печатной прессы до настоящего времени не проводилось. Представленный том формирует новое направление исследований в данной области. Особое значение имеет то обстоятельство, что грузиноязычные материалы благодаря русскому переводу становятся доступными для исследователей-ингушеведов – как ингушей, так и представителей других национальностей.

Помимо газетных публикаций, настоящий том корпуса, как и первый и второй тома, включает предисловие, исследовательско-аналитическую статью, библиографию, указатели географических названий и подробное оглавление, что обеспечивает структурную целостность издания и удобство его использования.

В исследовательско-аналитической статье «Ингушетия в репрезентации печатной медиа Грузии» представлен дискурсивный анализ нарративов периодических изданий, вошедших в том. Анализ основан на изучении особенностей редакционной политики, идеологического контекста, механизмов формирования общественных перцепций и коллективной памяти. Особое

внимание уделено трансформации форм репрезентации ингушей и Ингушетии в различные политические эпохи, формированию маркеров этнической идентичности в медийном дискурсе и их влиянию на общественное восприятие. В статье также оценивается значение введения представленных материалов в научный оборот как исторического источника.

Важным ресурсом в процессе подготовки тома стал фонд периодических изданий, хранящийся в цифровой библиотеке «Ивериели» Национальной библиотеки Грузии имени Ильи Чавчавадзе. Доступ к электронной платформе позволил осуществлять системный поиск публикаций по датам выхода и тематическим ключевым словам. Данная цифровая инфраструктура существенно облегчила исследовательский процесс и обеспечила оперативную идентификацию релевантных материалов. Вместе с тем ряд изданий, не оцифрованных на момент работы над проектом, был изучен непосредственно в залах картвеловедения и периодики Национальной библиотеки. Существенный вклад в поиск и оцифровку публикаций внесла сотрудник библиотеки, участник проекта Кетеван Хуцишвили.

Исследовательская и аналитическая работа – включая тематическую и хронологическую систематизацию материалов, концептуализацию и формирование рубрик, подготовку предисловия и исследовательско-аналитической статьи – была осуществлена автором и исследователем проекта Мариам Бежиташвили. Составление библиографии и указателей, а также научное редактирование тома выполнены научным руководителем проекта Хвтисо Мамисимедишвили. Подобное распределение обязанностей обеспечило структурную целостность и методологическую точность издания.

Следует отметить, что ввиду масштабов исследования и установленного графика в издание вошла не вся совокупность выявленных материалов, а их отобранная часть. При отборе учитывались тематическая релевантность публикаций, информационная насыщенность, уникальность источника и степень повторяемости сведений. Ряд материалов был исключён в связи с дублированием информации либо меньшей значимостью. Тем не менее объём и разнообразие представленных публикаций позволяют считать сформированную нарративную и концептуальную линию репрезентативной; включение дополнительных материалов не изменило бы принципиально её основного содержательного направления. Интеграция различных типов источников – официальных распоряжений, корреспонденций, обзорных материалов и аналитических статей – обеспечила многомерное освещение проблемы и позволила максимально компенсировать внутренние ограничения исследования.

Что касается этических стандартов, достоверности и валидности исследования, каждая публикация, включённая в том, снабжена точными библиографическими данными – указанием наименования периодического издания, даты выхода и номера. Такая точность цитирования обеспечивает прозрачность использованных материалов, возможность их проверки и последующего научного использования. Данный принцип основывается на фундаментальных требованиях академической ответственности и уважения к источнику, что придаёт изданию научную достоверность и методологическую обоснованность.

МАРИАМ БЕЖИТАШВИЛИ
Директор Ингушского культурного
центра г. Тбилиси

# ინგუშეთი საქართველოს ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით

საქართველოში გამოცემული ბეჭდური მედიის ინგუშოლოგიური პუბლიკაციების კრებულში მოცულობითად წამყვან ადგილს იკავებს რუსულენოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ „კავკაზის“ მასალები. აღნიშნული გამოცემა სახელმწიფო/ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა და 1846-1918 წლებში, კავკასიის რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-სამხედრო სისტემაში ინტეგრირების პერიოდში, თბილისში გამოდიოდა. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა კავკასიის მეფისნაცვლის სამხედრო და ადმინისტრაციული ბრძანებები, კავკასიის ომის ქრონიკა, სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესების, ადმინისტრაციული კონტროლის გაფართოებისა და ეკონომიკური რესურსების ინტეგრაციის, ასევე სოციალური და სავაჭრო ურთიერთობების, საკითხები. ამასთანავე, გამოცემა ეთმობოდა ეთნოგრაფიულ-ნარატიულ ტექსტებსაც.

ჟანრული მრავალფეროვნების მიუხედავად, აღნიშნულ პუბლიკაციებს აერთიანებს საერთო ხედვის რეჟიმი: როგორ აღიქვამს და აღწერს ინგუშეთსა და ინგუშებს იმპერიული ეპოქის დამკვირვებელი – მოგზაური, სამხედრო, ადმინისტრატორი, მეცნიერი თუ კორესპონდენტი.

ტომში წარმოდგენილი პირველი რუბრიკა აერთიანებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ტექსტებს, რომლებიც ფორმალურად ეთნოგრაფიული ჩანაწერის, მოგზაურობის ნარკვევის ან კორესპონდენციის ჟანრს მიეკუთვნება, თუმცა არსობრივად იმპერიული ცოდნის წარმოების პროცესის დოკუმენტაციას წარმოადგენს. აქ ინგუშეთი და ინგუშები ნაჩვენებია არა მხოლოდ სამხედრო და ადმინისტრაციულ ანგარიშებში, არამედ ყოველდღიურობის აღწერაში. ამავე დროს, ტექსტები ასახავს მეცნიერულ დისკურსს, რომლის ფარგლებშიც ინგუშეთი განიხილება კავკასიური ისტორიის ერთ-ერთ გენეტიკურ კერად.

ინგუშური წყაროთმცოდნეობისათვის ეს მასალები განსაკუთრებით ღირებულია, რადგან იძლევა გარედან კონსტრუირებული ხატის გაანალიზების შესაძლებლობას. სწორედ აქ ყალიბდება ურთიერთგამომრიცხავი იმიჯები – „მშვიდობიანი მიწათმოქმედი“, „პოტენციური მებრძოლი“, „ძველი კულტურის მატარებელი“, „საზღვრის მცველი“ და სხვ. ინგუშური სოციუმი ხშირად წარმოჩნდება არასტაბილურობისა და ძალადობის პრიზმაში, რაც მას იმპერიული უსაფრთხოების დისკურსის მუდმივ ობიექტად აქცევს. ამ მრავალხმიანობაში მკაფიოდ იკითხება იმპერიული ცოდნის შიდა წინააღმდეგობები და ის ჩარჩოები, რომლებშიც ინგუშური ისტორია იწერებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამხედრო ექსპედიციებში მონაწილე პირებისა და მოგზაურთა (შეგრენი, ზისერმანი და სხვ.) ჩანაწერები, რომლებიც შეიცავს ეთნოგრაფიულ მონაცემებს რელიგიის, რიტუალის, საკრალური სივრცისა და ისტორიული მეხსიერების შესახებ. ტექსტებში მკვეთრად შეიმჩნევა იმპერიული შეფასებითი ტონი – „უვიცობის“, „ცრურწმენის“, „ველურობის“ ხაზგასმა, რაც აუცილებელს ხდის მათ კრიტიკულ წაკითხვას.

გაზეთ „კავკაზში“ ფართოდ არის წარმოდგენილი რუსეთის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ექსპანსიის ქრონიკა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, მათ შორის ინგუშეთის ტერიტორიაზე (1840-1850-იანი წლები). გზების გაყვანა, ტყეების გაკაფვა, ხეობების „გახსნა“, ფორტებისა და სტანიცების დაარსება კოლონიური კონტროლის სისტემურ ინსტრუმენტებს წარმოადგენდა. ამ პროცესში ინგუშეთის ისტორიული სივრცე ეტაპობრივად გარდაიქმნა სამხედრო-ოპერაციულ ზონად, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას უწევდა ან ახალ წესრიგთან შეგუება, ან საცხოვრებელი არეალის დატოვება.

სამხედრო აქტორების მოქმედებები ტექსტებში წარმოდგენილია, როგორც „ენერგიული“ და „წარმატებული“, მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციები მოიხსენიება, როგორც „აუცილებელი

ზომები“ ან „საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“. მსგავსი ლექსიკა ნიღბავს სოფლების გადაწვას, იძულებით გადაადგილებასა და სოციალური სტრუქტურების რღვევას. აქედან ჩანს, რომ გაზეთი „კავკაზი“ ფუნქციონირებდა არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ ლეგიტიმაციის ინსტრუმენტად.

იძულებითი გადასახლება ტექსტებში ნაჩვენებია, როგორც „დამშვიდებისა“ და „მმართველობის გამარტივების“ საშუალება. მთის მოსახლეობის ველზე ჩამოყვანა, რეგულარული დასახლებების ფორმირება და ადმინისტრაციული ზედამხედველობა კოლონიური მმართველობის სოციალურ არქიტექტურას ქმნიდა. ინგუშეთი აქ ხშირად წარმოდგენილია, როგორც ტერიტორია (ნაზრანი, ასა, სუნჯა), ადმინისტრაციული ერთეული (ნაზრანის საზოგადოება, გალაშქის საზოგადოება), ან სამხედრო რესურსი (მილიცია), თუმცა სწორედ ამ ობიექტივაციაში იკვეთება რეალური ისტორიული დინამიკა – სტრატეგიული სივრცეები, კონტროლის საზღვრები და სამხედრო ინფრასტრუქტურის ლოგიკა.

ინგუშური მილიციის მონაწილეობა იმავე ოპერაციებში, რომლებიც მეზობელი საზოგადოებების წინააღმდეგ იყო მიმართული, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს იძულებითი ჩართულობისა და შიდა დიფერენციაციის შესახებ. ეს საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იმპერიულ სტრუქტურაში ინტეგრაციისა და წინააღმდეგობის პარალელური პროცესები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგუშეთის სივრცე ეკონომიკურ-რესურსულ პერსპექტივაშიც გადაიაზრება. „კავკაზის“ მასალებში ასახულია ბუნებრივი რესურსების (მარილის, ნავთობის) აღმოჩენა და ეკონომიკური ათვისების მცდელობები, რაც მიუთითებს კოლონიური პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე – სამხედრო კონტროლიდან რესურსულ ინტეგრაციამდე.

ადმინისტრაციული და იურიდიული რეფორმები – ტერიტორიული გადახაზვა, მიწის რეგისტრაცია, კაზაკური სტანიცების ფორმირება – წარმოადგენდა ტრადიციული მიწათსარგებლობის სისტემის დელეგიტიმაციისა და იმპერიული სამართლის ნორმებით ჩანაცვლების მექანიზმს. ამგვარად, ინგუშეთის ისტორია იკითხება როგორც სამხედრო, ისე სივრცითი და იურიდიული ტრანსფორმაციების პროცესში.

ამ ნარატივებში რელიგიური სინკრეტიზმიც მკაფიოდაა ასახული – წარმართული, ქრისტიანული და ისლამური ელემენტების თანაარსებობა ინგუშთა რელიგიური იდენტობის მრავალფენიან ხასიათზე მიუთითებს.

ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ ინგუშური საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა რეგიონულ სავაჭრო ქსელებში, თუმცა სტრუქტურული შეზღუდვების პირობებში. საგადასახადო ტვირთი და ადმინისტრაციული ხარჯები ეკონომიკურ ზეწოლას ზრდიდა და ადაპტაციის ახალ ფორმებს წარმოშობდა.

კრიმინალის თემა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია. ინდივიდუალური დანაშაული ხშირად ეთნიკურ ნიშნად გარდაიქმნება, რაც კოლექტიური სტიგმატიზაციის ფორმას იღებს. პარალელურად, ტექსტებში ფიქსირდება თვითრეგულაციის პრაქტიკები – საზოგადოებრივი განაჩენები, ფიცის ინსტიტუტი, დაცვის ფორმირებების შექმნა, რაც ინგუშებს წარმოაჩენს, როგორც აქტორებს, რომლებიც საკუთარ საზოგადოებაში წესრიგის აღდგენას ცდილობენ.

განათლების საკითხი იმპერიული ეპოქის განმავლობაში განვითარების დინამიკას ასახავს – ზემოდან ინიცირებული „ცივილიზატორული“ პროექტებიდან ადგილობრივ თვითორგანიზებულ ინიციატივებამდე. ინგუშური სკოლა თანდათან იქცევა კულტურული და ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტად, რაც ეროვნული თვითრეფლექსიის ეტაპს აღნიშნავს.

ინგუშური წყაროთმცოდნეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეროვნული პერიოდიკის ნარატივებს. გაზეთები „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და „მწყემსი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ადრეულ ქართულ

ბეჭდურ წყაროს ინგუშთა შესახებ. აღნიშნული პუბლიკაციები ასახავს ქართულ საზოგადოებრივ აღქმებს, იძლევა მდიდარ მასალას ქართულ-ინგუშური ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად და, ამავდროულად, წარმოაჩენს ეთნოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს. ამ თვალსაზრისით, ის ქმნის ქართული ინგუშოლოგიური დისკურსის მნიშვნელოვან ფენას და გვევლინება მედიაცენტრულ წყაროდ, რომელიც ასახავს როგორც ფაქტობრივ მასალას, ისე მისი აღქმის ფორმებს.

1876-1903 წლების სტატიებში, „ინგუშის“ პარალელურად, მის აბსოლუტურ სინონიმებად გამოიყენება ეთნონიმები „ქისტი“, „ქიშტი“ და „ღლიღვი“. ქისტები წარმოჩენილნი არიან, როგორც ვლადიკავკაზის გზის ზონის მნიშვნელოვანი მოსახლეობა – ტრანზიტული სივრცის აქტიური მონაწილეები – რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა.

პუბლიკაციებში გამოიკვეთება რამდენიმე ძირითადი თემატური ხაზი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გველეთელი ქისტების გადასახლების საკითხი. კორესპონდენციები მკაფიოდ ემიჯნება კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს და „ავაზაკობის ბუნებითობის“ დისკურსს, ხოლო გადასახლებას აფასებს არა პრევენციულ ღონისძიებად, არამედ დამაზიანებელ ნაბიჯად. აღნიშნული პოზიცია მიუთითებს, რომ იმპერიული ადმინისტრაციული ჩარჩოს მიუხედავად, ქართული საზოგადოებრივი აზრი ავლენდა თანაგრძნობასა და სოლიდარობას მეზობელი კავკასიელი ხალხის მიმართ.

„ცნობის ფურცელში“ ინგუშის ხატი პოლარიზებული და მრავალშრიანია. იგი ერთდროულად აერთიანებს ემპათიასა და კრიტიკას, უსაფრთხოების შიშს და ეთნიკურ-სოციალური ურთიერთობების გაანალიზების მცდელობას, რაც მეტყველებს დისკურსის შიდა წინააღმდეგობებსა და საზოგადოებრივ მერყეობაზე.

ქართული მემარცხენე ნაციონალისტური პარტიის ბეჭდურ ორგანოებში – „მეგობარი“, „მიწა“ და „ისარი“ – ინგუშები წარმოდგენილნი არიან იმპერიული ძალის „გარე ელემენტად“. აქ აქტიურდება სტერეოტიპიზაციის მექანიზმი: ისინი აღწერილნი არიან, როგორც სამხედრო-პოლიციური, სადამსჯელო დანაყოფების წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოში. ამავე საინფორმაციო სივრცეში იკვეთება ცნობები ინგუშურ საზოგადოებაში მიმდინარე შიდა დისკუსიის შესახებ: რეპრესიულ სტრუქტურებში მონაწილეობა პრობლემატურად აღიქმება. ინგუშ ჩაფრებს თანამემამულეები სამსახურის დატოვებისა და სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებენ და თუ ისინი ამას არ შეასრულებენ, ბოიკოტითა და სამშობლოდან გაძევებით ემუქრებიან.

განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ აისახა და ტრანსფორმირდა ქართულ ბეჭდურ სივრცეში 1944 წლის 23 თებერვლის ტრაგედია – ინგუშთა დეპორტაცია. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შეიძლება გამოიყოს მეხსიერების სამი რეჟიმი: დუმილი, პროტესტი და ისტორიული რეფლექსია. საბჭოთა ეპოქაში მეხსიერება ინსტიტუციურად იჩაგრებოდა (გაზ. „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“), ემიგრაციულ სივრცეში კი (გაზ. „მებრძოლი საქართველო“) შენარჩუნებისა და გადაცემის ფორმას იძენდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში (გაზ. „თავისუფალი საქართველო“) იწყება მისი ინსტიტუციონალიზაცია და სამართლებრივი კატეგორიებით განსაზღვრა, რასაც ტრაგედია კოლექტიური მეხსიერებიდან სამართლებრივ დისკურსში გადაჰყავს.

რუბრიკაში „ინგუშეთთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში (1941-1970-იანი წწ.)“ წარმოდგენილი პუბლიკაციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეხსიერების წარმოების განსხვავებული რეჟიმების დისკურსული არქივი. აქ ვხვდებით ინსტიტუციურად, აკადემიურად და იდეოლოგიურად ფორმირებულ წარმოდგენებს ინგუშეთსა და ქართულ-ინგუშურ ურთიერთობებზე.

რუბრიკის მასალა წარმოაჩენს მეხსიერების სამი თანაარსებული ფორმის ურთიერთქმედე-

ბას: ინსტიტუციურ-აკადემიურ მეხსიერებას (ლინგვისტიკა, ფილოლოგია), კულტურულ-ეთნოგრაფიულ მეხსიერებას (მემკვიდრეობა, საველე კვლევები) და იდეოლოგიურად კოდიფიცირებულ ისტორიულ მეხსიერებას (საბჭოთა ისტორიოგრაფია). კორპუსის ეს ნაწილი, როგორც დისკურსული არქივი, გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალა, არამედ ის მეხსიერებითი ჩარჩოები, რომლებშიც ინგუშეთის თემა ქართულ საჯარო და აკადემიურ სივრცეში ფორმირდებოდა.

ბოლო რუბრიკაში წარმოდგენილი სტატიები ასახავს საბჭოთა გვიანი პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ ინფრასტრუქტურულ პროექტს – კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის მცდელობას. ეს ტექსტები არ შემოიფარგლება ტექნიკური ან ეკონომიკური პრობლემატიკის აღწერით; ისინი წარმოაჩენს საბჭოთა მოდერნიზაციის ლოგიკის კრიზისს, როდესაც გრანდიოზული საინჟინრო კონცეფცია ეჯახება კულტურულ მეხსიერებას, ბუნებრივ გარემოსა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას.

აღნიშნულ რუბრიკასთან კავშირში ტომს DVD დისკის სახით ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონოფონდში დაცული დოკუმენტური ფილმი „კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის კვალდაკვალ: ინგუშეთი“, რომელიც ვიზუალური წყაროს სახით ავსებს ტექსტურ მასალას და აფართოებს ანალიზის ინტერპრეტაციულ ველს.

წინამდებარე ტომში თავმოყრილი ნარატივები წარმოადგენს „საქართველოს ინგუშოლოგიური კორპუსის“ მნიშვნელოვან კომპონენტს. ისინი ავსებს კორპუსის I ტომში წარმოდგენილ ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს და II ტომში თავმოყრილ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალასა და არქეოლოგიურ არტეფაქტებს. ამგვარად, კორპუსი არა მხოლოდ წყაროების კრებულად, არამედ ინგუშური საზოგადოების ისტორიული განვითარების მრავალგანზომილებიანი ანალიზის პლატფორმად ყალიბდება – დოკუმენტურ სივრცედ, სადაც იკვეთება იდენტობის ფორმირების, რეპრეზენტაციისა და მეხსიერების სტრუქტურები. აღნიშნული გამოცემა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კავკასიოლოგიურ კვლევებში და გააძლიერებს ინგუშური წყაროთმცოდნეობის პოზიციონირებას თანამედროვე ჰუმანიტარულ დისკურსში.

მარიამ ბეჭიტაშვილი
კავკასიის ისტორიის მკვლევარი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პედაგოგი

# ИНГУШЕТИЯ В РЕПРЕЗЕНТАЦИИ ПЕЧАТНОЙ МЕДИА ГРУЗИИ

В собрании ингушеведческих публикаций, изданных в печати Грузии, по объёму ведущее место занимают материалы русскоязычной общественно-политической и литературной газеты «Кавказ». Данное издание являлось государственным/официальным органом и выходило в Тбилиси в 1846-1918 гг., в период интеграции Кавказа в административно-военную систему Российской империи. На его страницах публиковались военные и административные распоряжения кавказского наместника, хроника Кавказской войны, материалы о миграционных процессах, связанных с военными операциями, вопросы расширения административного контроля и интеграции экономических ресурсов, а также сведения о социальных и торговых отношениях. Наряду с этим газета включала этнографические и нарративные тексты.

Несмотря на жанровое разнообразие, данные публикации объединяет общий режим видения: каким образом наблюдатель имперской эпохи – путешественник, военный, администратор, учёный или корреспондент – воспринимает и описывает Ингушетию и ингушей.

Первая рубрика тома объединяет тексты второй половины XIX века, формально относящиеся к жанру этнографической записи, путевого очерка или корреспонденции, однако по существу представляющие собой документацию процесса производства имперского знания. Ингушетия и ингуши здесь показаны не только в военных отчётах и административных рапортах, но и в описаниях повседневности. Одновременно тексты отражают научный дискурс, в рамках которого Ингушетия рассматривается как один из генетических очагов кавказской истории.

Для ингушского источниковедения эти материалы представляют особую ценность, поскольку позволяют проанализировать образ, созданный извне. Именно здесь формируются взаимоисключающие имиджи – «мирный земледелец», «потенциальный воин», «носитель древней культуры», «страж границы» и др. Ингушский социум нередко репрезентируется через призму нестабильности и насилия, что превращает его в постоянный объект имперского дискурса безопасности. В этой полифонии отчётливо просматриваются внутренние противоречия имперского знания и те рамки, в которых писалась ингушская история.

Особого внимания заслуживают записи участников военных экспедиций и путешественников (Шегрен, Зиссерман и др.), содержащие этнографические сведения о религии, ритуале, сакральном пространстве и исторической памяти. В текстах отчётливо проявляется имперский оценочный тон – акцент на «невежестве», «суеверии», «дикости», что делает необходимым их критическое прочтение.

В газете «Кавказ» широко представлена хроника военно-административной экспансии Российской империи в центральной и восточной частях Северного Кавказа, в том числе на территории Ингушетии (1840-1850-е гг.). Прокладка дорог, вырубка лесов, «открытие» ущелий, основание фортов и станиц являлись системными инструментами колониального контроля. В ходе этих процессов историческое пространство Ингушетии постепенно трансформировалось в военно-операционную зону, где местное население вынуждено было либо адаптироваться к новому порядку, либо покидать ареал проживания.

Действия военных акторов в текстах представлены как «энергичные» и «успешные», тогда как операции против местного населения обозначаются как «необходимые меры» или «обеспечение безопасности границы». Подобная лексика маскирует сожжение селений, насильственные

перемещения и разрушение социальных структур. Тем самым газета «Кавказ» функционировала не только как информационный ресурс, но и как инструмент легитимации.

Принудительное переселение в текстах конструируется как средство «умиротворения» и «упрощения управления». Перемещение горного населения на равнину, формирование регулярных поселений и административный надзор создавали социальную архитектуру колониального управления. Ингушетия здесь нередко представляется как территория (Назрань, Асса, Сунжа), административная единица (Назрановское общество, Галашевское общество) или военный ресурс (милиция). Однако именно в этой объективации проявляется реальная историческая динамика – стратегические пространства, границы контроля и логика военной инфраструктуры.

Участие ингушской милиции в операциях, направленных против соседних обществ, поднимает важные вопросы о принудительной вовлечённости и внутренней дифференциации. Это позволяет рассматривать параллельные процессы интеграции в имперскую структуру и сопротивления ей.

Во второй половине XIX века пространство Ингушетии переосмысляется и в экономико-ресурсной перспективе. В материалах «Кавказа» отражены открытия природных ресурсов (соли, нефти) и попытки их хозяйственного освоения, что свидетельствует о трансформации колониальной политики – от военного контроля к ресурсной интеграции.

Административные и юридические реформы – территориальное перекраивание, регистрация земель, формирование казачьих станиц – выступали механизмами делегитимации традиционной системы землепользования и её замещения нормами имперского права. Таким образом, история Ингушетии прочитывается как процесс военных, пространственных и правовых трансформаций.

В этих нарративах отчётливо отражён и религиозный синкретизм – сосуществование языческих, христианских и исламских элементов, что указывает на многослойный характер религиозной идентичности ингушей.

Анализ экономической политики показывает, что ингушское общество активно участвовало в региональных торговых сетях, однако в условиях структурных ограничений. Налоговая нагрузка и административные издержки усиливали экономическое давление и порождали новые формы адаптации.

Тема криминала является одной из наиболее проблематичных. Индивидуальное преступление часто трансформируется в этническую характеристику, приобретая форму коллективной стигматизации. Одновременно в текстах фиксируются практики саморегуляции – общественные приговоры, институт присяги, создание охранных формирований, – что позволяет рассматривать ингушей как акторов, стремившихся к восстановлению порядка в собственном обществе.

Проблематика образования отражает динамику развития в имперскую эпоху – от инициированных «сверху» цивилизационных проектов к локальным самоорганизованным инициативам. Ингушская школа постепенно превращается в инструмент культурного и экономического развития, обозначая этап национальной саморефлексии.

Для ингушского источниковедения особое значение имеют нарративы грузинской национальной периодики. Газеты «Дроеба», «Иверия», «Цнобис пурцели» и «Мцкъемси» представляют собой одни из ранних грузинских печатных источников об ингушах. Эти публикации отражают грузинские общественные восприятия, предоставляют богатый материал для изучения истории грузино-ингушских взаимоотношений и одновре-

менно выявляют этнографические, социальные и политические измерения. В этом смысле они формируют важный слой грузинского ингушеведческого дискурса и выступают медиоцентричным источником, фиксирующим как фактический материал, так и формы его восприятия.

В статьях 1876-1903 гг. наряду с этнонимом «ингуш» в качестве его абсолютных синонимов употребляются «кисти», «киштu» и «глигви». Кисты представлены как значительное население зоны Военно-Грузинской дороги – активные участники транзитного пространства, связывавшего Грузию с Северным Кавказом.

В публикациях выделяется несколько ключевых тематических линий. Особого внимания заслуживает вопрос переселения гвелетских кистин. Корреспонденции отчётливо дистанцируются от принципа коллективной ответственности и дискурса «природной разбойничьей склонности», оценивая переселение не как превентивную меру, а как шаг, наносящий ущерб. Данная позиция свидетельствует о том, что, несмотря на существование в рамках имперской административной системы, грузинское общественное мнение проявляло сочувствие и солидарность по отношению к соседним кавказским народам.

В «Цнобис пурцели» образ ингуша поляризован и многослоен. Он одновременно включает эмпатию и критику, страхи, связанные с безопасностью, и попытки анализа этнических и социальных отношений, что указывает на внутренние противоречия дискурса и общественные колебания.

В печатных органах грузинской левой националистической партии – «Мегобари», «Мица» и «Исари» – ингуши представлены как «внешний элемент» имперской силы. Здесь активизируется механизм стереотипизации: они описываются как представители военно-полицейских, карательных подразделений в Западной Грузии. В том же информационном поле фиксируются сведения о внутренних дискуссиях в ингушском обществе, где участие в репрессивных структурах воспринималось проблематично: «соотечественники призывают ингушских стражников уйти со службы и вернуться на родину Если они не подчинятся, им объявят бойкот и они будут изгнаны с родины» (газета «Мица», 1906, №6).

Особый интерес представляет то, как в грузинском печатном пространстве отразилась и трансформировалась трагедия 23 февраля 1944 года – депортация ингушей. В отношении данного события можно выделить три режима памяти: молчание, протест и историческая рефлексия. В советскую эпоху память институционально подавлялась (газеты «Коммунисти», «Заря Востока»), тогда как в эмигрантском пространстве сохранялась и передавалась («Мебрдзоли Сакартвело»). В постсоветский период начинается её институционализация и определение в правовых категориях, что переводит трагедию из сферы коллективной памяти в плоскость правового дискурса («Тависупали Сакартвело»).

В рубрике «Научно-исследовательская и издательская деятельность, связанная с Ингушетией, в Грузии (1941-1970-е гг.)» представленные публикации можно рассматривать как дискурсивный архив различных режимов производства памяти. Здесь представлены институционально, академически и идеологически сконструированные представления об Ингушетии и грузино-ингушских отношениях.

Материалы рубрики демонстрируют взаимодействие трёх сосуществующих форм памяти: институционально-академической (лингвистика, филология), культурно-этнографической (наследие, полевые исследования) и идеологически кодифицированной исторической памяти (советская историография). Эта часть корпуса как дискурсивный архив позволяет увидеть не только фактический материал, но и те мемориальные рамки, в которых тема Ингушетии формирова-

лась в грузинском публичном и академическом пространстве.

Статьи, представленные в заключительной рубрике, отражают один из наиболее противоречивых инфраструктурных проектов позднесоветского периода – попытку строительства Закавказской перевальной железной дороги. Эти тексты не ограничиваются технической или экономической проблематикой; они выявляют кризис логики советской модернизации, когда грандиозная инженерная концепция сталкивается с культурной памятью, природной средой и общественной ответственностью.

В связи с данной рубрикой к тому прилагается DVD-диск с документальным фильмом «По следам Кавказской перевальной железной дороги: Ингушетия», хранящимся в кинофонде Национального музея Грузии. Фильм дополняет текстовый материал в качестве визуального источника и расширяет интерпретационное поле анализа.

Нарративы, собранные в настоящем томе, являются значимым компонентом «Ингушеведческого корпуса Грузии». Они дополняют представленные в I томе грузинские нарративные и документальные источники, а также фольклорно-этнографические материалы и археологические артефакты II тома. Тем самым Корпус формируется не только как собрание источников, но и как платформа для многомерного анализа исторического развития ингушского общества – как документальное пространство, в котором выявляются структуры формирования идентичности, репрезентации и памяти. Настоящее издание внесёт существенный вклад в кавказоведческие исследования и укрепит позиции ингушского источниковедения в современном гуманитарном дискурсе.

МАРИАМ БЕЖИТАШВИЛИ
Историк, приглашенный преподаватель
Тбилисского государственного университета
имени Иване Джавахишвили

# «КАВКАЗ»

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА,
ОФИЦИАЛЬНОЕ ПРАВИТЕЛЬСТВЕННОЕ ИЗДАНИЕ
(на русском языке)

**1846-1918**

# „კავკაზი“

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი,**
**მთავრობის ოფიციალური / სახელმწიფო გამოცემა**
(რუსულ ენაზე)

ГОДЪ СЕМЬДЕСЯТЪ ТРЕТІЙ
КАВКАЗЪ
ГОДЪ ДЕВЯТЫЙ.
1854.
КАВКАЗЪ
Годъ шестьдесятъ девятый
КАВКАЗЪ

РЕЛИГІОЗНЫЕ ОБРЯДЫ

По Кавказу.

Ингушскій съѣздъ.

Будетъ-ли обойденъ Владикавказъ?

БЕСѢДА

# ИНГУШЕТИЯ ГЛАЗАМИ НАБЛЮДАТЕЛЯ: ПРОСТРАНСТВО, ОБЩЕСТВО И ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ НАРРАТИВЫ В ТЕКСТАХ ПУТЕШЕСТВЕННИКОВ И КОРРЕСПОНДЕНТОВ XIX ВЕКА

# ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ: ᲡᲘᲕᲠᲪᲔ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲨᲘ

## ВОСПОМИНАНИЕ О КИСТАХ

### [Из записок А. Зиссермана]

... После небольшаго перевала мы увидели верховья реки Ассы с разбросанными по берегам ея галгаевскими деревнями. Все пространство, до поворота реки к северу в общество Галашевцев, представляет ряд не больших холмов, покрытых мелким кустарником; вообще местность очень живописна и резко отделяется от предшествовавших ущелий дико-однообразных, от галашевскаго, где берега круче, скалисты отвесы и не показывают такого плодородия. Галашевцы[1] ничем не разнятся от других Кистин; они должно-быть только богаче своих соседей: замечательная опрятность в одежде, отделка оружия в часто встречавшиеся нам верховые, – ясно показывали, что туземцы, покорные правительству, умеют пользоваться удобной почвой земли и не дальним разстоянием Владикавказа, где они сбывают свои произведения.

Женщины тоже гораздо миловиднее, чище одеваются, и, как видно, подражают черкешенкам в искустве украшать свои сорочки и архалухи узорчатыми позументами собственнаго изделия. Пройдя ущелье, мы приблизились к местам, представлявшим более всего опасности: лесистый перевал, разделявший нас от Тарской долины, всегда служит притоном галашевским

[1] Галгаевцы (Зиссерман не был в Галашевском обществе. Источник: Журнал для чтения воспитанникам Военно-учебных заведений, том CXIII № 451, Санкт-Петербург , 1855, стр. 270. – Примеч. Х. Костой.

## ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲥᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ

### [ა. ზისერმანის ჩანაწერებიდან]

... მცირე უღელტეხილის გადავლის შემდეგ ჩვენ თვალწინ მდინარე ასის ზემო დინება გაიშალა, მის ნაპირებზე მიმოფანტული ღლიღვური სოფლებით. ვიდრე მდინარე ჩრდილოეთით, გალაშქეს თემში გადაუხვევს, მთელი სივრცე დაბალი ბუჩქნარით დაფარული მცირე ბორცვების რიგითაა წარმოადგენილი. ზოგადად, ადგილი ძალზე თვალწარმტაცია და მკვეთრად განსხვავდება ველურად ერთფეროვანი ხეობებისგან, გალაშქესგან, სადაც ნაპირები უფრო ციცაბოა, ფრიალო კლდეებია და ასეთ ნაყოფიერებას არ ავლენს. გალაშქელები სხვა ქისტებისგან არაფრით განსხვავდებიან[1]; ისინი მხოლოდ თავიანთ მეზობლებზე მდიდრები უნდა იყვნენ: ტანსაცმლის შესამჩნევი პეწი, იარაღის მოჭედილობა, რაც ხშირად შეგვხვდა მდინარის ზემო დინებისას, აშკარად მიუთითებდა, რომ ხელისუფლებისადმი მორჩილ ადგილობრივებს მიწის ნაყოფიერი ნიადაგით და ვლადიკავკაზის სიახლოვით სარგებლობა შეეძლოთ, სადაც ისინი საკუთარ ნაწარმს ასაღებენ. ქალები ასევე ბევრად უფრო სანდომიანები არიან, ჩაცმულნი უფრო სუფთად და, როგორც ჩანს, პერანგებისა და ახალუხების გაფორმების ხელოვნებაში, მათივე მოხატული სირმებით, ჩერქეზ ქალებს

[1] ღალღაელები. ზისერმანი არ იყო გალაშქის საზოგადოებაში (წყარო: ჟურნალი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების აღსაზრდელთათვის, ტ. CXIII, N 451, სანქტ-პეტერბურგი, 1855, გვ. 270). – ხ. კოსტოის შენიშვნა.

хищникам. Все меры осторожности были приняты, оружие осмотрено. Но все оказалось напрасным: мы верно предприняли свое путешествие при благоприятном стечений небесных светил, как уверяли Шатильцы, и благополучно пробрались чрез густой лес, покрывающий весь хребет леваго берега Ассы, хотя нам стоило это неимоверных трудов: от частых дождей все тропинки сделались почти непроходимыми, и ноги вязли до колен в глинистой грязи. На одной поляне Бехо показывал нам место лагеря отряда Г. Розена, когда он покорял Галгаевцев. К вечеру достигли мы возвышения, с котораго виднелась вся огромная равнина между Тереком и Кубанью, и все протяжение главнаго хребта от Казбека до Эльбруса. Тарская долина, заселенная Ингушами, скорее походила на часть какой-нибудь степной губернии, чем на поселение Кавказскаго племени: деревянные дома с соломенными крышами и плетенными заборами, пасущиеся кой-где стада и табуны заставляли думать, будто идем по земле мирных хлебопашцев, живущих без тревоги и опасностей; между тем, у каждаго стада лежали вооруженные пастухи, у ворот деревень на крышах стояли часовые, зорко оглядывавшие всю окрестность и жители не выходили из дому без оружия. Меня поразило на этой долине безчисленное множество могил с воткнутыми разноцветными значками, в роде флюгеров; они ставятся на могилах убитых в делах воинов.

Напрасны были наши надежды достигнуть крепости до ночи. Стемнело, полил сильный дождь, при резком северном ветре; мокрые, голодные, усталые мы едва передвигали ноги, не видя конца утомительнаго пути; на каждом шагу мы думали наткнуться на партию каких нибудь байгушей, пользующихся подобной погодой. Однако всему бывает конец, и мы вдруг увидали огоньки. Надежда на теплую комнату, и другия удобства, прибавила нам силы и чрез пол-часа

ბაძავენ. ხეობის გავლის შემდეგ იმ ადგილებს მივადექით, რომლებიც ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდნენ: ტყით დაფარული უღელტეხილი, რომელიც ტარსკის ხეობას გვაშორებდა, ყოველთვის გალაშქელი მტაცებლების ბუნაგს წარმოადგენდა. სიფრთხილის ყველა ზომა მივიღეთ, შევამოწმეთ იარაღი. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა: ჩვენ სწორად განვიზრახეთ მოგზაურობა ციური სხეულების მდებარეობის გამოთვლით, რაშიც შატილელები გვარწმუნებდნენ და უსაფრთხოდ გავიარეთ უღრანი ტყე, რომელიც მდინარე ასის მარცხენა ნაპირის მთელ ქედს ფარავს. თუმცა, ეს წარმოუდგენელ ჯაფად დაგვიჯდა: ხშირი წვიმების გამო ყველა ბილიკი თითქმის გაუვალი იყო და ფეხები მუხლებამდე თიხიან ტალახში გვეფლობოდა. ერთ ველზე ბეხომ გ[რაფ] როზენის რაზმის ბანაკის ადგილი გვიჩვენა, სადაც ის ღილღველებს იპყრობდა. საღამოს გორაკს მივაღწიეთ, საიდანაც მთელ სიგრძეზე, ყაზბეგიდან იალბუზამდე, თერგსა და ყუბანს შორის მდებარე ვრცელი ველი და მთავარი ქედი გამოჩნდა. ინგუშებით დასახლებული ტარსკის ველი სტეპის გუბერნიის ნაწილს უფრო ჰგავდა, ვიდრე კავკასიური ტომის სამყოფელს: ხის სახლები ჩალის სახურავებით და წნული ღობეებით, აქა-იქ საძოვარზე გაშვებული ნახირი და ჯოგები გვაფიქრებინებდა, რომ უშფოთველად მცხოვრებ მშვიდობიან მხვნელ-მთესველთა მიწაზე მივდიოდით; ამასობაში ყველა ჯოგს შეიარაღებული მწყემსები დარაჯობდნენ, სოფლის კარიბჭეებთან, სახურავებზე მორიგეები იდგნენ და ფხიზლად უმზერდნენ მთელ არემარეს, ხოლო მოსახლეობა სახლებს იარაღის გარეშე არ ტოვებდა. მე ამ ხეობაში უამრავმა საფლავმა გამაოგნა, რომლებსაც ფლუგერის მსგავსი ფერადი ნიშნები ჰქონდათ დადგმული; ასეთ ფლუგერებს ბრძოლის დროს დაღუპული მეომრების საფლავებზე დგამენ.

უშედეგო იყო ჩვენი იმედი, დაღამებამდე მიგვეღწია ციხე-სიმაგრემდე. დაბნელდა, თა-

мы уже готовились вступать в крепость. Вдруг, пушечный выстрел, другой, третий... Трудно передать страх, отчаяние овладевшие нами в эту минуту! Чтобы это значило?! Верно крепость в блокаде, неприятель близко, мы не можем идти вперед... не ужели возвращаться... Но пальба утихла; мы стали прислушиваться: до нас дошел звон церковных колоколов... Тогда только вспомнили мы, что это ночь пред Пасхой, в 12 часов были встречены пушечными выстрелами... Еще труднее передать переход от сильного отчаяния к радостному чувству, когда мы и поздравили друга друга с праздником и благополучным окончанием опаснаго предприятия. В крепости долго смотрели на наши костюмы, в которых мы походили на оборванных байгушей или выбежавших из плена и еще долее не верили нашему путешествию по местам, где едва ли кто-нибудь решался прежде нас пройти с конвоем из трех туземцев...

**Арнольд Зиссерман**

Октябрь 1851 г. С. Казанище

Газета «Кавказ», 1851, №94 (11 декабря), Тифлис.

## КОРРЕСПОНДЕНЦИЯ «КАВКАЗА» ИЗ НАГОРНАГО ОКРУГА

### [Происхождение родов из Цори, Ако и Галгая]

...Три названные выше вида Чеченского племени (ауховцев, зандаковцев и беноевцев), составляя в сущности одно племя, рознятся между собою как по характеру, так и по степени развития; этому способствовали топографические условия населяемых ими мест и занятия. Кроме того, как народ молодой, они считаются между собою родами по родоначальникам, вышедшим из горского участка ингушевскаго округа, именно из Цори, Ако и Галгая…

Газета «Кавказ», 1866, №53 (10 июля), Тифлис

ვსხმა წვიმა წამოვიდა ჩრდილოეთის მძაფრ ქართან ერთად; დასველებულები, მშივრები, დაღლილები ძლივს ვადგამდით ფეხს. დამქანცველ გზას ბოლო არ უჩანდა; ყოველ ნაბიჯზე გვეგონა, სადმე ბაიყუშებს გადავეყრებოდით, რომლებიც მსგავსი ამინდით სარგებლობენ. თუმცა ყველაფერი მთავრდება და უცებ შუქები დავინახეთ. თბილი ოთახისა და სხვა სიკეთეების იმედმა ძალა შეგვმატა და ნახევარი საათის შემდეგ უკვე ციხეში შესასვლელად ვემზადებოდით. უცებ ზარბაზნის ხმა გაისმა, მეორე, მესამე... ძნელია გადმოგცეთ ის შიში და სასოწარკვეთა, რომელიც იმ წამს დაგვეუფლა! რას ნიშნავდა ეს?! ალბათ ციხე-სიმაგრე ბლოკადაშია, მტერი ახლოსაა, წინ ვერ წავალთ... ნუთუ უკან უნდა დავბრუნდეთ... მაგრამ სროლა შეწყდა; ყური მივუგდეთ: ჩვენამდე ეკლესიის ზარების რეკვამ მოაღწია... მხოლოდ მერე გაგვახსენდა, რომ აღდგომის წინა ღამე იყო, 12 საათს ზარბაზნის სროლით შეხვდნენ... ძლიერი სასოწარკვეთიდან სიხარულის განცდაზე გადასვლის გადმოცემა კიდევ უფრო რთულია, როდესაც ერთმანეთს სახიფათო წამოწყების წარმატებით დასრულებას და დღესასწაულს ვულოცავდით. ციხესიმაგრეში დიდხანს ათვალიერებდნენ ჩვენს სამოსს, რომელშიც კონკიჟღარუნა ბაიყუშებს ან ტყვეობიდან გამოქცეულებს უფრო ვგავდით და კიდევ დიდხანს არ სჯეროდათ ჩვენი მოგზაურობისა იმ ადგილებში, სადაც, სავარაუდოდ, ჩვენამდე არავის გაუბედავს კოლონით, სამი ადგილობრივო მკვიდრისგან შემდგარი ბადრაგით წასვლა...

**არნოლდ ზისერმანი**

1851 წლის ოქტომბერი სოფ. კაზანიშჩე.

გაზეთი „კავკაზი“, 1851, №94 (11 დეკემბერი), ტფილისი.

## С ДОРОГИ

**[Ингушские селения глазами путешественника]**

…На пути в Назрань мы свернули с большой дороги и нам пришлось проехать несколько ингушевских аулов; аулы эти представляют довольно красивый вид: улицы, распланированы правильными кварталами и обсажены деревьями. Нам: непришлось узнать – сделано-ли это по собственной инициативе обывателей или по распоряжению начальства – впрочем, в обоих случаях это утешительное явление: в первом показывает любовь к красоте и порядку, а во втором – мягкий и послушный характер. Мужчины большею частью кейфуют по улице, а женщины занимаются разными домашними работами и, между прочим, носят воду в больших кувшинах, придерживая их сзади ремнем у пояса, что придает им античный библейский характер…

Газета «Кавказ» 1871, №95 (15 августа),
Тифлис.

## ИЗ ТЕРСКОЙ ОБЛАСТИ

**[Поселения в Ингушетии]**

…На десятой версте чрез речку Камбилеевку – мост, а прежде ездили в брод, что при возвышении воды было небезопасно, а иногда и невозможно. В бывшем укреплении помещается школа земледельческая, в которой туземные мальчики приготовляются быть руководителями сельскаго хозяйства, среди своих единоплеменников, ингушей, карабулаков и осетин. На 12-й версте ингушевский аул Базоркина и, не доезжая до Назрана и за Назраном, по обеим сторонам балки, расположены так называемые назрановские аулы; в начале одного из них столб и доска с надписью: «селение Насыр-кортовское». (Ингуши и чеченцы селение это называют Нéсер-корт. Корт значить голова.) О прежних набегах вольнице и помину нет; даже не все мо-

## „კავკაზის“ კორესპონდენცია მთიანი ოლქიდან

**[ცორიდან, აქოდან და ღილღოდან გამოსული თეიფები]**

...ზემოთ დასახელებული ჩეჩნური ტომის სამი სახეობა (ახოელები, ზანდაკელები და ბენოელები), რომლებიც არსებითად ერთ ტომს ქმნიან, ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ხასიათით, ისე განვითარების დონით. ამას ხელი შეუწყო მათ მიერ დასახლებული ადგილების ტოპოგრაფიულმა პირობებმა და საქმიანობამ. გარდა ამისა, როგორც ახალგაზრდა ერი, ისინი ერთმანეთში ინგუშეთის ოლქის მთიანი ნაწილიდან გამოსულ თეიფებად/საგვარეულოებად, კერძოდ, ცორიდან, აკოდან და ღილღოდან გამოსული წინაპრების მიხედვით იყოფიან...

გაზეთი „კავკაზი“, 1866, №53 (10 ივლისი),
ტფილისი.

## ᲒᲖᲘᲓᲐᲜ

**[მოგზაურის თვალით დანახული ინგუშური სოფლები]**

...ნაზრანისკენ მიმავლებმა მთავარ გზას გადავუხვიეთ და ინგუშების რამდენიმე აულის გავლა მოგვიწია; ეს აულები საკმაოდ მშვენიერ იერსახეს ავლენენ: ქუჩებს სწორი კვარტლების დაგეგმარება აქვთ და ხეები მიუყვება. ჩვენ ვერ მოვახერხეთ გარკვევა, ეს ადგილობრივ მკვიდრთა ინიციატივით მოხდა თუ უფროსობის ბრძანებით, თუმცა, ორივე შემთხვევაში, დამამშვიდებელი მოვლენა იყო: პირველი – რომ სილამაზისა და წესრიგის მიმართ სიყვარულს ავლენდა, მეორეც – რბილ და მორჩილ ხასიათს. კაცები ძირითადად ქუჩაში ერთობიან, ქალები კი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქმეს აკეთებენ, მათ შორის, დიდი დოქებით წყალი მოაქვთ, ზურგის მხრიდან ქამრით წელზე მიმაგრებული, რაც მათ ძველ ბიბლიურ ხასიათს სძენს...

გაზეთი „კავკაზი“ 1871, №95 (15 აგვისტო),
ტფილისი.

гут указать, где были повешены главные зачинщики последняго назрановскаго бунта, в 1858 году. Каково развитие между туземцами можно видеть из того, что в несколько дней, на пятнадцати верстном разстоянии по дороге насадили они деревья.

Ямщики до Грознаго большею частью казанские татары, с русскими именами: так, ямщик, везший меня из Назрана, назывался Савкой. Прежний небезопасный спуск, особенно во время грязи, теперь хорошо шоссирован. На Назрановской станции застал компанию театралов, провожавших актеров и актрис из Владикавказа, которые поехали в Баку – зарабатывать деньгу. На 10-й версте от Назрана станица Карабулакская, беднейшая из станиц Терской области, хотя и в ней заметно преуспеяние. Церкви нет, а старый молитвенный дом, с покосившейся колокольней. В станице Троицкой скирды хлеба и благообразная церковь говорят о довольстве казаков.

Газета «Кавказ», 1874, №58 (22 мая), Тифлис.

## ЗАМЕТКА ОТНОСИТЕЛЬНО ВРЕМЕНИ ПОЯВЛЕНИЯ И РАСПРОСТРАНЕНИЯ ЧУМЫ НА КАВКАЗЕ, В АРМЕНИИ И В АНАТОЛИИ, В ТЕЧЕНИЕ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX-ГО СТОЛЕТИЯ. – Д-РА ТОЛОЗАНА

### [Чума в Ингушетии]

…В 1807 г. чума достигла до Георгиевска и Моздока, а в конце того-же года возобновилась по всему Кавказу. В ноябре она опустошила Малую Кабарду и страну Ингушей и дошла даже до Кубани и далее Ставрополя, появившись вместе с тем близ Астрахани между татарскими племенами….

Газета «Кавказ», 1875, №128 (2 ноябрь), Тифлис.

## თერგის ოლქიდან

### [დასახლებები ინგუშეთში]

…მეათე ვერსზე ხიდია მდინარე კამბილეევკაზე, ხოლო მანამდე [ვიდრე ხიდს ააგებდნენ] ფონით გადადიოდნენ, რაც წყლის დონის აწევისას სახიფათო და ზოგჯერ შეუძლებელი იყო. ყოფილ ციხესიმაგრეში სასოფლო-სამეურნეო სკოლაა, სადაც სოფლის მეურნეობის საქმეების ხელმძღვანელებად ამზადებენ ადგილობრივ ბიჭებს, თანატომელებს: ინგუშებს, ყარაბულაკელებსა და ოსებს. მე-12 ვერსზე არის ინგუშური აული ბაზორკინო, ხოლო ნაზრანამდე და ნაზრანის შემდეგ, ხეობის ორივე მხარეს, მდებარეობს ე.წ. ნაზრანის აულები; ერთ-ერთი მათგანის დასაწყისში არის ბოძი და დაფა წარწერით: „სოფელი ნასირ-კორტოვსკოე“ (ინგუშები და ჩეჩნები ამ სოფელს ნესირ-ქორთს ეძახიან. „ქორთ“ ნიშნავს თავი). აზატების მხრიდან უწინდელი დარბევების ხსენებაც არ არის; ყველას იმის მითითებაც კი არ შეუძლია, თუ სად ჩამოახრჩვეს 1858 წელს ნაზრანის ბოლო ამბოხის მთავარი წამქეზებლები. როგორია განვითარების დონე ადგილობრივებს შორის, იქიდან ჩანს, რომ რამდენიმე დღეში, გზის გასწვრივ თხუთმეტი ვერსის მანძილზე, ხეები დარგეს.

გროზნოში მიმავალი მეეტლეები, ძირითადად, ყაზანელი თათრები არიან, რუსული სახელებით: მაგალითად, მეეტლეს, რომელმაც ნაზრანიდან წამიყვანა, სავკა ერქვა. დაღმართი, რომელიც ადრე სახიფათო იყო, განსაკუთრებით ატალახებისას, ახლა კარგად არის დაგებული. ნაზრანის სადგურზე თეატრალების კამპანია დამხვდა, რომლებიც ვლადიკავკაზელ მსახიობებს (ქალებსა და კაცებს) აცილებდნენ, ისინი ფულის საშოვნელად ბაქოში მიემგზავრებოდნენ. ნაზრანიდან ათი ვერსის დაშორებით არის სტანიცა ყარაბულაკი, თერგის ოლქის ყველაზე ღარიბი დასახლება, თუმცა იქაც შესამჩნევია წინსვლა. ეკლესია არ არის, თუმცა არის ძველი სამლოცველო სახლი გადახრილი სამრეკლოთი. ტროიცკის სტანი-

## О ДОИСТОРИЧЕСКОЙ АРХЕОЛОГИИ ВООБЩЕ И КАВКАЗСКОЙ В ОСОБЕННОСТИ

IV. ... Здесь-же на изображениях амазонов вы видите полный кавказский костюм, в том числе черкесские узкие панталоны и кожаные башмаки, употреблявшиеся и у скифов, да кроме того и военные доспехи, пики, стрелы и щит, имеющий дугообразную форму и сплетенный с деревом, тот самый, который был в употреблении в древности у кавказских племен и поныне употребляют галгайцы или ингуши...

**Дмитрий Бакрадзе.**

Газета «Кавказ», 1877, №132 (5 июля),
Тифлис.

## КУРЬЕЗЫ БОЛЬШОЙ ПРЕССЫ

Не раз уже нам приходилось отмечать разные курьезы и диковинки о Кавказе, появляющиеся на столбцах нашей большой, столичной прессы. Очевидно, что и до-сих-пор Кавказ представляет для многих живой интерес и поэтому, вероятно, газеты дают охотно место всякому желающему поделиться с читающею публикою впечатлениями и наблюдениями, вынесенными даже из мимолетной поездки в этот заманчивый уголок России. Разными интересными сообщениями и статьями о Кавказе изобиловали газеты в минувшую войну, благодаря наезду сюда корреспондентов от многих столичных газет, но должно быть сообщения эти уже изгладились из памяти читающей публики, и вот некий А. М. обязательно возобновляет их в «Письмах с Кавказа».

Перед нами два письма этого автора, помещенные в № № 1655 и 1657 газеты Новое Время. В этих письмах что ни строка-то поразительное невежество автора, бессмысленная фраза или такая диковинка, какой, пожалуй, не встретить и в разсказах из «Тысячи и одной ночи». Предоცაში მარცვლეულის ზვინები და ლამაზი ეკლესია კაზაკების დოვლათზე მიუთითებს.

გაზეთი „კავკაზი“, 1874, №58 (22 მაისი),
ტფილისი.

## შენიშვნა კავკასიაში, სომხეთსა და ანატოლიაში შავი ჭირის გაჩენისა და გავრცელების შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში – დოქტორი ტოლოზანი

**[შავი ჭირი ინგუშეთში]**

...1807 წელს შავმა ჭირმა გეორგიევსკსა და მოზდოკს მიაღწია, ხოლო იმავე წლის ბოლოს მთელ კავკასიაში განახლდა. ნოემბერში მან მცირე ყაბარდო და ინგუშების ქვეყანა გააჩანაგა და ყუბანსა და შემდგომ სტავროპოლს მიაღწია, ამავე დროს გამოჩნდა ასტრახანის მახლობლად თათრულ ტომებში...

გაზეთი „კავკაზი“, 1875, №128 (2 ნოემბერი),
ტფილისი.

## ზოგადად პრეისტორიული არქეოლოგიის და მისი კავკასიური თავისებურებების შესახებ

...აქ, ამაზონების გამოსახულებებზე თქვენ ხედავთ სრულ კავკასიურ კოსტიუმს, მათ შორის, ჩერქეზულ ვიწრო შარვალს და ტყავის ფეხსაცმელს, რომელსაც სკვითებიც იყენებდნენ, გარდა ამისა, სამხედრო ჯავშანს, შუბებს, ისრებს და ფარს, რომელსაც რკალისებრი ფორმა აქვს და ხესთან გადაწნულია, სწორედ ისეთს, როგორსაც ჯერ კიდევ ძველი კავკასიური ტომები იყენებდნენ და დღემდე იყენებენ ღილღველები და ინგუშები...

**დიმიტრი ბაქრაძე**

გაზეთი „კავკაზი“, 1877, №132 (5 ივლისი),
ტფილისი.

ставляем, впрочем, оценить эти перлы замечательного пустомельства самим читателям.

…Исследовав Владикавказ в той форме, образцы которой мы представили сейчас, А. М. отправляется на Темир-Хан-Шуру и весь путь держит «вдоль прежняго праваго фланга» (эка полюбился ему правый фланг там, где был левый!), встречая первое большое поселение Назрань, «главный аул в Большой Чечне», в 30 верстах от Владикавказа. Мы опять принуждены рекомендовать г. А. М. карту Кавказа, чтобы он мог убедиться, что никакого главнаго аула Большой Чечни Назрана не существует, что близ бывшаго укр. Назрань сгруппировано несколько аулов ингушскаго племени и что Большая Чечня, начинающаяся на правом берегу р. Аргуна, отстоит от этих аулов не ближе 70 верст. Описав устройство домов и мечетей в главном ауле Назрань и налюбовавшись вдоволь садами, пахатными полями и покосами, А. М. заканчивает умилительную картину следующими словами: «Кое-где пасутся стада буйволов и баранов, а из-за загороди вылезают на дорогу свиньи и гуси». Вот и прекрасно, что наконец нас просветил г. А. М. и во-очию, так-сказать, доказал существование в среде чеченцев-магометан новой отрасли хозяйства – свиноводства. О, Магомет! Что-то ты скажешь, увидевши, как твои правоверные сыны размножают свиней, жрут сало и коптят небо дымом, прошедшим чрез окорока свиней...

Газета «Кавказ», 1880, №284 (23 октября),
Тифлис.

## დიდი პრესის კურიოზები

ჩვენ ხშირად ვაწყდებით კავკასიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კურიოზსა და უცნაურობას, რომელიც ჩვენი დედაქალაქის პრესაში იბეჭდება. ცხადია, კავკასია ბევრ ადამიანში დღემდე დიდ ინტერესს იწვევს და შესაძლოა, სწორედ ამიტომ, გაზეთები ადვილად უთმობენ თავის სივრცეს ყველას, ვისაც სურს მკითხველ საზოგადოებას გაუზიაროს თავისი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები რუსეთის ამ მიმზიდველ კუთხეში, თუნდაც ხანმოკლე ვიზიტიდან.

ბოლო ომის მიმდინარეობისას, დედაქალაქის გაზეთების კორესპონდენტების კავკასიაში მოგზაურობის წყალობით [პრესა] სავსე იყო კავკასიის შესახებ სხვადასხვა საინტერესო რეპორტაჟითა და სტატიით. თუმცა, ეს ცნობები, როგორც ჩანს, მკითხველი საზოგადოების მეხსიერებიდან უკვე წაიშალა და ახლა ვინმე ა.მ. განაახლებს მათ [ციკლით] „წერილები კავკასიიდან“. აქ მოცემულია ამ ავტორის ორი წერილი, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ 1655 და 1657 ნომრებში. ამ წერილების ყოველი სტრიქონი ავტორის გასაოცარ უმეცრებას, უაზრო ფრაზას ან ისეთ უცნაურობას ასახავს, როგორსაც, ალბათ, „ათას ერთი ღამის“ ამბებშიც ვერ შეხვდებით. თუმცა, მკითხველს საშუალებას ვაძლევთ, თავად შეაფასოს ცარიელი ლაყბობის ეს საოცარი მარგალიტები.

…ვლადიკავკაზის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ფორმით შესწავლის შემდეგ, ა.მ. თემირ-ხან-შურისკენ მიემართება და მთელ მარშრუტს „ყოფილი მარჯვენა ფლანგის გასწვრივ“ მიჰყვება (როგორ შეუყვარდა მარჯვენა ფლანგი იქ, სადაც მარცხენა იყო!) და ვლადიკავკაზიდან 30 ვერსის დაშორებით აწყდება პირველ დიდ დასახლებას – ნაზრანს – „დიდი ჩეჩნეთის მთავარ აულს“. კვლავ იძულებულნი ვართ, ბატონ ა.მ.-ს კავკასიის რუკა ვურჩიოთ, რათა დარწმუნდეს, რომ დიდი ჩეჩნეთის ამგვარი „მთავარი აული“, ნაზრანი, არ არსებობს, რომ ინგუშთა ტომის რამდენიმე აული ყოფილი ნაზრანის

## ГЛАВНЫЕ ГОРНЫЕ ПРОХОДЫ В КАВКАЗСКИХ ГОРАХ, СЛУЖИВШИЕ ГОРЦАМ ДЛЯ НАБЕГОВ

У восточных писателей проход этот назывался Седди-Алгун, а иногда именовали его Аланскими воротами, потому что чрез него проходили Аланские племена. Недалеко отсюда находился и город Шабран. Предание гласит, что Алгунская стена построена была Кеянидским царем Исфендияром около 485 года до Р.Х. (Ксеркс) и что она была возобновлена Сассанидским царем Шапуром и исправлена персидским царем Анушереваном.

На счет Алгунскаго прохода существует и другое мнение, что будто бы теснина Алгунская получила свое название от имени аула Алгун, на верхнем Шато-Аргуне, которая запирала собою самый низкий перевал из реки Ассы, против Сунжи. Так-как аул Алгун с ущельями Мередж и Ардон находились в Хевсуретии, по близости общества Кистин и Цори, то проходы эти получили у восточных народов название Бабуль-Куст. Здесь-же находятся скалистыя ворота ущелья Тергис-Кари, чрез которыя р. Асса прорывается в Кистети.

Третьим проходом или воротами считались Дарияльское и Трусовское ущелья. Местные татары называли его Дар-Иол, т. е. узкая или тесная дорога. Древнейшия сооружения этой грозной теснины, в которой висят над головою скалы, приписывается карталинскому царю Мепе-Мирвану (150 или 162 г. до Р. Х.), который построил здесь укрепление с воротами, а восточные писатели утверждают, что укрепление это сооружено было персидским царем Дарием Гиштапсом для защиты от набегов скифских племен и что оно было возобновлено царем Исфендияром (Ксерксом). Так-как в восточной оконечности Кавказа обитали алане, то арабские писатели: Маасуди, Идриси, Абул-Фет и проч. называли его Аланскими воротами, где Исфендияр держал гарнизон для удержания алан от

ციხესიმაგრის მახლობლადაა დაჯგუფებული და რომ დიდი ჩეჩნეთი, რომელიც მდინარე არღუნის მარჯვენა ნაპირიდან იწყება, ამ აულებიდან 70 ვერსითაა დაშორებული. მთავარ აულ ნაზრანში სახლებისა და მეჩეთების განლაგების აღწერისა და ბაღების, სახნავ-სათესი მინდვრებისა და სათიბების მაღალფარდოვანი აღწერის შემდეგ, ა.მ. გულისამაჩუყებელ სურათს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „აქა-იქ კამეჩებისა და ცხვრების ჯოგები ბალახობენ, ღორები და ბატები კი ღობეების ღრიჭოებიდან გზაზე გამოდიან“. მშვენიერია, რომ ბატონმა ა.მ.-მ საბოლოოდ გაგვანათლა და, ასე ვთქვათ, საკუთარი თვალით დაგვანახა ჩეჩენ მაჰმადიანებში მეურნეობის ახალი დარგის – მეღორეობის – არსებობა. ო, მუჰამედ! რას იტყვი, თუ როდესაც დაინახავ, შენი მართლმორწმუნე შვილები ღორებს როგორ ამრავლებენ, ღორის ქონს სანსლავენ და ზეცას ღორის შებოლილი ბარკლის კვამლით, ჭვარტლავენ.

გაზეთი „კავკაზი“, 1880, №284 (23 ოქტომბერი), ტფილისი.

## კავკასიონის მთიანეთის მთავარი უღელტეხილები, რომლებიც მთიელებს თარეშისთვის ემსახურებოდნენ

აღმოსავლელი მწერლები ამ უღელტეხილს სედი-ალღუნს უწოდებდნენ, ზოგჯერ კი – ალანიის კარიბჭეს, რადგან ალანური ტომები მასზე გადიოდნენ. ქალაქი შაბრანიც მასთან ახლოს მდებარეობდა. გადმოცემის თანახმად, ალღუნის კედელი ქეიანიდის მეფე ისფენდიარმა ააგო დაახლოებით ძვ. წ. 485 წელს (ქსერქსე) და სასანიდების მეფე შაპურმა აღადგინა, ხოლო სპარსეთის მეფე ანუშირვანმა შეაკეთა.

ალღუნის უღელტეხილთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებაც არსებობს, რომ ალღუნის ვიწრობმა სახელწოდება, სავარაუდოდ, აული

вторжения в Иверию,-аланы или осетины постоянно караулили этот проход и взимали с жителей пошлину за пропуск через него. Укрепление Дариельское возобновлено было грузинскими царями: Георг-Арсланом и Давидом-Возобновителем. Последний из них выстроил здесь у теснины замок, на вершине скалы и тем запирал вход в пределы древней Иверии, так-что несколько человек легко могли защищать проход от внешних врагов: у армянских писателей он назывался Тариел-Турун, т. е. ворота Дариельския, у осетин Дайран, у грузин Дариоли или Хевис-Кари (ущелье долины). Ныне здесь мостовое укрепление на Тереке, построенное в 1844 году. Проход этот во время владычества персов сассанидов замыкал Кавказ с востока.

Четвертый считался, как вышеупомянуто, по ущельям: Ардона и Мамисонскаго, у источников Риона, через Рачи, Сванетию и Ингурскую долину; здесь проходили войска персидских царей. Проход этот назывался у восточных народов Бабул-Куст, т.е. воротами кистин; он также именовался и Аланским по близости обитавших там алан; пункт этот до того считался важным для персов, что персидские цари Кубад и сын его Анушереван, во время своих походов в Сванетию и Лазистан, старались во что-бы ни стало овладеть прежде всего этим проходом. Во время владычества аравитян предводитель арабских войск, покоритель Дагестана, Абу-Муслин, овладев этим проходом, назначил в этой стране пограничным начальником родственника своего Гамзата, коему велел выстроить здесь мечеть…

**И. Бахтамов**

Газета «Кавказ», 1881, №287 (31 Декабря), Тифлис.

ალუნიდან მიიღო, ზემო შატო-არღუნზე, რომელიც მდინარე ასის ყველაზე დაბალ უღელტეხილს კეტავდა, სუნჯის მოპირდაპირედ. ვინაიდან სოფელი ალღუნი მერეჯისა და არდონის ხეობებით ხევსურეთში მდებარეობდა, ქისტებისა და ცორის თემებთან, ამ უღელტეხილებს აღმოსავლეთის ხალხები ბაბულ-კუსტს უწოდებდნენ. აქვე მდებარეობს თერგის/თერლის-კარის ხეობის კლდოვანი კარიბჭე, რომლითაც მდინარე ასა ქისტეთში მიიპობს გზას…

მესამე გასასვლელად ან კარიბჭედ დარიალისა და თრუსოს ხეობები ითვლებოდა. ადგილობრივი თათრები მას დარ-იოლს უწოდებდნენ, რაც ვიწრო გზას ნიშნავს. ამ მრისხანე ხეობის უძველესი ნაგებობები, რომელთა თავზეც კლდეებია გადმოკიდებული, ქართლის მეფე მირიანს (ძვ.წ. 150 ან 162 წლები) მიეწერება. მან აქ კარიბჭიანი ციხესიმაგრე ააგო. აღმოსავლელი მწერლები ამტკიცებენ, რომ ეს ციხესიმაგრე სპარსეთის მეფე დარიოს გიშთაფსმა ააგო სკვითური ტომების თავდასხმებისგან დასაცავად და რომ ის მეფე ისფენდიარმა (ქსერქსე) განაახლა. ვინაიდან კავკასიის აღმოსავლეთ კიდეზე ალანები ბინადრობდნენ, არაბი მწერლები – მაასუდი, იდრისი, აბულ-ფეტი და სხვები – მას ალანიის კარიბჭეს უწოდებდნენ, სადაც ისფენდიარს გარნიზონი ეყენა, რათა ალანები იბერიაში არ შეჭრილიყვნენ. ალანები, ანუ ოსები, მუდმივად ყარაულობდნენ ამ უღელტეხილს და მაცხოვრებლებისგან გადასახადს იღებდნენ მასზე გავლისას. დარიალის ციხესიმაგრე ქართველმა მეფეებმა – გიორგი არსლანმა და დავით აღმაშენებელმა – აღადგინეს. ამ უკანასკნელმა აქ, ხეობაში, კლდის მწვერვალზე, ციხესიმაგრე ააშენა, რითაც ძველი იბერიის შესასვლელი გადაკეტა, რათა რამდენიმე კაცს ადვილად შეძლებოდა გასასვლელის დაცვა გარეშე მტრებისგან. სომეხი მწერლები მას ტარიელ-ტურუნს უწოდებდნენ, რაც დარიალის კარიბჭეს ნიშნავს; ოსები – დაირანს; ქართველები – დარიოლს ან

## МЕТЕОРИТЫ В НАЗРАНИ

УКР. НАЗРАНОВСКОЕ. 2-го ноября. Жители Назрановскаго общества были сильно тревожены необыкновенным метеорологическим явлением, имевшим место в ночь с 1-го на 2-е ноября. По разсказам всех очевидцев, явление это было такого рода: часа через полтора по полуночи послышался легкий шум с треском, затем восток осветился как бы утренней зарей, и из атмосферы посыпались на землю огненные шары (метеоры), чрезвычайно блестящие, разной величины и в разных направлениях, – по одному, по два, по три в один раз, а иногда и целыми пучками в несколько десятков шаров, на подобие фейерверочных ракетных павильонов, оставляя за собой огненные полосы; в продолжение всего явления было светло, как днем. Падающие шары эти и пучки имели направление большей частью от востока к западу: самый же большой из них наоборот – от запада к востоку. Описываемое продолжалось – по показаниям туземцев – с половины втораго и до исхода четвертого часа, следовательно с лишним два часа. За достоверность этого явления и его подобностей можно ручаться.

Газета «Кавказ», 1866, N89 (13 ноября), Тифлис.

ხევის-ხარს. ახლა აქ 1844 წელს აგებული თერგის ხიდის სიმაგრეა. სასანიდი სპარსელების მმართველობის დროს ეს გასასვლელი აღმოსავლეთიდან კეტავდა კავკასიას.

მეოთხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არდონისა და მამისონის უღელტეხილების გასწვრივ, რიონის სათავეებთან, რაჭაში, სვანეთსა და ენგურის ხეობაში გადიოდა; სპარსელი მეფეების ჯარები ამ უღელტეხილს იყენებდნენ. აღმოსავლეთის ხალხები უღელტეხილს ბაბულ-ქუსტს, ანუ ქისტების კარიბჭეს უწოდებდნენ; მას ასევე ალანურს უწოდებდნენ იქ მცხოვრები ალანების სიახლოვის გამო. ეს პუნქტი სპარსელებისთვის იმდენად მნიშვნელოვნი იყო, რომ სპარსი მეფეები კუბადი და მისი ვაჟი ანუშირ, სვანეთსა და ლაზისტანში ლაშქრობების დროს, ყველანაირად ცდილობდნენ მის დაკავებას. არაბთა მმართველობის დროს, მათი ჯარების მეთაურმა, დაღესტნის დამპყრობელმა აბუ მუსლინმა, ამ უღელტეხილის დაკავების შემდეგ, თავისი ნათესავი გამზატი დააყენა ამ ქვეყანაში სასაზღვრო მეთაურად და აქ მეჩეთის აშენება ბრძანა.

**ი. ბახტამოვი**

გაზეთი „კავკაზი“, 1881, №287
(31 დეკემბერი), ტფილისი.

## მეტეორიტები ნაზრანში

ნაზრანის ციხესიმაგრე. 2 ნოემბერი. ნაზრანის თემის მოსახლეობა დიდად შეაშფოთა უჩვეულო მეტეოროლოგიურმა ფენომენმა, რომელსაც 1-2 ნოემბრის ღამეს ჰქონდა ადგილი. ყველა თვითმხილველის გადმოცემით, მოვლენა შემდეგი ხასიათისა იყო: შუაღამიდან საათ-ნახევრის შემდეგ გაისმა მსუბუქი ხმაური ტკაცუნით, შემდეგ აღმოსავლეთი აისის მსგავსად განათდა და ატმოსფეროდან დედამიწაზე ცეცხლოვანი ბურთები (მეტეორები) ჩამოცვივდა, ძალზე ბრწყინავი, სხვადასხვა ზომის და სხვა-

დასხვა მიმართულებით – ერთ ჯერზე ერთი, ორი, სამი, ზოგჯერ კი კონებად, რამდენიმე ათეული, ფოიერვერკის რაკეტების გასროლასავით, ტოვებდა ცეცხლოვან ზოლებს; მთელი მოვლენის განმავლობაში დღის სინათლე იდგა. ჩამოვარდნილი ბურთები და კონები ძირითადად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო მიმართული: მათგან ყველაზე დიდი, პირიქით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. აღწერილი მოვლენა – ადგილობრივ მკვიდრთა ჩვენებით, – ორის ნახევრიდან ოთხ საათამდე, შესაბამისად, ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ამ მოვლენის უტყუარობა და მისი სიზუსტე დადასტურებულია.

**ა. ს.**

გაზეთი „კავკაზი“, 1866, №89 (13 ნოემბერი),
ტფილისი.

# ТРАДИЦИОННЫЕ РЕЛИГИОЗНЫЕ ПРЕДСТАВЛЕНИЯ И САКРАЛЬНЫЕ ПРАКТИКИ ИНГУШЕЙ В XIX ВЕКЕ: СИНКРЕТИЗМ, ПАМЯТЬ И ТРАНСФОРМАЦИЯ

# ᲘᲜᲒᲣᲨᲗᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ: ᲡᲘᲜᲙᲠᲔᲢᲘᲖᲛᲘ, ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

## РЕЛИГИОЗНЫЕ ОБРЯДЫ ОСЕТИН, ИНГУШЕЙ И ИХ СОПЛЕМЕННИКОВ, ПРИ РАЗНЫХ СЛУЧАЯХ

**[Сведения, собранные академиком А. М. Шегреном]**

**Отрывки**

«…Кистины, Галгаи, Цори, часть Ингуш некрещенных. – Не гласно: все остальные Ингуши, и все Осетины Христианского исповедения, преимущественно в горах живущие, у которых до сих пор осталось множество самых грубых обрядов идолопоклонства, и теперь исполняемых.

Причиною такого смешения религий, можно полагать то, что, живя в середине Кавказского хребта, имея сношения с Закавказьем, на жителей этаго округа с давних пор действовали, с юга от Грузин: Христианство; с запада и с севера от Кабардинцев: Исламизм. Туземцы, склоняясь, то под иго Грузин, то под власть Кабардинцев, принимали попеременно ученье тех и других, и наконец, перемешав все понятия, остались при своем грубом невежестве. – Политика их в этом случае была обыкновенная всем слабым, побежденным: принимать до времени формы победителей, и держаться упорно своего. – Теперь, при нашей веротерпимости, при наших усилиях – сколь можно более кроткими средствами образовать этих дикарей, туземцы худо понимая настоящую цель Правительства, сделались в отношении религии ни то ни се: Мулла свободно кричит при колокольном звоне,

## ᲝᲡᲔᲑᲘᲡ, ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲫᲛᲔᲗᲗᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**[აკადემიკოს ა. მ. შეგრენის მიერ შეკრებილი ცნობები]**

**ნაწყვეტები**

„...ქისტები, ღილღველები, ცორელები, ინგუშთა ნაწილი მოუნათლავია. – არა საჯაროდ: ყველა დანარჩენი ინგუში და ყველა ოსი ქრისტიანული აღმსარებლობისაა, ძირითადად, მთაში მცხოვრები. მათ დღემდე შემორჩათ კერპთაყვანისმცემლობის მრავალი უხეში რიტუალი, რომლებსაც ახლაც აღასრულებენ.

რელიგიათა ასეთი აღრევის მიზეზი სავარაუდოდ, შემდეგია: კავკასიის ქედის შუაგულში მცხოვრები, ამიერკავკასიასთან ურთიერთობის მქონე ამ ოლქის მცხოვრებლებზე უძველესი დროიდან მოქმედებდა სამხრეთიდან ქრისტიანობის გავლენა ქართველთაგან; დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ყაბარდოელებისგან ისლამიზმი. ქართველთა უღელის ან ყაბარდოელთა ძალაუფლების ქვეშ მოქცეული ადგილობრივები მონაცვლეობით იღებდნენ ორივეს სწავლებას და ბოლოს, ყველა ცნების აღრევით, დარჩნენ თავიანთ გაუთლელ უმეცრებაში. – მათი პოლიტიკა ამ შემთხვევაში ყველა სუსტისთვის, დამარცხებულებისთვის ჩვეული იყო: გარკვეულ დრომდე მიეღოთ გამარჯვებულის ფორმები და ჯიუტად მიჰყოლოდნენ საკუთარს. – ახლა, ჩვენი რელიგიური შემწყნარებლობით, ჩვენი ძალისხმევით – რაც

Кистинский кумир Гальерд покойно стоит в старой оставленной церкви царицы Тамары…».

«…А между тем, остатки большого числа церквей в ущельях Кистинском и Куртатинском, находимыя там книги, сосуды, вещи и деньги, почитание язычниками Христианских Святых и названия их, все ясно доказывает, что жители этого округа были прежде Христиане, отступившие от веры при безпрерывно переменявшемся владычестве над ними, то Кабардинцев, то Грузин, то наконец Русских; и что они, пользуясь этим переходом, обратились опять к своим кумирам. – Так Ингуши, выходцы Кистинцев, в 1810 году, при вступлении в подданство России, были опять язычники, и клялись в верности, почитаемым ими за святыню кумиром Гальерд; а в условии заключенном ими по этому случаю прибавили статью: что их обряд идолопоклонства остается при них не нарушим; тогда как предания горцев, и вышеприведенные памятники свидетельствуют о том, что некогда они были Христиане. С 1820-х годов, Русские Миссионеры начали обращать Ингуш в Христианство, и без больших усилий достигли до приведения в Православие 2/3 народонаселения. – Ингуши соглашались быть Христианами; – но и теперь их можно скорее назвать язычниками, ибо и теперь они ходят на поклонение кумиру Гальерду, принося ему жертвы...».

«…Святые, почитаемые всеми горцами, без исключения, суть большею частию Христианские; праздники тоже совпадают с нашими; к числу таких святых принадлежат: Михаил Архангел, почитаемый даже чистыми идолопоклониками Галгаями. Пророк Илья в уважении у всех; он считается покровителем скотоводства и земледелия: везде ему воздают особыя почести, празднуют его день и приносят ему жертвы. Святой Матфей – в честь его у Кистинов именуется гора его именем. Святой Георгий Победоносец почитается покровителем путешествующих, и всех дорог; ему молятся и приносят

შეიძლება ფრთხილი საშუალებებით მოვაქციოთ ეს ველურები, ადგილობრივები, რომლებსაც ცუდად ესმით მთავრობის ნამდვილი მიზანი, რელიგიასთან მიმართებაში არც აქეთ არიან, არც იქით: მოლა თავისუფლად გაჰკივის ზარების რეკვისას, ქისტების კერპი გალიერდი მშვიდად დგას თამარ მეფის ძველ მიტოვებულ ეკლესიაში...“.

„...იმავდროულად, ქისტეთის და ქურთათის ხეობებში არსებული დიდი რაოდენობით ეკლესიების ნაშთები, იქ აღმოჩენილი წიგნები, ჭურჭელი, ნივთები და ფული, წარმართების მიერ ქრისტიან წმინდანთა თაყვანისცემა და მათი სახელები – ყველაფერი ნათლად ადასტურებს, რომ ამ მხარის მკვიდრნი ადრე ქრისტიანები იყვნენ, რომლებიც განუდგნენ რწმენას მუდმივად ცვალებადი ბატონების გამო: ხან ყაბარდოელების, ხან ქართველების, ბოლოს რუსების; მათ ამ გარდამავლობით ისარგებლეს და კვლავ თავიანთ კერპებს მიუბრუნდნენ. – ასე, მაგალითად, ინგუშები, ქისტეთიდან გამოსულნი, 1810 წელს, როდესაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, კვლავ წარმართები იყვნენ და ერთგულება მათ მიერ სალოცავად აღიარებულ გალერდზე დაიფიცეს; ხოლო ამ შეთანხმების პირობას ერთი სტატია დაამატეს: რომ მათი კერპთაყვანისმცემლობის რიტუალი დარჩეს უცვლელად, არ დაირღვეს; და ეს მაშინ, როდესაც მთიელთა გადმოცემები და ზემოაღნიშნული ძეგლები იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ. 1820-იანი წლებიდან რუსმა მისიონერებმა ინგუშების გაქრისტიანება დაიწყეს და დიდი ძალისხმევის გარეშე შეძლეს მოსახლეობის 2/3-ის მართლმადიდებლობაზე მოქცევა. – ინგუშები დასთანხმდნენ გაქრისტიანებას; მაგრამ ახლაც მათ უფრო წარმართები შეიძლება ეწოდოს, რადგან დღემდე მიდიან გალერდის კერპის თაყვანსაცემად და მსხვერპლს სწირავენ მას...“.

„...ყველა მთიელის პატივსაცემი წმინდანები, გამონაკლისის გარეშე, არსებითად

жертвы, отправляясь в войну, в набег, или в дорогу. – Святая Мария почитается у всех покровительницею супружескаго благополучия и плодородия; ей молятся и приносят жертвы после всякого разрешения от бремени…».

«…-1) Ингуши, Кистины, Галгаи [новый год празднуют] тремя днями ранее нашего; у них делаются накануне праздника гадания. -2) Троицы – которую большею частью празднуют одни Осетины; – 3) День Пророка Ильи празднуют и Осетины всех племен, и Ингуши с их с их сопле-менными обществами; У Осетин перед праздником делается гаданье, которое пользуется известностью у Кабардинцев и Чеченцов.

Праздник святому делается раз в год, и редко более одного дня; ему приносят жертвы, простые или по обещанию, делают при этом скачку, стреляют, пьют, едят. – Для принесения жертв, и для молитв, выбирают из гор окружающих аул, которая по большой части получает название того святаго, коему жертвы на ней приносятся; гора выбирается для того, чтоб молитвы просящих скорее в высоты доходили до кого следует. Там устраивается из камня жертвенник, иногда капище, к которым собираются, с дарами, и для молитв в назначенный день. Каждое семейство приготовляет у себя дома, что есть лучшаго; варит пиво, раку (просяная водка), лоби (фасоль), печет чурек (просяной пресный хлеб), жарит баранину, говядину и т.д.

В день праздника, все приготовленное возносят на гору, перемешивают и составляют общую трапезу. – Иные делают жертвы по обещанию, и приносят их тоже в день праздника на гору. Приношения эти состоят из денег, сосудов медных или серебрянных нарочно для святаго отлитых, и других вещей, – кто что обещал; они остаются навсегда при жертвеннике, а если в горе есть пещера, то в ней и считаются неприкосновенными. – Множество поверий существует в народе насчет святости подобных мест, куда никто не входить,

ქრისტიანობიდანაა; მათი დღესასწაულებიც ჩვენსას ემთხვევა; ასეთ წმინდანებს შორისაა: მიქაელ მთავარანგელოზი, რომელსაც პირწმინდად კერპთაყვანისმცემელი ღილღველებიც კი პატივს მიაგებენ. ყველა თაყვანს სცემს წინასწარმეტყველ ელიას; იგი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მფარველ წმინდანად ითვლება: მას ყველგან განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. მისი სახელობის დღესასწაულს აღნიშნავენ და მსხვერპლს სწირავენ. წმიდა მათე – მის საპატივსაცემოდ ქისტებს მისი სახელობის მთა აქვთ. წმინდა ძლევამოსილი გიორგი მოგზაურთა და ყოველგვარი გზის მფარველად ითვლება; მისდამი ლოცვებს აღავლენენ და მსხვერპლს სწირავენ ომში ან თავდასხმაზე წასვლისას, გზაში ყოფნისას. – წმინდა მარიამს ყველა პატივს მიაგებს, როგორც ოჯახური კეთილდღეობისა და ნაყოფიერების მფარველს; მასზე ლოცულობენ და სწირავენ მსხვერპლს ყოველგვარი ტვირთისგან გათავისუფლების (მშობიარობის) შემდეგ...“.

„...-1) ინგუშები, ქისტები, ღილღველები [ახალ წელს აღნიშნავენ] ჩვენზე სამი დღით ადრე; დღესასწაულის წინა დღეს მკითხაობენ. -2) სამება – რომელსაც ძირითადად მხოლოდ ოსები აღნიშნავენ; – 3) წინასწარმეტყველ ელიას დღეს აღნიშნავენ ყველა ტომის ოსები, ასევე ინგუშები და მათი საგვარეულო თემები. დღესასწაულამდე ოსები მკითხაობას ასრულებენ, რაც ყაბარდოელებსა და ჩეჩნებში პოპულარული პრაქტიკაა.

წმინდანის დღესასწაული წელიწადში ერთხელ აღინიშნება და იშვიათად ერთ დღეზე მეტხანს გრძელდება. მას მსხვერპლს სწირავენ, უბრალოს ან დაპირებულს, მართავენ დოღს, სროლას, საერთო ტრაპეზს. მსხვერპლშეწირვისა და ლოცვისთვის მიმდებარე მთებიდან ირჩევენ აულს, რომელიც, როგორც წესი, იმ წმინდანის სახელს ატარებს, ვისთვისაც მსხვერპლშეწირვა სრულდება. მთას ირჩევენ, რათა დახმარების თხოვნის მსურველთა ლოცვებმა უფრო

кроме праздничнаго дня; в противном случае, тот, кто решится нарушить этот обычай, или умрет, или ослепнет, или рот у него скривится, по мнению народа. Невежество, и выгоды жрецов этих таинств укореняют подобные предрассудки. Когда соберутся все жители, каждый со своим приношением, – тогда старик, облеченный в звание жреца, подходит к жертвеннику и начинает читать молитвы; обыкновенный смысл. Их бывает такого рода: сперва обращаются к святому, которого празднуют, прося его о защите и покровительстве; потом просят Илью Пророка, о покровительстве стад; святаго Георгия об успехе предпринимаемой дороги, или набега, чтобы просящим все было хорошо и все удавалось, неприятелям их было бы противно, чтобы когда едут на грабеж, или воровство, предприятие это увенчалось успехом, если же к просящим приедет с тою же целью неприятель, то чтоб не имел успеха, и его можно было поймать вовремя. – В заключение всей молитвы, обращаются к Богу: о ниспослании всех благ на землю их, и всех зол на врагов просящих. – По окончании молитвы, с разрешения жреца, начинают есть и пить принесенное, плясать, веселиться, и уже непременно стрелять: стрельба есть необходимая принадлежность всякаго сборища. Веселости эти продолжаются до глубокой ночи. – Таков, большею частию, общий вид всех горских праздников. Немногие изменяются в разных мелочах; изменения эти я постараюсь изложить ниже, во все подробности…».

«….Ингуши, Кистины и Галгаи, для празднования новаго года собираются в горы и там приносят жертвы Гальерду, почитаемому ими за святаго. – Собственно Гальерд не имеет никакого олицетворения, он считается духом, но в честь его посвящены церкви и часовни, оставшиеся от Христианства, выстроены новыя капища, в которыя в этот день собираются, приносят всякия жертвы, преимущественно вновь отлитыя пули, зажигают свечи. Приношения эти остаются в кა-

სწრაფად მიაღწიოს უფალთან. იქ შენდება ქვის საკურთხეველი, ზოგჯერ წარმართული ტაძარი, სადაც ხალხი საჩუქრებით ლოცვისთვის იკრიბება დანიშნულ დღეს. თითოეული ოჯახი იმას ამზადებს, რაც საუკეთესო აქვს სახლში; ხარშავს ლუდს, არაკუს (ფეტვის არაყს), ლობის (ლობიოს), აცხობს ჩურეკს (ფეტვის უსაფუარო პურს), წვავს ცხვრის და ძროხის ხორცს და ა.შ.

საზეიმო დღეს ყველაფერი, რაც მოამზადეს, მთაში ააქვთ, აერთიანებენ და საერთო ტრაპეზს მართავენ. – ზოგი დაპირებულ მსხვერპლს სწირავს, რომელიც ამ დღეს მთაზე აჰყავთ. ძღვენი შედგება ფულის და სპილენძის ჭურჭლისგან, ან სპეციალურად წმინდანისათვის ჩამოსხმული ვერცხლისგან და სხვა ნივთებისგან – იმის მიხედვით, თუ ვინ რას დაჰპირდა; ეს ყოველივე სამუდამოდ რჩება სამსხვერპლოზე, ხოლო თუ მთაში გამოქვაბულია, მაშინ იქ ათავსებენ და ხელშეუხებლად ითვლება. – ხალხში ბევრი ცრურწმენა არსებობს ისეთი ადგილების სიწმინდის შესახებ, სადაც, დღესასწაულების გარდა, არასდროს არავინ შედის; თორემ, ხალხის თქმით, ვინც ამ ჩვეულების დარღვევას გადაწყვეტს, ან მოკვდება, ან დაბრმავდება, ან პირი მოეღრიცება. უმეცრება და ამ საიდუმლოების აღმსრულებელი ქურუმების სარგებელი ამგვარ ცრურწმენებს ამყარებენ. როდესაც ყველა მკვიდრი შეიკრიბება, თითოეული თავისი შესაწირავით, მაშინ უხუცესი, ქურუმის წოდებით შემოსილი, სამსხვერპლოს უახლოვდება და ლოცვების კითხვას იწყებს; შინაარსი ჩვეულია. ის ამგვარია: ჯერ წმინდანს მიმართავენ, რომელსაც ზეიმი ეძღვნება, მფარველობასა და დაცვას სთხოვენ; შემდეგ ელია წინასწარმეტყველს – პირუტყვის გამრავლებას ევედრებიან; წმინდა გიორგის – გზის დალოცვას, ან წარმატებას თავდასხმის განხორციელებისას, რომ მთხოვნელს ხელი მოემართოს და წარმატებას მიაღწიოს, მტრები შეიმუსრონ, რომ ძარცვაზე ან ქურდობაზე წასვლისას ეს წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდეს. ხოლო

пище, а веселье и пир идут обыкновенным порядком. – Накануне новаго года, избранные Кистинцы, и другие люди, почитаемые за одаренных даром предсказания, отправляются с вечера в одно из капищ, и там, лежа на брюхе, остаются целую ночь в таком положении, прислушиваясь к земле; – гаданье это называется по ингушски Дзацесек. Утром гадатель выходит из капища и объявляет то, что он слышал худаго или хорошаго для наступаюшаго новаго года; – многие с равнин ездят в горы узнавать о предсказаниях...».

«…У Ингуш, Кистин, Галгаев почиталось прежде нечто в роде человеческих скелетов; теперь они остались на прежнем месте и не пользуются ни каким уважением в народе. Предание ничего не знает об их происхождении достовернаго, и только утверждает, что эти скелеты, принадлежа некогда жившему около Назрана народу Нарт, сохранялись от повреждения 2000 лет и с приходом русских начали портиться. Место их ниже крепости Назрана по Сунже, в 12 верстах. Над скелетами выстроена каменная будочка, и Ингуши доселе их покрывают часто полотном, в знак, что и теперь не совсем разуверились в святости этих остовов.

Некоторые леса и рощи посвящены святым; замечательно, что таких заповедных рощей находится более всего в местах безлесных, где дрова трудно добываются. – Леса эти неприкосновенны, их можно рубить только тогда, когда готовясь праздновать святаго, коему они посвящены, нужно для него варить пиво…».

«…Ни один Горец не знает сколько ему лет, и эпохи своего рождения; разве мать припомнит какое-нибудь обстоятельство, сопровождавшее эту эпоху. Так напр., они говорят: «Тассо родился, когда Русские ходили в первый раз в Грузию». Горцы не празднуют дня своего рождения, а Христиане только 3 праздника, для него собственно делаемые: в первое появление его на свете, при женитьбе, и при похоронах…».

თუ მტერი მივა მათთან, იმავე მიზნით, ითხოვენ, რომ მან წარმატებას ვერ მიაღწიოს და დროულად დაიჭირონ. – ლოცვის დასასრულს ღმერთს მიმართავენ: რათა უბოძოს ყველა სიკეთე მათ მიწას და ყველა ბოროტება მტრებს მიაგოს. – ლოცვის დასრულების შემდეგ, ქურუმის ნებართვით, იწყებენ ტრაპეზს, ცეკვას, მხიარულებას და აუცილებლად ისვრიან: სროლა ნებისმიერი შეკრების აუცილებელი შემადგენელია. ეს მხიარულება გვიან ღამემდე გრძელდება. – ასეთია, უმეტესწილად, მთის ყველა დღესასწაულის ზოგადი სახე. ცოტა რამ იცვლება სხვადასხვა წვრილმანებში; შევეცდები ქვემოთ მოგახსენოთ ეს ცვლილებები, ყველა დეტალი...“.

„...ინგუშები, ქისტები და ღილღველები ახალი წლის აღსანიშნავად მთებში იკრიბებიან და იქ სწირავენ მსხვერპლს გალერდს, რომელსაც წმინდანად აღიარებენ. – საკუთრივ გალერდს არავითარი განსახიერება არ გააჩნია, ის სულად ითვლება, მაგრამ მისი სახელობისაა ქრისტიანობიდან შემორჩენილი ეკლესიები და სალოცავები, შენდება ახალი საკერპეები, რომლებშიც ხალხი იკრიბება ამ დღეს, სწირავს ყველანაირ მსხვერპლს, ძირითადად, ახალჩამოსხმულ ტყვიებს, ანთებენ სანთლებს. ეს შესაწირავი ბომონში რჩება, ხოლო გართობა და ქეიფი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. – ახალი წლის წინა დღეს რჩეული ქისტები და სხვა ადამიანები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან წინასწარმეტყველების ნიჭით, საღამოს ერთ-ერთ საკერპეში მიდიან და იქ, მუცელზე დაწოლილნი, ამ მდგომარეობაში მთელ ღამეს ატარებენ, მიწას უსმენენ; – ამ მარჩიელობას ინგუშურად ძაცესეკი ეწოდება. დილით მარჩიელი ბომონიდან გამოდის და აცხადებს, რაც მოისმინა, კარგი თუ ცუდი, მომავალი ახალი წლისთვის; – ბევრი დაბლობიდან ადის მთაში, რათა წინასწარმეტყველება გაიგონ...“.

„...ინგუშები, ქისტები, ღილღველები თაყვანს სცემდნენ რაღაც ადამიანის ჩონჩხების

«…У Ингуш, Кистин, Галгаев соблюдаются те же правила на счет калыма и его торжественной уплаты. – У них все между собою равны, и потому неравенство брака не существует, разве бы кто женился на своей пленнице. Свадебный обряд у Ингуш сходен с Осетинским; а Галгаи и Кистины исполняют свой идолопоклонический. -У них в назначенный день собираются к родителям невесты, все родные и знакомые обеих сторон. – После угощения, один из хороших приятелей жениха, требует, чтоб к нему вывели невесту. – Тогда женщины выводят ее из соседней комнаты, всю закрытую с головы до ног платком, или покрывалом. – Уполномоченный шафер берет невесту за руку и выводит ее на средину комнаты, к котлу, который по горскому обычаю висит на цепи по середине главной комнаты; под этим котлом почти постоянно разложен огонь, как для приготовления пищи, так и для того, что при нем греются и гости и хозяева. – Подведя к котлу, шафер берется рукою за цепь и начинает говорить речь, в роде желания будущего благополучия молодым; потом обходит с невестою три раза вокруг огня, и ударив рукою по цепи, в знак прощания ея с родительским домом, выводит из сакли, и ведет в дом соседний с домом жениха. Во время этаго путешествия, для шафера настает самая трудная обязанность; все присутствующие при обряде, поднимаются провожать его побоями и колотушками по голове и спине, иногда до крови, вплоть до того места, где молодая поступает к жениху; в награду за такое самопожертвование, шафер получает право роднаго, и молодая не стыдится быть перед ним, и даже вступать в разговоры. – Жених, в продолжение всего обряда не присутствует, а сидит у знакомых в соседней сакле; невесту принимают в доме без него. – И здесь соблюдается тот же порядок, что молодой должен прожить несколько дней с своею половиною в чужом доме и потом навещат ее украдкою от стариков, которые как и везде, бывают самые неумолимые судьи.

მაგვარს; ამჟამად ისინი იმავე ადგილზე რჩებიან და ხალხში პატივისცემით არ სარგებლობენ. არ არსებობს არანაირი უტყუარი გადმოცემა მათი წარმომავლობის შესახებ. ლეგენდა დაბეჯითებით მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს ჩონჩხები, რომლებიც ოდესღაც ნაზრანის მახლობლად მცხოვრებ ნართ ხალხს ეკუთვნოდა, 2000 წლის განმავლობაში იყო ხელუხლებელი, ხოლო რუსების მოსვლასთან ერთად გაფუჭება დაიწყეს. მათი ადგილსამყოფელი ნაზრანის ციხის ქვემოთ, სუნჯის გასწვრივ, 12 ვერსშია. ჩონჩხებზე ქვის ჯიხურია აგებული და ინგუშები ჯერ კიდევ ხშირად აფარებენ მათ ქსოვილს იმის ნიშნად, რომ ამ დრომდე არ დაკარგეს რწმენა ამ ნეშთების სიწმინდის მიმართ.

ზოგიერთი ტყე და კორომი წმინდანების სახელობისაა; აღსანიშნავია, რომ ასეთი დაცული კორომები ყველაზე ხშირად უტყეო, მოშიშვლებულ ადგილებში გვხვდება, სადაც შეშის მოპოვება რთულია. ეს ტყეები ხელშეუხებელია, მათი გაჩეხვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იმ წმინდანის დღეობისას, რომლის სახელსაც ატარებს ადგილი, ლუდის მოხარშვაა საჭირო…“.

„…არც ერთმა მთიელმა არ იცის, რამდენი წლისაა და თავისი დაბადების დრო; დედა თუ გაიხსენებს რაიმე გარემოებას, რომელიც იმ ეპოქას ახლდა. ასე, მაგალითად, ისინი ამბობენ: „ტასო მაშინ დაიბადა, როდესაც რუსები საქართველოში პირველად შევიდნენ“. მთიელები დაბადების დღეს არ აღნიშნავენ, ხოლო ქრისტიანებს მხოლოდ სამი დღესასწაული აქვთ, რომლებიც უშუალოდ ადამიანისთვის აღინიშნება: მისი ამქვეყნად დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება…“.

„…ინგუშები, ქისტები და ღილღველები მზითვისა და მისი საზეიმო გადაცემის ერთნაირ წესებს იცავენ. – მათში ყველა თანასწორია და, შესაბამისად, უთანასწორო ქორწინება არ არსებობს, თუ ვინმე თავის ტყვეზე არ დაქორწინდა. – ინგუშური საქორწინო ცერემონია

Как нарушается супружеское благополучие, причины того, как расходятся супруги в таком случае, или как наказывается виновная, описание этих обстоятельств, не составляет предмета моего разсказа; – хотя мне и случилось быть свидетелем такого события, и как очевидец, я бы мог подробно описать ужасную казнь преступной женщины.

Но о разводе я должен сказать несколько слов: причин для него бывает весьма много; лишь только надоела жена мужу, он может ее прогнать к родным, не спрашивая на то ни чьего ни согласия, ни позволения. – Супруги, у одних народов делят свое имение, у других жена уходит чуть не голая, – обычай на этот счет существует у каждаго народа свой особый; так например, у Чеченцев, или Ингуш: если супруги расходятся по прихоти жены, то она ничего не получает на свою долю, а еще родные ея возвращают мужу калым. – Если же, напротив муж прогоняет от себя жену, то он получает своего калыма, и должен давать ей содержание, каждый год одно платье, одни шальвары, 2 пары чевяк (башмаков) и 2 платка; дети остаются при отце или при матери, это зависит от условия; но в последнем случае, отец обязан отпускать ежегодно сумму на содержание детей по 12 р. сер. в год на каждаго ребенка, от груднаго включительно…».

«…У Галгаев, чистых язычников, у Кистин, Джарахов, у всех Осетин, в горах живущих, както: Аллагирцев, Куртатинцев, Чемитинцев, Дигорцев, придерживающихся языческим обрядам Галгаев, покойника одевают во все новое платье, и в полное вооружение; надевают ему на голову шапку и покрывают буркою, а возле кладут в яме три чурека (просяной сухой хлеб) и штоф раки, для того, чтобы покойник дорогою в небо ни в чем не нуждался, и мог делать подарки кому следует. Потом, к могиле подводят его коня в полном убранстве, и наконец узды дают в руки покойному. Если бы он не имел своей лошади,

Газета «Кавказ», 1866, №86 (3 ноября), Тифлис.

**[Гибель крупного рогатого скота в результате неизвестной болезни в Гвелети]**

Гвелети (Душетскаго уезда), 25 июня. Верстах в девяти от станции «Казбек», вниз по военно-грузинской дороге, там, где перекинут мост через Терек, расположена небольшая деревня из 30-40 дымов, населенная кистинами. За неимением достаточнаго количества пахатных земель, население этой деревни, как и большей части горских народностей, расположенных вдоль дороги, занимается извозом и скотоводством. Рогатый скот составляет главный источник богатства этих горных жителей на пятитысячной высоте. Понятно, поэтому, как тяжело отзывается в жизни гвелетского населения потеря крупнаго рогатаго скота. В настоящее время гвелетский скот сделался жертвою какой-то болезни, от которой околело до 20 штук коров и быков. Говорят, что причиною болезни послужила бешеная собака, которая укусила будто одну корову, когда пастух гнал скот на водопой. Но признаки болезни не совсем подтверждают такое объяснение происхождения болезни. Во время болезни скот остается спокойным, большею частью в лежачем положении, хотя пена и

ლამდე რამდენიმე კვირით ადრე მოსახლეობა ამას წინასწარ განჭვრეტდა და დევდორაკის ხეობის საძოვრებიდან თავის საქონელს სხვა ადგილებში გადარეკდა. ასე იწინასწარმეტყველეს მათ 1832 და 1842 წლების ზვავები.

ნიშნები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ამ მოვლენის დროის განსაზღვრის საშუალებას აძლევს, მათი ჩვენებების მიხედვით, ასეთია: ხეობაში გამდინარე ნაკადულის წყალი ხშირად სრულიად წყვეტს დინებას, ხოლო დინებისას ძლიერ მღვრიეა; ისმის ყინულთა დაგროვებისგან წარმოქმნილი ჭახჭახი და ხმაური, ქვემეხის გასროლის მსგავსი; ზოგჯერ მდინარის წყლის ფერიც იცვლება…

გაზეთი „კავკაზი“, 1866, № 86 (3 ნოემბერი), ტფილისი.

**[გველეთში უცნობი დაავადების გამო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემა]**

გველეთი (დუშეთის მაზრა), 25 ივნისი. „ყაზბეგის“ სადგურიდან ცხრა ვერსის დაშორებით, საქართველოს სამხედრო გზის ქვედა მონაკვეთზე, იქ, სადაც თერგზე ხიდია გადებული, ქისტებით დასახლებული 30-40 კომლიანი პატარა სოფელია. საკმარისი სახნავ-სათესი მიწის არქონის გამო ამ სოფლის მოსახლეობა, ისევე როგორც გზის პირას მდებარე მთის ხალხების უმეტესობა, გადაზიდვით და მესაქონლეობითაა დაკავებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ამ ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე მთის მცხოვრებთა სიმდიდრის მთავარ წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რამდენად მძიმედ აწვება პირუტყვის დაკარგვა გველეთის მოსახლეობას. ამჟამად გველეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გარკვეული დაავადების მსხვერპლი გახდა, რომლისგანაც 20-მდე ძროხა და ხარი დაეცა. ამბობენ, რომ დაავადების მიზეზი ცოფიანი ძაღლი გახდა, რომელმაც, თითქოს, ერთ ძროხას უკბინა, როდესაც მწყემსი

появляется на морде и скот по временам мычит. Население деревни обратилось через Казбекскаго сельского старшину к начальнику уезда за помощью, но, вместо ветеринара, на место было прислано предписание зарывать в землю павший скот. Это предписание не могло облегчить горя кистин, тем более, что павший скот и без предписания они зарывали в землю. Население тогда сделало складчину в 50 рублей и на эти деньги был приглашен какой-то местный азиатский ветеринар, который деньги эти получил, по горю не мог помочь ни на грош. 25-го июня, в день проезда через село пишущего эти строки, в деревне было несколько больных коров.

Газета «Кавказ», 1884, №146 (1 июля), Тифлис.

## ГУЛЕТОВЦЫ

### Очерк

Года два тому назад, около верийскаго предместья, в Тифлисе, жители города могли видеть целый табор переселенцев, расположившихся под открытым небом. Грязные, оборванные, жалкие, они производили удручающее впечатление на каждаго, кто только на них смотрел. По всему заметно было, что они не по доброй воле оставили свою родину.

– Что за люди? куда идут? зачем? – спрашивали любопытные, с удивлением останавливаясь перед их лагерем.

– Ингуши, гулетовцы, – отвечали им те, которые уже успели удовлетворить свое любопытство.

И, действительно, это были они, жители сел. Гулет, расположеннаго на половине разстояния между станциями Ларсом и Казбеком, на военно-грузинской дороге. Они шли на новыя места, в Ахалкалакский уезд, куда их переселяли на жительство, по распоряжению властей.

საქონელს წყალზე მიერეკებოდა. მაგრამ დაავადების ნიშნები სრულად არ ადასტურებს მის ამგვარ წარმოშობას. ავადმყოფობის დროს პირუტყვი ინარჩუნებს სიმშვიდეს, ძირითადად მწოლიარე მდგომარეობაშია, თუმცა დუჟი უჩნდება დრუნჩზე და დროდადრო ბღავის.

სოფლის მოსახლეობამ დახმარებისთვის სოფელ ყაზბეგის უხუცესის მეშვეობით მაზრის გამგებელს მიმართა, მაგრამ ვეტერინარის ნაცვლად ადგილზე ბრძანება გაიგზავნა დახოცილი პირუტყვის მიწაში დაფვლის შესახებ. ამ განკარგულებამ ქისტების მწუხარება ვერ შეამსუბუქა, მით უმეტეს, რომ განკარგულების გარეშეც მიწაში ფლავდნენ დაცემულ პირუტყვს. ამის შემდეგ მოსახლეობამ 50 რუბლი აკრიფა და ამ ფულით ადგილობრივი აზიელი ვეტერინარი მიიწვია, რომელმაც ეს ფული აიღო, თუმცა მწუხარებას ვერაფრით უშველა. 25 ივნისს, იმ დღეს, როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა სოფელი გაიარა, იქ რამდენიმე ავადმყოფი ძროხა იყო.

გაზეთი „კავკაზი“, 1884, №146 (1 ივლისი), ტფილისი.

## გულეთოვლები[1]

### ნარკვევი

დაახლოებით ორი წლის წინ ვერის გარეუბნის მახლობლად, ტფილისში, ქალაქის მცხოვრებლებს შეეძლოთ ენახათ გადასახლებულთა მთელი ბანაკი, რომელიც ღია ცის ქვეშ იყო განთავსებული. ჭუჭყიანები, დახეული ტანსაცმლით, საცოდავები, ისინი დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ყველაზე, ვინც კი მათ შეხედავდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მათ სამშობლო საკუთარი ნებით არ დაუტოვებიათ.

– ვინ არის ეს ხალხი? სად მიდის? რატომ? – გაოცებით კითხულობდნენ ცნობისმოყვარენი, რომელნიც მათი ბანაკის წინ ჩერდებოდნენ.

[1] გველეთელები.

Зачем они попали в Тифлис, когда путь их лежал через Мцхет, трудно сказать. Вероятнее всего предположить, что они все еще надеялись, что их вернут обратно, хотя эта надежда не оправдалась; да и не могла она оправдаться, потому что выслали их из родного аула за то, что они стали пошаливать на военно-грузинской дороге, избрали себе промыслом отрезывание чемоданов у проезжающих и тюков с товарами у извозчиков; кроме того, был случай ограбления почты с участием одного из их односельчан.

Между этими переселенцами было несколько почтенных стариков, которые с грустью покачивали головами и приписывали свою беду порче нравов у современной молодежи.

– «Дух Бешлама покарал нас», говорили они.

Чтобы понять это выражение, нужно знать, что такое «дух Бешлама», а так как этого нельзя сделать одним разом, то я постараюсь объяснить эти слова иначе, для чего позволю себе описать мое первое знакомство с гулетовцами.

Дело было лет двадцать назад. Тогда Военно-Грузинская дорога продолжала еще улучшаться, и на ней в большинстве случаев работали войска. Мне пришлось жить с офицерами в лагере одного из баталионов, разрабатывавших новую дорогу, выше Дарьяльского укрепления, как раз под аулом гулетовцев – Гулетами.

Присматриваясь к жизни наших соседей, мы не находили никакого различия ... они прямо были слепком с джераховцев, живущих между рр. Тереком и Ассой.

Только лишь в отношении религии мы затруднялись отвести им должное место, потому что поклонение Магомету чередовалось у них, в некоторые дни, празднествами в честь христианских святых; кроме того, нередко их можно было видеть за языческим капищем, приносящими в жертву барана или тура, которых они тут же сами и съедали.

– ინგუშები არიან, გულეთოველები, – პასუხობდნენ ისინი, ვისაც უკვე მოესწრო თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

და მართლაც, ესენი იყვნენ სოფელ გულეთის[1] მცხოვრებნი, რომელიც მდებარეობს ლარსისა და ყაზბეგის სადგურებს შორის, საქართველოს სამხედრო გზაზე. ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მიდიოდნენ, ახალქალაქის მაზრაში, სადაც ისინი ხელისუფლების განკარგულებით გადაასახლეს.

რატომ აღმოჩნდნენ ისინი ტფილისში მაშინ, როცა მათი გზა მცხეთაზე გადიოდა, ძნელი სათქმელია. ყველაზე მეტად ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ისინი ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ უკან დაბრუნებას, თუმცა ეს იმედი არ გამართლდა; არც შეიძლებოდა გამართლებულიყო, რადგან მშობლიური აულიდან ისინი გააძევეს იმის გამო, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე დაიწყეს ცუღლუტობა: პროფესიად გაიხადეს გამვლელთათვის ჩემოდნების წაგლეჯა და მეფორნეებისთვის საქონლით დატვირთული ტიუკების წართმევა; გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ფოსტის გაძარცვასაც, რომელშიც მათი ერთ-ერთი თანასოფლელი მონაწილეობდა.

ამ გადასახლებულთა შორის იყო რამდენიმე პატივსაცემი მოხუცი, რომლებიც მწუხარედ აქნევდნენ თავებს და თავიანთ უბედურებას თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივი გადაგვარებით ხსნიდნენ.

– „ბეშლამის სულმა დაგვსაჯა“, – ამბობდნენ ისინი.

ამ გამოთქმის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, რას ნიშნავს „ბეშლამის სული“, და რადგან ამის ერთბაშად ახსნა შეუძლებელია, შევეცდები ეს სიტყვები სხვაგვარად განვმარტო, რისთვისაც ნებას მივცემ თავს, აღვწერო ჩემი პირველი შეხვედრა გულეთოველებთან.

ეს დაახლოებით ოცი წლის წინ მოხდა. მაშინ საქართველოს სამხედრო გზა კვლავ გაუმ-

[1] გველეთი

Они праздновали в неделю один день – пятницу, по мусульманскому обычаю, стараясь в этот день ровно ничего не делать; но вместе с тем не отказывались праздновать и воскресенье, находя это «выгодным для здоровья».

Мечети у них никакой не было – молились, где придется; а если когда нужно было исполнить какой-либо торжественный обряд, то приглашался мулла из Джераха, расположенного в двадцати верстах к северо-востоку. Уразупост – соблюдали по-мусульмански, но никаких добрых дел, как того требует Коран, не делали, находя это лишним. Затем раза два или три в год собирались около развалин древней христианской церкви – и теперь заметной на базальтовой, брусчатой скале, над самой дорогой, – где зажигали восковыя свечи и звонили в два колокольчика, хранившихся постоянно в развалинах. Когда требовалось принести кровную жертву, то собирались к Дабе – так называлось место жертвоприношений – в ущелье р. Кабахи (Девдоракском), где, на горке, был сложен из нескольких грубых камней жертвенник, заваленный рогами животных. Если жертву приносил охотник, то непременно тура, а если обыкновенный смертный, то козу или барана, а другой раз, смотря по важности дела, даже целого быка.

Божество, в честь коего делалось заклание животных, называлось Магкинан или Махкинан – дух женского рода, обитающий по понятиям гулетовцев на вершине Бешлам-корта – горы Казбека.

Поверье гласит, что когда то Махкинан была великим и добрым гением для всех живущих и даже была главной помощницей Творца, но что, влюбившись в сатану, навлекла на себя этим поступком Божий гнев и была обречена на вечное проживание в снегах Бешлама. За это, однако, Бог не хотел лишать ее всей власти и дал ей в собственность окрестности этой горы,

ჯობესების პროცესში იყო და მასზე უმეტესად ჯარები მუშაობდნენ. მე ოფიცრებთან ერთად მიწევდა ცხოვრება ერთ-ერთი ბატალიონის ბანაკში, რომელიც დარიალის სიმაგრის ზემოთ, გულეთოველთა აულის – გულეთის – პირდაპირ, ახალ გზას ამუშავებდა.

ჩვენი მეზობლების ცხოვრებას რომ ვაკვირდებოდით, ვერ ვპოულობდით ვერანაირ განსხვავებას... ისინი პირდაპირ ჯერახოველთა... ანარეკლს წარმოადგენდნენ.

მხოლოდ რელიგიის საკითხში გვიჭირდა მათთვის შესაბამისი ადგილის მიჩენა, რადგან მუჰამედისადმი თაყვანისცემა მათთან ზოგიერთ დღეებში ქრისტიან წმინდანთა პატივსაცემ დღესასწაულებს ენაცვლებოდა; გარდა ამისა, ხშირად შეიძლებოდა მათი დანახვა წარმართულ სალოცავებთან, სადაც ისინი მსხვერპლად სწირავდნენ ვერძს ან ჯიხვს, რომელსაც იქვე თვითონვე შეექცეოდნენ.

ისინი კვირაში ერთ დღეს – პარასკევს – აღნიშნავდნენ მუსლიმური ჩვეულების მიხედვით, და ამ დღეს ცდილობდნენ საერთოდ არაფრის გაკეთებას; მაგრამ ამასთანავე უარს არ ამბობდნენ კვირადღის აღნიშვნაზეც, მიაჩნდათ რა ეს „ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ“.

მეჩეთი მათ არ ჰქონდათ – ლოცულობდნენ იქ, სადაც მოუხდებოდათ; ხოლო თუ საჭირო ხდებოდა რაიმე საზეიმო რიტუალის შესრულება, მაშინ იწვევდნენ მოლას ჯერახიდან[1], რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოცი ვერსის დაშორებით მდებარეობდა. ურაზას [მარხვას] მუსლიმური წესით იცავდნენ, მაგრამ არავითარ კეთილ საქმეს, როგორც ამას ყურანი მოითხოვს, არ აკეთებდნენ, ზედმეტად მიაჩნდათ. შემდეგ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ იკრიბებოდნენ ძველი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებთან – რომლებიც ახლაც შესამჩნევია ბაზალტის, ქვით მოკირწყლულ კლდეზე, უშუალოდ გზის ზემოთ – სადაც ანთებდნენ ცვილის სანთლებს და რეკავდნენ ორ ზარს,

[1] ჯეირახი

со всеми живущими там птицами и зверями; кроме того, так как самой ей трудно было бы углядеть за всем, то Бог дал ей возможность, когда нужно, множиться от себя самой и таким же путем сокращаться. И вот, потому-то, когда она разсердится, то насылает и на людей, и на животных целыя тучи бесовской силы, способные опрокинуть все горы, кроме самого местопребывания царицы – Бешлама; глаза ея мечут тогда огненныя стрелы, а голос гремит так, что от сотрясения и страха дрожат все горы, сбрасывая с себя лишнюю тяжесть, в виде камней, снега и льда; она, когда сердится, то и плачет вместе, от злости, заполняя слезами целыя ущелья.

Вследствие этого, кто желает поохотиться или попасти скот, или же накосить сена на зиму, на горных лугах, тот должен хоть однажды в год сходить к Дабе и принести Махкинан жертву.

Нас не мало поражала эта горсточка полуязычников, полумагометан, втиснувшихся между осетинами, с одной стороны, и грузинами, с другой, поражала тем именно, что несмотря на племенныя, религиозныя и прочие различия между ею и грузинами, они считались издавна грузинско-подданными, а потом с переходом Грузии под скипетр русскаго царя были зачтены в состав населения Тифлисской губернии, а не Терской области, как можно было бы ожидать.

На наши вопросы по этому поводу посетители наших палаток, сами гулетовцы, не могли ничего ответить и только твердили: «Давно, давно уж мы тут живем, а сколько лет – один Бог знает».

Помнится мне, что я однажды спросил кого-то из них:

– Неужели у вас и песен нет старинных, где бы говорилось, что нибудь о вашей деревне и ваших предках?

– Как нету – песни есть, да мы их не можем упомнить…

რომლებიც მუდმივად იმ ნანგრევებში ინახებოდა. როცა სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა იყო საჭირო, იკრიბებოდნენ დაბასთან – ასე ეწოდებოდა მსხვერპლშეწირვის ადგილს – ყაბახის (დევდორაკის) ხეობაში, სადაც ბორცვზე რამდენიმე უხეში ქვისგან იყო ნაგები საკურთხეველი, ცხოველთა რქებით დაფარული. თუ მსხვერპლს მონადირე სწირავდა, აუცილებლად ჯიხვს, ხოლო თუ უბრალო მოკვდავი – თხას ან ვერძს, ზოგჯერ კი, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთელ ხარსაც.

ღვთაებას, რომლის პატივსაცემადაც ხდებოდა ცხოველთა დაკვლა, ეწოდებოდა მაგკინანი ან მაჭინანი – მდედრობითი სქესის სული, რომელიც, გულეთოვლთა წარმოდგენით, ბეშლამ-ქორთის, ანუ ყაზბეგის მთის, მწვერვალზე ბინადრობს.

გადმოცემა გვამცნობს, რომ ოდესღაც მაჭინანი დიდი და კეთილი გენი იყო ყველა ცოცხალთათვის და თვით შემოქმედის მთავარი დამხმარეც კი გახლდათ, მაგრამ სატანის შეყვარების გამო ღვთის რისხვა დაიმსახურა და ბეშლამის თოვლში მარადიული ცხოვრებისთვის იქნა განწირული. თუმცა ღმერთს არ სურდა მისთვის მთელი ძალაუფლების ჩამორთმევა და მას საკუთრებად უბოძა ამ მთის მიდამოები, იქ მცხოვრები ყველა ფრინველითა და ცხოველითურთ; გარდა ამისა, რადგან თავად გაუჭირდებოდა ყველაფრის ზედამხედველობა, ღმერთმა მას მისცა უნარი, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი თავისგან გამრავლებულიყო და იმავე გზით შემცირებულიყო. ამიტომ, როცა იგი განრისხდება, ადამიანებსა და ცხოველებზე ეშმაკურ ძალთა მთელ ბრბოს მოავლენს, რომელსაც შეუძლია ყველა მთა დაამხოს, გარდა თავად დედოფლის სავანისა – ბეშლამისა; მაშინ მისი თვალები ცეცხლოვან ისრებს ისვრის, ხოლო ხმა ისე გრგვინავს, რომ შეძრწუნებისა და შიშისგან ყველა მთა ცახცახებს, ზედმეტ ტვირთს – ქვებს, თოვლსა და ყინულს – იშორებს; განრისხებისას იგი ტირის კიდეც, ბოროტებისგან, და თავისი ცრემლებით მთელ ხეობებს ავსებს.

Вот только Паци помнит,– отвечал мне гулетовец.

– Кто такой Паци? – полюбопытствовал я.

– А один галгайский слепой, он все песни знает.

– Где же он?

– Он в Галгае, но должно скоро будет у нас.

И действительно, спустя непродолжительное время слепец появился в Гулетах, будучи приглашенным на свадьбу к одному из жителей, а так как один из баталионных офицеров, прапорщик И-в, был природный чеченец, то через него и нам удалось познакомиться с содержанием нескольких туземных песен. В числе последних была одна, которая пролила некоторый свет на происхождение гулетовцев и на причину их нахождения в грузинских пределах. Кроме того, в той же песне говорилось о «духе Бешлама», Махкинан, которая грозила гулетовцам изгнанием за недобрые поступки.

Эта песня была записана нами тогда же, и мы надеемся когда-нибудь поделиться ею с читателями.

**Вл. К– н.**

Газета «Кавказ», 1894, № 151 (10 июня), Тифлис.

ამის გამო, ვისაც სურს ნადირობა, საქონლის ძოვება ან ზამთრისთვის თივის მოთიბვა მთის საძოვრებზე, ის წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ავიდეს დაბასთან და მაჯინანს მსხვერპლი შესწიროს.

ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ნახევრად წარმართთა, ნახევრად მაჰმადიანთა პატარა ჯგუფი, ჩაჭედილი, ერთ მხარეს, ოსებსა და, მეორე მხარეს, ქართველებს შორის, განსაკუთრებით იმით, რომ მიუხედავად ტომობრივი, რელიგიური და სხვა განსხვავებებისა მათსა და ქართველებს შორის, ისინი ძველთაგანვე ქართველთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, ხოლო საქართველოს რუსეთის მეფის სკიპტრის ქვეშ გადასვლის შემდეგ, ტფილისის გუბერნიის მოსახლეობაში იქნენ ჩარიცხულნი და არა თერგის ოლქში, როგორც შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო.

ჩვენს კითხვებზე ამასთან დაკავშირებით ჩვენი კარვების სტუმრები, თავად გულეთოველები, ვერაფერს პასუხობდნენ და მხოლოდ იმეორებდნენ: „დიდი, დიდი ხანია იქ ვცხოვრობთ, თუ რამდენი წელია – მხოლოდ ღმერთმა იცის“.

მახსოვს, ერთხელ ვკითხე ერთ-ერთ მათგანს:

– ნუთუ თქვენ არც ძველი სიმღერები გაქვთ, სადაც რამე იქნებოდა ნათქვამი თქვენს სოფელზე და თქვენს წინაპრებზე?

– როგორ არ გვაქვს – არის სიმღერები, მაგრამ ვერ ვიმახსოვრებთ…

– აი, მხოლოდ პაცი იმახსოვრებს, – მიპასუხა გულეთოველმა.

– ვინ არის პაცი? – დავინტერესდი მე.

– ერთი ღლიღვი ბრმა, ყველა სიმღერა იცის.

– სად არის?

– ღლიღვეთშია, მაგრამ მალე ჩვენთან უნდა მოვიდეს.

და მართლაც, მცირე ხნის შემდეგ ბრმა გულეთოველებში გამოჩნდა – ერთ-ერთი მცხოვრების ქორწილში იყო მიწვეული, და რადგან ბატალიონის ერთ-ერთი ოფიცერი, პრაპორშჩიკი ი-ვ, წარმოშობით ჩეჩენი იყო, მისი მეშვეობით

## СТОЛКНОВЕНИЯ КАРАБУЛАГСКИХ КАЗАКОВ С ИНГУШАМИ

ВЛАДИКАВКАЗ, 30-го мая. По частным сведениям войска, отправленные для прекращения столкновения карабулагских казаков с ингушами, открыли огонь из пулеметов по аулу Яндырка. Ингуши потеряли 30 убитыми и ранеными, казаки – 6 убитыми и несколько ранеными.

В дополнение к сообщению о перестрелке между казаками станицы Троицкой и ингушами из Владикавказа сообщают, что 29-го мая вечером, после вооруженного столкновения войск с ингушами и обстрела ингушскаго селения Яндырка, ингуши с семьями удалились в лес, и перестрелка прекратилась. Войска отошли от селения и расположились бивуаком, охрана пути и движение поездов обеспечены. Потребованные в помощь отряду войска не посылались. Временный генерал-губернатор Терской области 30-го мая утром выехал на место беспорядков.

Газета «Кавказ», 1906, №126 (2 июня), Тифлис.

## შეტაკებები ყარაბულაკის კაზაკებსა და ინგუშებს შორის

ვლადიკავკაზი, 30 მაისი. კერძო ცნობების თანახმად, ყარაბულაკის კაზაკებსა და ინგუშებს შორის შეტაკებების შესაჩერებლად გაგზავნილმა ჯარებმა ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გახსნეს სოფელ იანდირკაზე. ინგუშებმა 30 მოკლული და დაჭრილი დაკარგეს, კაზაკებმა – 6 მოკლული და რამდენიმე დაჭრილი.

ვლადიკავკაზელ ინგუშებსა და ტროიცკის სტანიცის კაზაკებს შორის ურთიერთსროლის გარდა, ცნობაში ნათქვამია, რომ 29 მაისის საღამოს, ჯარსა და ინგუშებს შორის შეიარაღებული შეტაკების და ინგუშების სოფელ იანდირკაზე ტყვიამფრქვევის დაშენის შემდეგ, ინგუშები ოჯახებთან ერთად ტყეში გაიხიზნენ და სროლა შეწყდა. ჯარები სოფელს დაშორდნენ და ბივუაკი მოაწყვეს, გზის დაცვა და მატარებლების მოძრაობა უზრუნველყოფილია. რაზმის დასახმარებლად მოთხოვნილი ჯარი არ გაგზავნილა. თერგის ოლქის დროებითი გენერალ-გუბერნატორი 30 მაისს დილით არეულობის ადგილზე გავიდა.

გაზეთი „კავკაზი“, 1906, №126 (2 ივნისი), ტფილისი.

# ИНГУШИ В ИМПЕРСКОЙ ВОЙНЕ: ДОБРОВОЛЬНАЯ МОБИЛИЗАЦИЯ И ДИСКУРС ВОЕННОЙ ЛОЯЛЬНОСТИ

# ინგუშები იმპერიულ ომში: ნებაყოფლობითი მობილიზაცია და სამხედრო ლოიალობის დისკურსი

## ПРОСЬБА ИНГУШСКОЙ ИНТЕЛЛИГЕНЦИИ

Несколько дней тому назад к начальнику Назрановскаго округа, полковнику Ульянову, явилось несколько человек из ингушской интеллигенции и обратились с просьбой от всего ингушскаго народа оказать содействие о сформировании «Ингушскаго коннаго полка», который и отправить на театр военных действий. В виду этого, полк. Ульяновым, 3-го августа, в м. Назрань, были собраны представители от всех селений округа вместе со старшинами.

На съезд, помимо вызванных, явилась масса посторонних ингушей, как молодых, так и глубоких стариков. Первым делом собравшиеся торжественно и горячо помолились, прося Аллаха о ниспослании Белому Царю побед над коварным врагом, а затем постановили выразить Его Императорскому Величеству свои верноподданническия чувства и просить о разрешении сформировать свой «Ингушский» полк четырех или шести сотеннаго состава для отправления на войну и тем самым показать, что ингуши не могут оставаться безучастными к постигшему дорогую родину тяжелому испытанию.

При обсуждении этого вопроса было сказано много речей, в которых отмечалось воодушевление и желание отдать на защиту родины до последнего человека, могущаго носить оружие.

Полк ингуши просят сформировать по образцу Дагестанскаго коннаго полка и после войны сохранить его навсегда. («Т. Ж.»).

Газета «Кавказ», 1914, №182 (12 августа), Тифлис.

## ინგუში ინტელიგენციის თხოვნა

რამდენიმე დღის წინათ ინგუში ინტელიგენციიდან რამდენიმე ადამიანი ნაზრანის მაზრის უფროსთან, პოლკოვნიკ ულიანოვთან მივიდა და მთელი ინგუში ხალხის სახელით დახმარება სთხოვა „ცხენოსანთა ინგუშური პოლკის» ჩამოყალიბებაში, რომელიც სამხედრო მოქმედებების წინა ხაზზე გაიგზავნება. ამის გათვალისწინებით პოლკოვნიკმა ულიანოვმა 3 აგვისტოს ნაზრანში მაზრის ყველა სოფლის წარმომადგენლები შეკრიბა თავისი უხუცესებით.

მოწვეულების გარდა, ყრილობაზე გარეშე ინგუშების დიდი რაოდენობაც გამოცხადდა, როგორც ახალგაზრდები, ისე ღრმად მოხუცები. პირველი, რაც შეკრებილებმა გააკეთეს, საზეიმოდ და მხურვალედ ილოცეს, რათა ალაჰმა თეთრ მეფეს ვერაგ მტერზე გამარჯვება გამოუგზავნოს, შემდეგ კი თავიანთი ერთგული გრძნობები გამოხატეს მისი საიმპერატორო უდიდებულესობისადმი და „ინგუშური“ პოლკის ჩამოყალიბების ნებართვა გამოითხოვეს, რომელიც 4 ან 6 ასეულისგან იქნება შემდგარი და ომში გაიგზავნება. ამით მათ გამოხატეს, რომ გულგრილი ვერ დარჩებიან იმ მძიმე განსაცდელის მიმართ, რომელიც მათ ძვირფას სამშობლოს დაატყდა თავს.

ამ საკითხის განხილვისას ბევრი გამოვიდა სიტყვით, სამშობლოს დასაცავად ბოლო ვაჟკაცამდე ბრძოლის შთაგონება და სურვილი გამოჩნდა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია.

ინგუშებმა ითხოვეს, რომ მათი პოლკი დაღესტნის საკავალერიო პოლკის მსგავსად ჩამოყალიბდეს და ომის დასრულების შემდეგ სამუდამოდ შენარჩუნდეს. („თ.ჟ.“)

გაზეთი „კავკაზი“, 1914, №182 (12 აგვისტო), ტფილისი.

## ПАРТИЗАНЫ

... Немцы называют отряд Сабуневича «шайкою болотнаго волка» и усиленно охотятся за ним, но знакомые с родными болотами всадники остаются неуловимыми. В отряде этом, кроме русских и поляков, служат также и кавказские ингуши из помещичьих экономий. («В. В.»).

Газета «Кавказ», 1915, №223 (4 октября), Тифлис.

## პარტიზანები

...გერმანელები საბუნევიჩის რაზმს „ჭაობის მგლების ხროვას“ უწოდებენ და მასზე გამალებით ნადირობენ, მაგრამ მშობლიური ჭაობების მცოდნე ცხენოსნები მოუხელთებლები რჩებიან. ამ რაზმში, რუსებისა და პოლონელების გარდა, კავკასიელი ადგილმემამულე ინგუშებიც მსახურობენ. („ვ.ვ.“).

გაზეთი „კავკაზი“, 1915, №223 (4 ოქტომბერი), ტფილისი.

# ИНГУШЕТИЯ В УСЛОВИЯХ ПОСТЦАРСКОГО КРИЗИСА: КОНФЛИКТ, АНАРХИЯ И БОРЬБА ЗА БЕЗОПАСНОСТЬ (1917-1918)

# ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘ ᲞᲝᲡᲢᲪᲐᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ: ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ, ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (1917-1918)

## ИЗ ГАЗЕТ: ВЛАДИКАВКАЗ

**[Отношение населения Терской области к Временному правительству]**

… «Закончив объезд Терской области, счастлив уведомить, что все население городов и селений, рабочие, офицеры, солдаты, казаки, караногайцы, кумыки, чеченцы, ингуши, осетины, кабардинцы, балкарцы и прочия народности засвидетельствовали преданность новому строю, доверие Временному Правительству и готовность служить общему отечеству. Из края в край области несется лозунг: да здравствует великая свободная всероссийская Демократическая республика»...

Газета «Кавказ», 1917, №81 (13 апреля), Тифлис.

## В ДАРЬЯЛЬСКОМ УЩЕЛЬЕ

Душетский уездный комиссар Мамулов телеграфирует Закавказскому Комиссариату от 8-го января, что по-полученным из Коби сведениям, Дарьяльское ущелье отрезано ингушами, которые грабят и убивают проезжих и намереваются сорвать мосты, а также совершить нападения на села. Всей дороге грозит голод. Комиссар просит оружия и защиты.

Газета «Кавказ», 1918, №6 (10 января), Тифлис.

## ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ: ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ

**[თერგის ოლქის მოსახლეობის განწყობა დროებითი მთავრობის მიმართ]**

თერგის ოლქის შემოვლის შემდეგ, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ქალაქების და სოფლების მთელმა მოსახლეობამ, მუშებმა, ოფიცრებმა, ჯარისკაცებმა, კაზაკებმა, ყარანოღაელებმა, ყუმუხებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ოსებმა, ყაბარდოელებმა, ბალყარელებმა და სხვა ხალხებმა თავიანთი ერთგულება დაადასტურეს ახალი წეს-წყობილებისადმი, ნდობა გამოუცხადეს დროებით მთავრობას და საერთო სამშობლოს მსახურების მზადყოფნა [გამოხატეს]. კიდიდან კიდემდე ოლქში ერთი ლოზუნგი ისმის: გაუმარჯოს დიდ, თავისუფალ, სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას“...

გაზეთი „კავკაზი“, 1917, №81 (13 апреля), ტფილისი.

## ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

დუშეთის მაზრის კომისარმა მამულოვმა ამიერკავკასიის კომისარიატს 8 იანვარს ტელეგრაფით შეტყობინება გამოუგზავნის, რომ კობიდან მიღებული ცნობებით, დარიალის ხეობა ინგუშებმა მოჭრეს, ისინი ძარცვავენ და კლავენ გამვლელებს და ხიდების დანგრევას, ასევე, სოფლებზე თავდასხმას აპირებენ. მთელ გზაზე შიმშილის საფრთხეა. კომისარი იარაღს და დაცვას ითხოვს.

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №6 (10 იანვარი), ტფილისი.

## В ТЕРСКО-ДАГЕСТАНСКОМ ПРАВИТЕЛЬСТВЕ

Выписка из протокола No 1 заседания Делегаций 2-го краевого съезда кавказской армии.

§ 5) По вопросу о возобновлении железнодорожнаго движения по линии Грозный-Гудермес и охране всей железнодорожной линии (Дербент-Прохладная) постановлено: охрану организовать из частей кавказской армии и из казачьих и осетинских войск. Делегация полагает, что горския народности (ингуши и чеченцы) для обеспечения спокойствия в крае и для обезвреживания абречества имеют право выставить на некотором разстоянии от железнодорожной линии кордоны из туземных войск.

Газета «Кавказ», 1918, №6 (10 января), Тифлис.

## БАРРИКАДЫ ВО ВЛАДИКАВКАЗЕ ПО ПРЯМОМУ ПРОВОДУ СООБЩАЮТ:

Во Владикавказе последние два дня спокойно. Город в баррикадах и проволочных заграждениях. Население города панически бежит. В окрестностях города скопления ингушей сейчас нет.

Ингуши отвлечены на борьбу с казаками и пехотными частями, по сунженской и терской линии, по имеющимся сведениям, происходит бой. Попытки со стороны терско-дагестанскаго правительства и осетинскаго национальнаго совета примирить враждующих, но большого успеха они не будут иметь, принимая во внимание особенности, что ингушами и чеченцами руководят бывшие члены горскаго правительства, политика которых всегда была неопределенной, подозрительной и агрессивной; вместе с тем, масса казаков и иногородных, видимо, решили закончить политику примиренчества, которая в результате всегда давала войну. Сейчас в районе действий

## თერგი-დაღესტნის მთავრობაში

ამონაწერი კავკასიის არმიის მე-2 სამხარეო ყრილობის დელეგაციების სხდომის №1 ოქმიდან.

§ 5) გროზნო-გუდერმესის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და მთელი სარკინიგზო ხაზის (დერბენტი-პროხლადნაია) დაცვის საკითხზე გადაწყდა: დაცვა ჩამოყალიბდეს კავკასიის არმიის ქვედანაყოფებიდან და კაზაკთა და ოსთა ჯარებიდან. დელეგაციას მიაჩნია, რომ მთის ხალხებს (ინგუშებს და ჩეჩნებს) მხარეში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და აბრაგობის გაუვნებელყოფისთვის, უფლება აქვთ რკინიგზის ხაზიდან გარკვეულ მანძილზე ადგილობრივი ჯარების კორდონები განათავსონ.

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №6 (10 იანვარი), ტფილისი.

## პირდაპირი ხაზით იუწყებიან ბარიკადები ვლადიკავკაზში

ვლადიკავკაზში ბოლო ორი დღეა სიმშვიდეა. ქალაქი ბარიკადებსა და მავთულხლართებშია. ქალაქის მოსახლეობა პანიკურად გარბის. ქალაქის მიმდებარედ ამჟამად ინგუშების ჯგუფები არ არის.

ინგუშები გაყვანილია კაზაკებთან და ქვეით ნაწილებთან საბრძოლველად; არსებული ცნობებით, სუნჯისა და თერგის ხაზებზე ბრძოლა მიმდინარეობს. თერგი-დაღესტნის მთავრობისა და ოსეთის ეროვნული საბჭოს მცდელობები, შეარიგონ დაპირისპირებული მხარეები, დიდ წარმატებას არ მოიტანს, იმის გათვალისწინებით, რომ ინგუშებსა და ჩეჩნებს მთის მთავრობის ყოფილი წევრები ხელმძღვანელობენ, რომელთა პოლიტიკა ყოველთვის გაურკვეველი, საეჭვო და აგრესიულია; ამავდროულად, კაზაკების და სხვა ადგილების მკვიდრთა მასამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა შერიგების პოლიტიკა შეწყვიტოს, რომელსაც შედეგად ყოველთვის ომი მოჰყვებოდა. ახლა საბრძოლო მოქმედებების რაიონში კაზაკები და ქვეითი ნაწილები იყრიან

сосредоточиваются как казаки, так и пехотные части. Пока мер к освобождению Дарьяльскаго ущелья не принято. Войсковое правительство готово послать казачий отряд, но совместно с осетинским отрядом, к чему, видимо, не склонен осетинский национальный совет: идут по этому поводу переговоры с представит. войскового правительства.

– Уполномоченный для сношений с краевым центром г. Сахаров передал по прямому проводу следующее: Сообщаю результаты вчерашняго совещания. Объединенное совещание признало, что без внушительной вооруженной силы Владикавказ и Терская область не могут быть спасены.

Предпринимаются соответствующие конкретные шаги по вызову вооруженной силы воинских частей. Установлена постоянная связь с войсковым правительством, которое, в сознании крайней опасности положения, готово поддержать все шаги и мероприятия.

О положении в области сообщаю: В сторону Грознаго Владикавказ отрезан. Точных сообщений о Грозном нет. Известно лишь, что Грозный осажден и от Назрана до Грознаго положение имеет определенный характер театра военных действий. В действие втягиваются новые массы туземцев. Поезда до Беслана ходят по мере возможности. Телеграфное сообщение постоянно прерывается.

О деятельности национальных советов сообщаю: осетинский совет изолирован, совершенно бессилен и влияния на массы не имеет. Ингушский совет официально держится неопределенной политики, но неофициально известно, что он стоит накануне формальнаго объявления войны.

Горское правительство выехало в Азорнино [Базоркино] и встретило посланнаго к ингушам генерала Фидарова возгласом: – «Война началась»!

С трудом удалось сохранить официальныя отношения. В глазах демократии ингушский совтавს. დარიალის ხეობის გასათავისუფლებლად ამ დრომდე არანაირი ღონისძიება არ გატარებულა. სამხედრო მთავრობა მზადაა გაგზავნოს კაზაკთა რაზმი, თუმცა ოსურ რაზმთან ერთად, რასაც, როგორც ჩანს, ოსთა ეროვნული საბჭო არ იზიარებს: ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მიმდინარეობს.

– მხარის ცენტრთან, ქალაქ სახაროვთან ურთიერთობის საკითხებში უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, პირდაპირი ხაზით გადმოსცა შემდეგი:

გაცნობებთ გუშინდელი შეხვედრის შედეგებს. გაერთიანებულ თათბირზე გადაწყდა, რომ დიდი რაოდენობით შეიარაღებული ძალების გარეშე ვლადიკავკაზის და თერგის ოლქის გადარჩენა შეუძლებელია.

სამხედრო ნაწილების შეიარაღებული ძალების გამოსაძახებლად შესაბამისი კონკრეტული ნაბიჯები იდგმება.

დამყარებულია მუდმივი კავშირი სამხედრო ხელისუფლებასთან, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ვითარების უკიდურესი საფრთხე და მზადაა მხარი დაუჭიროს ყველა ნაბიჯსა და ღონისძიებას.

ოლქში არსებული ვითარების შესახებ გაცნობებთ:

ვლადიკავკაზიდან გროზნოს მიმართულებით გზა მოჭრილია. გროზნოს შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს.

ცნობილია მხოლოდ, რომ გროზნო ალყაშია და ვითარებას ნაზრანიდან გროზნომდე სამხედრო მოქმედებების თეატრს გარკვეული ხასიათი აქვს.

მოქმედებაში ადგილობრივების ახალი მასები ერთვება.

ბესლანამდე მატარებლები შეძლებისდაგვარად დადიან.

სატელეგრაფო კავშირი მუდმივად წყდება.

ეროვნული საბჭოების საქმიანობის შესახებ გაცნობებთ: ოსთა საბჭო იზოლირებულია, სრულიად უძლურია და მასებზე გავლენა არ აქვს.

вет не пользуется никаким доверием и возлагать каких-либо надежд в деле умиротворения на него нельзя.

Утешительного ничего нельзя сказать. 13-го января на окраинах Владикавказа шел бой с наступавшими частями ингушей, но затем туда были посланы парламентеры и, по-видимому, было достигнуто некоторое соглашение, в результате которого перестрелка прекратилась и вчера боев не было. Но это не помешало бандам ночью совершить целый ряд грабежей, причем часть из них началась еще днем.

Здание техническаго училища сожжено. Угрожают подвижному составу, который вчера весь угнали в Беслан. С ним уезжали некоторые жители, кто успел. Но уезжающие вряд ли будут в безопасности, так как с Бесланом нет даже телеграфнаго сообщения, а вышедший четыре дня назад поезд был ограблен. В поезде этом находились наши члены Учредительнаго Собрания. Они также ограблены.

Сообщают, что терско-дагестанское правительство, признав свое безсилие справиться с происходящей анархией, передало свои полномочия городскому самоуправлению. Национальный ингушский совет, а также горское правительство выехали из города.

Городское самоуправление передало полномочия по охране города полковникам Беликову и Кибирову. Средства, находящиеся в их распоряжении, заключаются в самообороне из граждан и наличном составе офицерскаго союза, пополненнаго добровольцами из солдат. Однако у них нет оружия и боевого снаряжения, так что город, в связи с отъездом ингушскаго национальнаго совета, очевидно, обречен на полное разграбление.

Было бы сейчас крайне необходимо во что бы то ни стало удержать военно-грузинскую дорогу, фактически прерванную в Дарьяле, и единственный оставшийся железнодорожный путь на Тифлис.

ინგუშთა საბჭო ოფიციალურად გაურკვეველ პოლიტიკას მისდევს, მაგრამ არაოფიციალურად ცნობილია, რომ ის ომის გამოცხადების წინაშეა.

მთის მთავრობა აზორნინოში [ბაზორკინო] გაემგზავრა და ინგუშებთან გაგზავნილ გენერალ ფიდაროვს შემდეგი შეძახილით შეხვდა:

– „ომი დაიწყო!“.

ამის შემდეგ ოფიციალური ურთიერთობების შენარჩუნება რთული იყო.

დემოკრატიის თვალში ინგუშთა საბჭო არანაირი ნდობით არ სარგებლობს და მასზე რამენაირი იმედის დამყარება მშვიდობის მიღწევასთან დაკავშირებით არ შეიძლება.

დამამშვიდებელს ვერაფერს გეტყვით. 13 იანვარს, ვლადიკავკაზის შემოგარენში ბრძოლა მიმდინარეობდა მოწინავე ინგუშურ შენაერთებთან, მაგრამ შემდეგ იქ ელჩები გაგზავნეს და, როგორც ჩანს, რაღაც შეთანხმება შედგა, რის შედეგადაც სროლა შეწყდა და გუშინ ბრძოლები არ ყოფილა. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ბანდებს ღამით ძარცვის მთელი სერია განეხორციელებინათ, რომელთაგან ზოგიერთი დღისით დაიწყო.

დაიწვა ტექნიკური სასწავლებლის შენობა.

ემუქრებიან მოძრავ შემადგენლობას, რომელიც გუშინ ბესლანში გადაიყვანეს. ზოგიერთი ადგილობრივი, ვინც მოასწრო, მას გაჰყვა. მაგრამ წასულები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უსაფრთხოდ იქნებიან, რადგან ბესლანთან სატელეგრაფო კავშირიც კი არ არის, ხოლო ოთხი დღის წინათ გამოსული მატარებელი დააყაჩაღეს. ამ მატარებელში ჩვენი დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ. ისინიც გაძარცვეს.

გვაცნობეს, რომ თერგი-დაღესტნის მთავრობამ, რომელმაც აღიარა თავისი უუნარობა გაუმკლავდეს მიმდინარე ანარქიას, უფლებამოსილება ქალაქის თვითმმართველობას გადასცა.

ინგუშების ეროვნულმა საბჭომ, ისევე როგორც მთის მთავრობამ, ქალაქი დატოვა.

ქალაქის თვითმმართველობამ ქალაქის დაცვის უფლებამოსილება პოლკოვნიკებს – ბელიკოვსა და კიბიროვს გადასცა. მათ ხელთ არსებული საშუალებები მოქალაქეებისგან

Для обороны необходимы броневики, пулеметы, винтовки, патроны, проволока, живыя силы, пушки, но только в таком количестве, чтобы обезпечить свободный транспорт по пути.

Газета «Кавказ», 1918, №13 (18 января), Тифлис.

## НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ
### [Положение на Военно-Грузинской дороге]

...Военно-грузинская дорога находится в прежнем положении. Должна быть поставлена смешанная охрана в скором времени. Это решено на объединенном заседании ингушскаго и осетинскаго национальных собраний и войскового правительства...

Газета «Кавказ», 1918, №21 (27 января), Тифлис.

## НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ
### [Обстрелы Плиево и Назрани и нарушение транспортного сообщения в Терской области]

Эшелоны, идущие сюда на север, проходят безпрепятственно в Терскую область.

Ни один из них не останавливается ни на Терской, ни в Кубанской обл.

Предлагается возстановить железнодорожное сообщение между Бесланом и Карабулахом, но в виду того, что казаки каждый день обстреливают орудиями Плиево и Назрань, пока ничего сделать нельзя.

Карабулахцы высылают каждый день бронированный поезд, который обстреливает несчастное Плиево.

Ингуши препятствуют возстановлению линии.

Газета «Кавказ», 1918, №45 (25 февраля), Тифлис.

შემდგარი თავდაცვა და ოფიცერთა კავშირის პირადი შემადგენლობაა, რომელიც მოხალისე ჯარისკაცებითაა შევსებული. თუმცა მათ არც იარაღი აქვთ და არც სამხედრო აღჭურვილობა, ასე რომ ქალაქი, ინგუშების ეროვნული საბჭოს წასვლის გამო აშკარად სრული გაპარტახებისთვისაა განწირული. ახლა უკიდურესად აუცილებელი იქნებოდა საქართველოს სამხედრო გზის შენარჩუნება, რომელიც ფაქტობრივად შეწყვეტილია დარიალში, ასევე, ტფილისამდე ერთადერთი დარჩენილი სარკინიგზო მარშრუტის.

თავდაცვისთვის საჭიროა ჯავშანმანქანები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, მასრები, მავთულები, ცოცხალი ძალა და ქვემეხები, მაგრამ მხოლოდ იმ რაოდენობით, რომ გზაზე ტრანსპორტი იქნას დაცული.

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №13 (18 იანვარი), ტფილისი.

## ჩრდილოეთ კავკასიაში
### [მდგომარეობა საქართველოს სამხედრო გზაზე]

...საქართველოს სამხედრო გზა თავის უწინდელ მდგომარეობაშია. უახლოეს დროში შერეული უსაფრთხოების ძალები უნდა ჩადგეს. ეს ინგუშებისა და ოსების ეროვნული კრებისა და სამხედრო მთავრობის ერთობლივ სხდომაზე გადაწყდა...

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №21 (27 იანვარი), ტფილისი.

## ჩრდილოეთ კავკასიაში
### [პლიევოსა და ნაზრანის დაბომბვა და სატრანსპორტო კავშირების შეფერხება თერგის ოლქში]

ჩრდილოეთისკენ მიმავალი ეშელონები შეუფერხებლად გადიან თერგის ოლქში. არცერთი

## ВО ВЛАДИКАВКАЗЕ

**(Разговор по прямому проводу)**

**[Конфликт по вопросу землепользования]**

У аппарата член продовольственнаго комитета Церетели.

– Положение во Владикавказе снова катастрофическое. На почве земельных отношений между казаками и ингушами возник острый конфликт.

... Ингуши, арендовавшие у казаков земли, требуют передачи всех земель до Терека в их руки...

Газета «Кавказ», 1918, №56 (11 марта), Тифлис.

## РАЗГОВОР ПО ПРЯМОМУ ПРОВОДУ МЕЖДУ ЧЛЕНОМ КР. ЦЕНТРА ПАЛАВАНДИШВИЛИ С ТОВ. ПИРУМОВЫМ

В Терской области вновь вспыхнула гражданская война. Между Ольгинским и аулом Базаркино идет артиллерийская канонада; оседлые казаки повели наступление совместно с разоруженными офицерами против ингушей. Приехавши из Чечни, я принял участие, чтоб возстановить мир между ингушами и осетинами – не удалось. Ингуши согласны были на все компромиссы и жертвы, но осетины категорически отказались вести какие-либо мирные переговоры. Для ингушей под науськиванием казаков и разоруженных офицеров создалось безвыходное положение. 10-го числа, по возвращении из Чечни, удерживал ингушей от 9-ти часов утра до 5-ти час. вечера от активных выступлений и когда мирная делегация была направлена к осетинам и казакам, осетины и казаки стреляли по мирной делегации; из числа делегации под белым флагом был убит представитель терскаго народнаго съезда, фамилии не знаю. Бои продолжаются. Бои принимают широкие размеры, не знаю что предпринять…

Газета «Кавказ», 1918, №58 (14 марта), Тифлис.

მათგანი არ ჩერდება არც თერგისა და არც ყუბანის ოლქში.

შემოთავაზებულია ბესლანსა და ყარაბულაკს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, თუმცა ამჟამად ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან კაზაკები ყოველდღიურად არტილერიით ბომბავენ პლიევოსა და ნაზრანს.

ყარაბულაკები ყოველდღიურად გზავნიან ჯავშანმატარებელს, რომელიც პლიევოს დაბომბვას ახორციელებს.

ინგუშები ხელს უშლიან ხაზის აღდგენას…

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №45 (25 თებერვალი), ტფილისი.

## ვლადიკავკაზში

**(საუბარი პირდაპირი ხაზით)**

**[კონფლიქტი მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით]**

აპარატთან სასურსათო კომიტეტის წევრი წერეთელი.

– ვლადიკავკაზში მდგომარეობა კვლავ კატასტროფულია. კაზაკებსა და ინგუშებს შორის მიწით სარგებლობასთანთან დაკავშირებით მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა.

...ინგუშები, რომლებსაც კაზაკებისგან მიწები იჯარით აქვთ აღებული, მოითხოვენ, რომ თერგამდე მთელი მიწა მათ ხელში გადავიდეს...

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №56 (11 მარტი), ტფილისი.

## სამხარეო ცენტრის წევრის ფალავანდიშვილის და ამხანაგ პირუმოვის პირდაპირი ხაზით საუბარი

თერგის ოლქში კვლავ სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ოლგინსკსა და სოფელ ბაზორკინოს შორის ქვემეხების გრიალია; იქ მობინადრე კაზაკებმა განიარაღებულ ოფიცრებთან ერთად ინგუშების წინააღმდეგ შეტევა წამოიწყეს.

### ПО КАВКАЗУ
### [О положении беженцев на Военно-Грузинской дороге]

Назрань. Председатель ингушскаго национальнаго совета Зобагиев **[Джабагиев]** просит правительство не направлять в будущем новых беженцев по Военно-грузинской дороге, так как пропуск им не гарантирован. Что же касается находящихся в пути беженцев, то ингушский совет принимает все меры к пропуску их.

Газета «Кавказ», 1918, №109 (31 мая), Тифлис.

Б. Костоев , М. Альтемиров и З. Палавандишвили

ჩეჩნეთიდან ჩამოსულმა, მონაწილეობა მივიღე ინგუშებსა და ოსებს შორის მშვიდობის აღდგენაში, მაგრამ არ გამოვიდა. ინგუშები ყველა კომპრომისსა და მსხვერპლზე თანახმა იყვნენ, მაგრამ ოსებმა კატეგორიული უარი განაცხადეს სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოებაზე. ინგუშებისთვის კაზაკებისა და განიარაღებული ოფიცრების წაქეზებით გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა... 10-ში, ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ, დილის 9:00 საათიდან საღამოს 5:00 საათამდე ინგუშებს აქტიური მოქმედებებისგან ვაკავებდი. როდესაც ოსებთან და კაზაკებთან სამშვიდობო დელეგაცია გაიგზავნა, ოსებმა და კაზაკებმა სამშვიდობო დელეგაციას ცეცხლი გაუხსნეს. მოკლეს თერგის სახალხო კონგრესის წარმომადგენელი, თეთრი დროშის ქვეშ მყოფი, რომლის სახელიც არ ვიცი. ბრძოლები გრძელდება. ის ფართომასშტაბიან ხასიათს იღებს და არ ვიცი, რა მოვიმოქმედო...

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №58 (14 მარტი), ტფილისი.

### კავკასიაში
### [საქართველოს სამხედრო გზაზე ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ]

ნაზრანი. ინგუშთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ზობაგიევი [ჯაბაგიევი] მთავრობას სთხოვს, მომავალში აღარ გაუშვას ახალი ლტოლვილები საქართველოს სამხედრო გზით, ვინაიდან მათი უსაფრთხო გატარება გარანტირებული არ არის. რაც შეეხება გზაში მყოფ ლტოლვილებს, ინგუშთა საბჭო ყველა ზომას იღებს მათი გატარების უზრუნველსაყოფად.

გაზეთი „კავკაზი“, 1918, №109 (31 მაისი), ტფილისი.

# „დროება“

პირველი ევროპული ტიპის ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი;
გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს გ. წერეთლის რედაქტორობით;
რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის გამო,
კავკასიის მეფისნაცვლის ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით დაიხურა
1885 წლის 16 სექტემბერს.
(ქართულ ენაზე)

**1866 - 1885**

# «ДРОЭБА»

ПЕРВАЯ ГРУЗИНСКАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА ЕВРОПЕЙСКОГО ОБРАЗЦА;
ИЗДАВАВШАЯСЯ С 4 МАРТА 1866 ГОДА ПОД РЕДАКЦИЕЙ Г. ЦЕРЕТЕЛИ; ИЗ-ЗА РАДИКАЛЬНОЙ
НАПРАВЛЕННОСТИ И НАРУШЕНИЯ ЦЕНЗУРНЫХ ПРАВИЛ ГАЗЕТА «ДРОЭБА»
БЫЛА ЗАКРЫТА ПО РАСПОРЯЖЕНИЮ НАМЕСТНИКА НА КАВКАЗЕ
А. М. ДОНДУКОВА-КОРСАКОВА 16 СЕНТЯБРЯ 1885 ГОДА.
(На грузинском языке)


№ 188 8 მარტს, ხუთშაბათი 1866—1877

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲕᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲬᲔᲠᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ


ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ

## ტელეგრამები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

— მთავრობა ბევრ არისო გაერცელებული, რომ ვითომც ერთს ქრისტეს სოფელს, სახელდობრ ზეელეთს, გადასახლებას უპირებენო, რადგანაც ქურდობა და ავაზაკობა თუ ამათგან არა მოხდა, მომჭედელ სხვადა-სხვა ავაზაკობისას მაინც იცნობენ და მასპინძლობენო. ამ ხმის სიმართლე დაუჯერებელია, რადგანაც ეხლა ყველათვის საბრუნველი ის არის, რომ ხალხში ქურდობისა და სხვა ამ გვარის საქმის მოსპობა მათის მდგომარეობის გაუმჯობესებით უნდათ და არა იმ ცდარიბებით, როდესაც კაცი იძულებული ხდება ლუკმა პურის მოსაპოვებლად ავაზაკურ შეკრებს. გადასახლების შემდეგაც სწორედ ესეთი ამბავი მოხდება.

8 ნოემბერს ორი ესკადრონი ოსმალოს ცხენოსანი ჯარისა დაეცა სოფელ სოლენიკოან (ქაქელოვასთან) ჩვენს ჯარს და დაათმობინა თავის ბანაკი; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, მდ. ლომის მეორე ნაპირიდამ მოვიდა ჩვენი ორი პოლკი გურასისა, აგრეთვე ერთი დივიზიონი ინგუშებისა და ისევ წაართვეს ოსმალოებს ეს ალაგები ქაქელოვოს წინ. ჩვენის მხრით 1 მოკლულია, 12 დაჭრილი; მოგვეკლნენ აგრეთვე 25 ცხენი.

ეს არის მოვიდა ამბავი, რომ დონის ჯაზბების სტარშინას აფანასიევს ეწესის სოტნით გაუდევნია როზელიტის ქვედამ ოსმალოს ჯარი და წაურთმევია იმათთვის სუხარი და საომარი მასალები.

4 ნოემბერს, ერთს უბრალო სროლის დროს, პლევნოსთან, ყუბარის ნამტერვისაგან მძიმედ გაჯანრულია ღენ. სკობელევი, რომელიც წინა ღამესაც იყო აგრეთვე მცხუნჯე დაჭრილი; მაგრამ საშიში არა არისრა, და ის ისევ თავის ჯარების სარდლად იქნება.













## ვლადიკავკაზის გზის ამბავი

### [ინგუშთა გადამწყვეტი როლი მგზავრთა და ფოსტის გადაადგილებაში ვლადიკავკაზის გზის პარალიზების დროს]

როგორც ჩვენ მკითხველებს გაგონილი ექნებათ, ვლადიკავკაზის გზა ძალიან გაფუჭებულია: ფოჩტა და მგზავრი იგვიანებენ და ამისთანა სიარულის დროს მისვლა-მოსვლა ძალიან დაბრკოლებაშია.

აქ შეგვიძლია ნამდვილი ამბავი შევატყობინოთ მკითხველს...

... წყლის დაჭერილი გზა იქნება ორას-სამას ნაბიჯამდის. ეს ადგილი მთის ძირს არის, გვერდზე სავალი გზა არ აქვს და, არცთუ ურემს, ცხენსაც კი არ შეუძლია გაიაროს; მხოლოდ ქვეითა კაცს შეუძლია, იქაურ მთიელების შემწეობით, გადაიაროს ამ ადგილის მთა. პირველი მატარებლები გამოჩნდნენ ინგუშები, ჯირახის[1] აულის გლეხები, რომელნიც ამ გზის პირდაპირ თერგ გაღმა დგანან, ეს არემარე და ხეობები კარგათ გაზომილები აქვთ. ეს გლეხები კაცზე ორ-სამ და ოთხ მანეთს იღებენ ბარგის მიხედვით (ფუთზე ორ-სამ მანეთს იღებენ).

თვრამეტ რიცხვს ხუთმა მგზავრმა გაბედა და გადმოვიდა შვიდის ინგუშის დახმარებით ბალთის აქეთი მხრითგან. იმავე მატარებლებმა გადაიყვანეს ფოჩტის უფროსი კახანოვი.

კარგი იქნებოდა, რომ მოხერხებულიყო, ფოჩტა გადაეტანათ ამნაირათვე კაცებსა; ახლა კი იქით სტანციაზე, ბალთაში და ლარსში, სამი-ოთხი ფოჩტა[ა] კავკასიის, რუსეთისა და საზღვარგარეთის. ეს მით უფრო სასურველი არის, რომ ახლანდელი ომიანობის ამბებს ყველა მოუთმენლათ მოელის. ამას გარდა, როგორც ლაპარაკობენ, ერთ თვემდინ იქნება გზის გაკეთებაც ვერ მოასწრონ...

გაზეთი „დროება“, 1870, №29 (25 ივლისი), ტფილისი.

## ИСТОРИЯ ВЛАДИКАВКАЗСКОЙ ДОРОГИ

### [Решающая роль ингушей в переправе пассажиров и почты в период парализации Владикавказской дороги]

Как, возможно, слышали наши читатели, Владикавказская дорога очень испорчена: почта и путники запаздывают, а кроме того, во время передвижения добраться туда и обратно очень сложно.

Здесь мы можем сообщить читателю правдивую историю...

...Длина пути вдоль воды составляет двести-триста шагов. Это место находится у подножия горы, не имеет подсобного пути, и не то что телега, даже лошадь не может пройти через него; только пеший человек с помощью местных горцев может пересечь гору в этом месте. Первыми проводниками оказались ингуши, крестьяне из аула Джейрах, которые живут прямо напротив дороги, по ту сторону Терека. У них прекрасно размерены эти окрестности и ущелья. Эти крестьяне берут по два-три-четыре рубля на человека, в зависимости от груза (за пуд берут по два-три рубля).

Восемнадцатого числа пятеро путников осмелились и перебрались с помощью семи ингушей со стороны Балты. Эти же проводники перевезли с этой стороны начальника почты Каханова.

Было бы неплохо, если бы люди могли перевозить таким же образом почту; а сейчас на станции по ту сторону – в Балте и Ларсе – три-четыре почты с Кавказа, из России и из-за границы. Это тем более желательно, что все с нетерпением ждут новостей о текущих боевых действиях. К тому же, как говорят, пройдет около месяца, прежде чем успеют построить дорогу...

Газета «Дроэба», 1870, №29 (25 июля), Тифлис.

[1] ჯეირახის.

## საქართველო. ნაგლეჯ-ნაგლეჯი ამბები

### [თერგის მარცხენა სანაპიროს სარწყავი პროექტი და ოსმალეთიდან დაბრუნებული ჩეჩნებისა და ინგუშების (ყარაბულაკების) განსახლების საკითხი]

„თერგის უწყებებში“ სწერენ, რომ ჩეჩნები და ყარაბულახები, რომლებიც 1865 წელს გადასახლდნენ ოსმალეთში, ახლა გროვ-გროვათ ბრუნდებიან უკანო. ისინი ისეთ შესაბრალის მდგომარეობაში არიან თურმე, რომ მთავრობას ეძნელება იმათი უკან დაბრუნება. თერგის მაზრის მთავრობა იქაურ აულებში ასახლებს უკან დაბრუნებულ ლეკებსა[1], მაგრამ თანდათან იმდონი მოდიან თურმე, რომ მალე აულებში აღარ დაეტევიან და მაშინ სხვა რამე ღონე უნდა მოუპოვოს ამ საწყლებს. ამბობენ, მთავრობას ჰსურსო, ყიზლარის მაზრაში მისცეს იმათ დაუჭერელი ალაგები; მაგრამ ეს ადგილები ახლა სრულიად უწყლოა თურმე და იქ დასახლება შეუძლებელი იქნება. ამიტომაც, ამ გაზეთისავე სიტყვით, თერგის მაზრის უფროსს განუზრახავს თერგის მარცხენა მხარეზე არხების გაყვანა მინდვრებში, რომ ამით მიწა უფრო მომცემი და ნაყოფიერი შეიქნეს. ეს არხები იმას გარდა, რომ თერგის მარცხენა მხარეს გაანაყოფიერებს, კიდევ იმ სარგებლობას მოიტანს, რომ აღარც მარჯვენა მხარეზე გადივლის წყალი და იქაური მცხოვრებლები წყლის მომატებისაგან დაცულნი იქნებიან. ამბობენ, რომ კავკასიის უმაღლესს მთავრობას ეს უკანასკნელი პროექტი თანაგრძნობით მიუღია და აქაური ტეხნიკური საზოგადოების ორ წევრს (სტებნიცკისა და პალიბინს) გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ჩვენ გამოვიკვლევთ იმ ადგილებს და შევიტყობთ – შეიძლება იქ არხების გაყვანა თუ არა, ან რა დაჯდებაო.

გაზეთი „დროება“, 1871, №48 (10 დეკემბერი), ტფილისი.

[1] ლეკებში პუბლიკაციის ავტორი მუჰაჯირობიდან დაბრუნებულ ინგუშებსა და ჩეჩნებს მოიაზრებს.

## ГРУЗИЯ. ОТРЫВОЧНЫЕ НОВОСТИ

### [Ирригационный проект на левом берегу Терека и вопрос расселения возвращающихся из Османской империи чеченцев и ингушей (карабулаков)]

В «Терских Ведомостях» пишут, что чеченцы и карабулаки, переселившиеся в Османскую империю в 1865 году, сейчас толпами возвращаются назад. Оказывается, они находятся в таком плачевном состоянии, что правительству сложно вернуть их обратно [в Османскую империю].. Правительство Терского уезда расселяет вернувшихся леков[1] в местные аулы, но оказывается, постепенно их становится столько, что они уже не смогут поместиться в аулах, и тогда придется искать другие способы для этих несчастных. Говорят, что правительство хочет отдать им свободные земли в Кизлярском уезде; но эти места сейчас совершенно безводны, и поселиться там будет невозможно. Поэтому, по словам этой же газеты, глава Терского уезда намерен провести каналы на полях по левому берегу Терека, чтобы сделать землю более производительной и плодородной. Помимо орошения левой стороны Терека, эти каналы также принесут и другую пользу – предотвратят переток воды на правый берег и местные жители будут защищены от повышения уровня воды. Говорят, что Верховное правительство Кавказа с сочувствием отнеслось к этому последнему проекту, и двое членов местного Технического общества (Стебницкий и Палибин) выразили желание исследовать те места и выяснить, можно ли там проложить каналы, и сколько это будет стоить.

Газета «Дроэба», 1871, №48 (10 декабря), Тифлис.

[1] Под «Леков» автор публикации подразумевает ингушей и чеченцев, вернувшихся из мухаджирства.

## თერგის ქვეყანა

**[თერგის მხარის ეთნოგრაფიული მიმოხილვა: ადმინისტრაციული სტრუქტურა, ურბანული ცენტრები და ქისტების/ინგუშების ეთნოსივრცე]**

თერგის ქვეყანა განიყოფება ხუთ ნაწილათ: – პირველი ნაწილი არის ვლადიკავკასის მაზრა, მეორე – გიორგიევსკისა, მესამე – პიატიგორსკისა, მეოთხე – გროზნისა და მეხუთე – ყიზლარისა.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში შემთხვევით დავიარე ოთხი მაზრა ამ ხსენებულთაგან და მინდა ახლა თქვენს მკითხველებს წარუდგინო მკრთალი სურათი მაინც არის აქაური ბუნებისა და ხალხისა. შემდეგისათვის მე ვამზადებ უფრო ვრცელ წიგნს, რომელშიაც შეძლებისადაგვარად მინდა უფრო დაწვრილებით აღვწერო როგორც ეს ქვეყანა, აგრეთვე აქაური ხალხების ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებანი, ხასიათები და სხვ.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ჯერ ამ ქვეყნის დედა-ქალაქზედ, რადგანაც ნათქვამია, რომ „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო!...“

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ი მდებარეობს სამხედრო საქართველოს გზის შემოსავალ ყელში, ვაკე ადგილას. სიმგრვლივ ქალაქს ექნება ზედმიწევნით თხუთმეტიდამ ოც ვერსამდის. ხმელეთის გზით აქეთ ჩამოივლის ჩვენსკენ გამომგზავრებული ევროპიის და რუსეთის განათლება (ცივილიზაცია) და თქვენ აქაურელების გულკეთილობა გაშინჯეთ, ჩვენ საქართველოს სასარგებლოთ, რომ თავიანთვის ჯერ ბაჟს არ იღებენ!... შუა ქალაქში ჩამომდინარებს ხნიერი გასათხოვარი ქალივით ანჩხლი, შფოიანი თერგი.

ქალაქი იყოფა ორ ნაწილათ, ევროპიულის და აზიურის ხასიათებით. აღმოსავლეთის მხარეს სცხოვრობენ ოსები, ძალიან ბინძურათ; დანარჩენ ქალაქის ნაწილებში არეულ-დარეულები არიან ყველა ნაირი ყალიბის ხალხნი, და არც ამათშია შესანიშნავათ გიგიენურის მხრით სიფაქიზის წესი დაცული.

## ТЕРСКАЯ СТОРОНА

**[Этнографический обзор Терского края: административная структура, городские центры и этническое пространство кистин/ингушей]**

Терская сторона разделена на пять частей: – первая часть – Владикавказский уезд, вторая – Георгиевский, третья – Пятигорский, четвертая – Грозненский и пятая – Кизлярский.

За короткий промежуток времени мне удалось ненароком объездить четыре уезда из названных, и теперь я хотел бы представить вашим читателям хотя бы блеклую картину о здешней природе и людях. На будущее я сделаю более обширную книгу, в которой хотел бы как можно подробнее описать как эту сторону, так и образ жизни, обычаи, характеры и т.д. здешних людей.

Сначала скажу несколько слов о главном городе этой стороны, потому что, как говорится: «Яблоко от яблони недалеко падает».[1]

В л а д и к а в к а з расположен у въезда на Военно-Грузинскую дорогу, на равнинной местности. Окружность города будет точно до пятнадцати-двадцати верст. Образование (цивилизация) Европы и России, направляющиеся к нам по суше, проходит через него, кроме того, нужно знать доброту местных жителей, на благо нас, Грузии, ведь они не берут с нас пошлин!... Посреди города протекает Терек, сварливый, беспокойный, словно незамужняя старуха.

Город разделен на две части с европейскими и азиатскими особенностями. На восточной стороне живут осетины, очень неряшливо; в остальных частях города смешаны люди всех мастей, среди них правила чистоплотности гигиены соблюдаются также не особенно тщательно.

[1] „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო!..“. Грузинская пословица. Дословно: «Посмотри на мать, посмотри на отца, затем посмотри на дитя!» (примеч. переводчика Н. Амирэджиби).

საუკეთესო ნაწილს ქალაქისას შეადგენს ალექსანდროვის ქუჩა.

შიგ ქალაქშია სცხოვრობს თერგის უფროსი თავისი შტაბით, გამგეობით, სტამბით და სხვ... ქალაქსა აქვს საზოგადო ბანკი და ჰყავს გამგეობა (ქალაქის რჩევა). იმყოფება ხაზინა, მომრიგებელი მოსამართლეები, ძალიან უხეიროთ განწესებულები, ოლქის სასამართლო, მომრიგებელ მოსამართლეთა კრება, (მირავოი სიეზდი), ზამთრობით გაჩაღებული კლუბები და თეატრი, ზაფხულობით საზაფხულო ბაღი – როტონდა; სასწავლებლები: გიმნაზია, სამხედრო პროგიმნაზია, ლორის-მელიქოვის სახელოსნო სასწავლებელი, საქალებო სასწავლებლები და სხვა მრავალი კარგი და ავი დაფუძნებანი...

... მოზდოკისა და მაჰამად-იურთის არე-მარეც ყაბარდოს ეკუთვნოდა და ეძახიან ეხლაც „პატარა ყაბარდოს“... ამ მხარის მცხოვრებლები არიან: ჩერქეზები, ოსები, ქისტები, კოლონისტი-ნემეცები, რუსი-ყაზახები, რუსი-გლეხები. შიგ ქალაქში [მოზდოკი] ურიებიც ბლომათ არიან და სომხებს ხომ რაღა გამოაკლებს ამათში. ქალაქის შენობა თანდათან ვრცელდება და უმჯობესდება.

**გ. გრემელი**

გაზეთი „დროება“, 1876, №123 (14 ნოემბერი), ტფილისი. გაზეთი „დროება“, 1876, №124 (17 ნოემბერი), ტფილისი.

Лучшая часть города – улица Александрова.

Начальник Терека проживает в самом городе, со своим штабом, правлением, типографией и т.д... В городе имеется Общественный банк и Правление (9 городских советов). Имеются казначейство, мировые судьи, очень неудачно назначенные, окружной суд, собрание мировых судей (мировой съезд), клубы и театр, открывающиеся зимой, а летом – летний сад – ротонда; училища: гимназия, военная прогимназия, Лорис-Меликовское ремесленное училище, женские училища и много других хороших и плохих заведений...

...Окрестности Моздока и Махамад-Юрта также относились к Кабарде и до сих пор называются «Малая Кабарда»... Жители этой стороны: черкесы, осетины, кистины, колонисты-немцы, русские-казаки, русские-крестьяне. В самом городе [Моздоке] также много евреев, а кто сосчитает среди них армян? Городская застройка постепенно расширяется и благоустраивается.

**К. Гремель**

Газета «Дроэба», 1876, №123 (14 ноября), Тифлис. Газета «Дроэба», 1876, №124 (17 ноября), Тифлис.

# ინგუშთა პოლკები და დივიზიონები რუსეთ-ოსმალეთის 1877 წლის ომის ქრონიკებში

# ИНГУШСКИЕ ПОЛКИ И ДИВИЗИОНЫ В ХРОНИКЕ РУССКО-ТУРЕЦКОЙ ВОЙНЫ 1877 ГОДА

## საქართველო: დღიური

ჩრდილოეთ კავკასიიდამ, რომელსაც პატკოვი, სუვორინი ამ უკანასკნელ დროს ამდენ ცილსა სწამებენ, ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი, რომელიც ამტკიცებს, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ამათ ერთგულებაზე ეჭვის შამოღება:

„აქეთ მხარეს ამჟამად სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. თუ ვინიცობაა, საჭიროებამ მოითხოვა ომიანობისათვის, მაჰმადიანი მთიულებისაგან მილიცია შესდგება თავიანთ თანამერჯულე ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ საგანზე განკარგულება უკვე არის მოხდენილი და თითქმის მზათაც არიან დაძახვის უმალ გამოვიდნენ.

„ორი პოლკი – ერთი ინგუშებისა-ჩაჩნებისა და ერთიც ოსების წარსულს ქრისტეშობის თვეში გაემგზავრნენ აქედამ (ვლადიკავკასიდამ) დუნაისაკენ.“

გაზეთი „დროება“, 1877, №13 (2 თებერვალი), ტფილისი.

## ტელეგრამმები ბრძოლის ველიდამ (ოფიციალური)

### ბოგოტი, 5 გიორგობისთვეს

2 ნოემბერს შუმლისა და ოსმან-ბაზარისაკენ ჩვენს მოწინავე ჯარს ჰქონდა რამდენიმე შეტაკება ჩერქეზებთან და ბაშიბუზუყებთან.

3 ნოემბერს ორი ესკადრონი ოსმალოს ცხენოსანი ჯარისა დაეცა სოფელ სოლენიკთან (კაცელოვასთან) ჩვენს ჯარს და დაათმობინა თავის ბანაკი; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგმ მდ. ლომის მეორე ნაპირიდამ მოვიდა ჩვენი ორი პოლკი ჰუსართა, აგრეთვე ერთი დივიზიონი ინგუშებისა და ისევ წაართვა ოსმალოებს ეს

## Грузия: дневник

С Северного Кавказа, на который Патков и Суворин так много клевещут в последнее время, мы получили следующее письмо, доказывающее, насколько необоснованны сомнения в их верности:

«В настоящее время в этой стороне царит полный мир. Если по каким-либо причинам возникнет военная необходимость, горцы-мусульмане сформируют милицию против своих единоверцев-османов. Приказ по этому вопросу уже отдан, и они почти готовы выступить на зов».

«Два полка – один ингушо-чеченский и один осетинский – выступили отсюда (Владикавказа) к Дунаю в прошлом месяце Рождества» (декабре).

Газета «Дроэба», 1877, №13 (2 февраля), Тифлис.

## Телеграммы с поля битвы (официальные)

### Богот, 5-й день месяца Святого Гиоргия [ноября]

2 ноября наша передовая армия в направлении Шумли и Осман-Базара имела несколько стычек с черкесами и башибузуками.

3 ноября два эскадрона османской кавалерии около деревни Соленик (Кацелово)[1] напали на нашу армию и заставили ее сдать свой лагерь; но немного спустя, с другого берега реки Льва, прибыли два наших гусарских полка, а также одна дивизия ингушей и снова отняли у османов эти места перед Кацелово. С нашей стороны 1 убитый, 12 раненых; также убиты 25 наших лошадей...

Газета «Дроэба», 1877, №188 (8 ноября), Тифлис.

[1] Кацелово – село в Болгарии.

ალაგები კაცელოვოს[1] წინ. ჩვენი მხრით 1 მოკლულია, 12 დაჭრილი; მოგვიკლეს აგრეთვე 25 ცხენი ...

გაზეთი „დროება“, 1877, №188 (8 ნოემბერი), ტფილისი.

## ТЕЛЕГРАММЫ С ПОЛЯ БИТВЫ (ОФИЦИАЛЬНЫЕ)

Богот, 15-го ноября

Вчера, 14 ноября, многочисленная армия османов атаковала наши позиции близ Тростеника и Мечки; после шести часов ожесточенного боя войска Великого князя Владимира Александровича обратили врага вспять и до наступления темноты преследовали его; османы наступали на нас с удивительным остервенением; приближались к нашим батареям на расстоянии ста шагов и поэтому понесли большой урон. Множество убитых и раненых оставили они на поле боя; несколько раненых мы взяли в плен.

В этот же день, 14-го числа, османская армия подошла к Поломарсу; но наш отряд, поставленный здесь, встретил врага и вытеснил его на противоположный берег реки Лев.

Днем большая османская армия двинулась в сторону Кацелово; но и здесь после небольшой перестрелки противник отступил; в этом последнем столкновении ингушские и атаманские [казачьи] дивизионы проявили себя с особой храбростью.

Газета «Дроэба», 1877, №196 (18 ноября), Тифлис.

## ტელეგრამმები ბრძოლის ველიდამ (ოფიციალური)

**ბოგოტი, 15 ნოემბერს**

გუშინ, 14 ნოემბერს, დიდძალი ჯარი ოსმალებისა დაეცა ჩვენს პოზიციებს ტროსტენიკთან და მეჩკასთან; ექვსი საათის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, დ. თ. ვლადიმირ ალექსანდრეს ძის ჯარებმა უკუაქციეს მტერი და დაღამებამდინ სდიეს იმასა; გასაკვირველის სიცხარით მოგვადგნენ ოსმალოები; ას ნაბიჯზე უახლოვდებოდნენ ჩვენს ბატარეებს და ამიტომ ბევრი ზარალი ნახეს. ბევრი თავის მოკლულები და დაჭრილები დასტოვეს იმათ ბრძოლის ველზე; რამდენიმე დაჭრილი ტყვედ ავიყვანეთ.

ამ დღესვე, 14-ს, ოსმალოს ჯარი მიადგა პოლომარცს; მაგრამ აქ დაყენებული ჩვენი ატრიადი მიეგება მტერს და მდ. ლომის გაღმა განდევნა ის.

შუადღეზე დიდ-ძალი ოსმალოს ჯარი კაცელოვოსაკენ გამოემართა; მაგრამ აქაც ცოტაოდენი სროლის ატეხის შემდეგ, მტერმა უკან დაიწია; ამ უკანასკნელ შეტაკებაში ინგუშებისა და ატამანელების დივიზიონებმა გამოიჩინეს განსაკუთრებულის მხნეობით თავი.

გაზეთი „დროება“, 1877, №196 (18 ნოემბერი), ტფილისი.

[1] კაცელოვო – სოფელი ბულგარეთში.

## შინაური ქრონიკა

### [გველეთის ქისტები სიდუხჭირესა და ავაზაკობის ბრალდებას შორის]

მთაში ხმა არისო გავრცელებული, რომ ვითომც ერთს ქისტის სოფელს, სახელდობრ გველეთს, გადასახლებას უპირებენო, რადგანაც ქურდობა და ავაზაკობა თუ ამათგან არა მოხდა, მომქმედთ სხვადასხვა ავაზაკობისას მაინც იცნობენ და მასპინძლობენო. ამ ხმის სიმართლე დაუჯერებელია, რადგანაც ეხლა ყველასთვის საზრუნველი ის არის, რომ ხალხში ქურდობისა და სხვა ამგვარის სენის მოსპობა მათის მდგომარეობის გაუმჯობესობით უნდათ და არა იმ გაღარიბებით, როდესაც კაცი იძულებული ხდება ლუკმა-პურის მოსაპოებლად ავაზაკი შეიქნეს. გადასახლების შემდეგ კი სწორედ ესეთი ამბავი მოხდება.

გაზეთი „დროება“, 1885, №62 (21 მარტი), ტფილისი.

## ВНУТРЕННЯЯ ХРОНИКА

### [Кистины Гвелети между нуждой и обвинением в разбое]

В горах распустили слух, что якобы одно из кистинских селений под названием Гвелети намерены переселить, так как если жители этого села и не принимали участие в кражах и грабежах, то они об этом по крайней мере знали. Поверить в этот слух невозможно, так как сейчас все заботятся о том, чтобы искоренить воровство и другие пороки путем улучшения положения местных жителей, а не доводить их до того, чтобы из-за куска хлеба им приходилось становиться ворами. После высылки же этих людей произойдет именно это.

Газета «Дроэба», 1885, №62 (21 марта), Тифлис.

# „ივერია“

ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა,
გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ყოველკვირეულ გაზეთად,
1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, 1886 წლიდან – ყოველდღიურ გაზეთად.
დამაარსებელი და რედაქტორი – ილია ჭავჭავაძე.
(ქართულ ენაზე)

**1878-1906**

# «ИВЕРИЯ»

ГРУЗИНСКОЕ ПОЛИТИКО-ЛИТЕРАТУРНОЕ ПЕРИОДИЧЕСКОЕ ИЗДАНИЕ,
ИЗДАВАЛОСЬ В ТБИЛИСИ С 3 МАРТА 1877 ГОДА, КАК ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА,
В 1879-1885 ГОДАХ – КАК ЖУРНАЛ, А С 1886 ГОДА – КАК ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА.
ОСНОВАТЕЛЬ И РЕДАКТОР: ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ.
(На грузинском языке)


№ 45
1877—1905
# ივერია
№ 45

ბ. ქუთაისი. ცნობილების მიღებისა გან ვარეულებით ხელისუფლ ქალს.

ბა გზელარი და მიაგრობან ბინც სამხედროში მოიყვანა თავი გარდაწყვეტილება.

შენდეგ ქარტების გარდასახლებისა, ითვლის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ყუდროება ჩამოყარდებოდა და ეზაურს მიეცემოდა შესაძლება ტრამწარად მეზობრობისა. მაგრამ, საწყენარად, ეგრეთად გამართლდა ეს ბალიანი და იგიც ფ-კაცობა ბერობდა დღესაც. გველთელი ქარტები ცხლი აქვთ ადრე სცხოვრობენ და, საკვირველია, ვინ არიან სანდენი ამ ფ-კაცობაზე! დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს ახლად მომხდარ მაგალითს: ამ თვის 1, ნახევრდღეს 5 საათზედ, კაკალიდების ტყეულის გაემგზავრენ ერთის „ომნაბეჭდით“ ხუთნი: ერთი მასწავლებელი ბალიანის და 3 მოსწავლე ტყეულების საქალაქო ინსტიტუტისა და ერთიც სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, ს. გ—ძე თ—ოსელი. „ომნაბეჭდი“ ისეთი იყო, რომ მთელი ბირი მგზავრების ნაწილი იყო უკან, რიგდა შეუძლებელი შეგ-ბედნიერა თავ-ყ-ის დაბრუნა. საღ. ეზაურში რომ მოსულან (ღამე ყოფილა), ენახათ, რომ არც ერთის მგზავრის ბირი ადარ არის: უკანასკნელი ეიდა უკნის მორიტ-განწირებელი თეთრით. რაღა თქმა უნდა, აქეთ-იქით სცვნიან, მაგრამ კვალისთვისაც ვერ მიუკნიათ. ასე ჩვენებურებმა დარჩნენ საბრალო მგზავრების ამოსენ, მთელი თვითონ ჩასაცვლელ-დასახურ-ავი თან ჰქონდათ. კიდე კარგი, თუ შეძლება ნებას მისცემს, რომ ახლები აცვიდნენ, ეშმაკმა ვინ უწყის, შეუძლიანი თუ არაც..

საკვირველია, ვაკოდეთ—ეზის ბრძანებულება მოვიდა თუ არა, რომ ლეზოტინის შემწეობა დაზარალებულებს?

ბ. დ—ლი.

1895 წ. 5 ივნისს.

კვეკვი: კვეკვის პოლიციის საშმართველოში“ მაბეჭდებლი ერთი მობუქებული ფოტური ტომით ჭისტი დუნდა. ამის მითვრობისაგან ჭრილი დაცილებული, ისიც ეტყობა, როგორც ჭრტებისთვის ისე ისებისა და სხვა თემის ხალხისთვისაც. რომელთაც იახალი ტარების წესი არა ჭრილა. ეკვის ამ თვეს სალაზის ტატარებელი დუნდა და ერთი იმისი ამხანაგი გაემგზავრენ თავის სოფელ ნაზრანისაკენ. ის, ეზრნოში იქნებოდა, რომ ნაზრანის რკინის გზის სადგურზედ გადმოსტენეს; ტუნდას ეჭ ურემი დაბეგვილა ხალხიდან. მაგრამ იმან ამბანაგს თურმე ეს ეთქვა: „ბატონო-ხანს უცხოდ წაიდეთო“. ცოტა რომ გაიარეს, ჭრა

იტყვენ ვიდაცამ გადმოძახა: ვინა ბრთო“. მე ვარ დუნდაო, თქვა ხალხმა. შენთან ვიღა არისო,—ეს დასთო. უპასუხა დუნდამ. მე რაღაც თქვენ გაძვალიო, დაიძახა ჭრტებიანი უცნობმა და რამდენიმე თოფი გაიარდა კიდეც. ხანდაზმა დუნდას ერთი ტყვია მოკ პირში მოხვდა და მეორე მეც ღრმა, დუნდა ამ წამში ვე გადაკვ-ლ-. მისი ამხანაგ-ი თავისთვის დასჭრეს მხრეზე. მეორე დღესვე ავ-ზაურის კაცს მოაგნეს, იქვე ახლოს ერთის ჭრტის სოფელში აის ამ ოცეს ამ სიმწრეზედ სანი ოლჭას უცხოთი წაყვდა ის სოფელში, სადაც ტამწამზედ ცეცხლოდა, შეჭერაში ხელხი და უბძანა: „ერთის თვის განმავლობაში თუ არ დამოსწყნი დუნდას ცეცხლს, აცოდენ ერთს „პოლკა“ კარს ვაგიუნებთო“. მართალიც, როგორც ნამდვილად შეიტყვეთ, სოფელს დამთუნა ოთხი კაცი დამწამდა და სოფლის განაყენით წართ-დგენილი ბ. ოლჭას უცხოთისთ.

## დაბადების სოფელი

ხევი. (საქართველოს საბედნიერო ხევი. ერთ კი საქართველოს საბედნიერო ხევი უნოვანებია, ეზაურის ტრიტორიის საღვრის ქვეშით ტირელის ზეთისაკენ, შეიდე ვერსტის მანძილზედ ხეტორის სოფელის ქვეშით ტირელის ზეთისაკენ ხეტორის ხეტორის ხეტორის





# გველეთელი ინგუშების გადასახლება და მისი საზოგადოებრივი რეზონანსი გაზეთ „ივერიაში“ (1888-1901)

# ПЕРЕСЕЛЕНИЕ ИНГУШЕЙ ИЗ ГВЕЛЕТИ И ЕГО ОБЩЕСТВЕННЫЙ РЕЗОНАНС В ГАЗЕТЕ «ИВЕРИЯ» (1888-1901)

## ახალი ამბავი

**[გველეთელი ქისტების სამშობლო მხარესთან დამშვიდობება]**

ხევიდგან: უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ხევიდგან დღეს, ოცს მაისს, აიყარნენ ქისტები, სოფლის გველეთის მცხოვრებნი და გაემგზავრნენ დასასახლებლად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მიზეზი ამათის აყრისა და გადასახლებისა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, წილკნისა და მცხეთის სადგურებს შუა ფოსტის დახვედრა და გაცარცვაა ამ ორის წლის წინათ.

ზემოთ ხსენებული სოფელი შესდგებოდა 57 მეკომურისაგან. ამათგან ერთი კაცი, სახელდობრ ცოგალა, მუნვე დარჩა, როგორც დარაჯი დევდორაკის ხევზე. ამან თვალყური უნდა ადევნოს ყინვარის მთის ზვავსა. ეს კაცი მხოლოდ იმ პირობით დასტოვეს აქ, რომ მარტო ზაფხულობით იყოს მთაში, სადაც დარაჯად არის დაყენებული საინჟენერო უწყებისაგან და ზამთრობით კი თავისის ცოლითა და სამის ვაჟით სოფელს ბალთაში უნდა იცხოვროს.

თუმცა სოფ. გველეთში საქონლის საძოვრად ძალიან კარგი იალაღია, მაგრამ ნაცვლად ამისა სახნავი მიწები ნაკლებად არის; გველეთელებს სახნავ-სათესი კავკავის მაზრის სოფლებში ჰქონდათ, საიდამაც ყოველ შემოდგომობით და საზამთროთ ეზიდებოდნენ პურსა.

იმისდა მიუხედავად, რომ კარგს ნაყოფიერს მაზრებში, ახალციხისა და ახალქალაქისაში, ჰგზავნიან გველეთელებს, ამათ თავიანთის ცამდის ანაყრდენ ტიტველა კლდეების დატოვება ძვირფასის თვალ-მარგალიტის დაკარგვად მიაჩნიათ.

სიმამაცითა და გულადობით განთქმული გველეთელი დღეს რომ გენახათ, ის მამაცი და

## НОВОСТЬ

**[Прощание гвелетских кистин с родным краем]**

Из Хеви: По распоряжению Верховного правительства сегодня, 20 мая кистины, жители села Гвелети, покинули Хеви и отправились на поселение в Ахалцихский и Ахалкалакский уезды. Причиной этого выселения, как вам уже известно, является ограбление почты между станциями Цилкани и Мцхета два года тому назад.

Вышеупомянутая деревня состояла из 57 дворов. Один из них, по имени Цогала, остался там же, сторожем в ущелье Девдорак. Этот человек должен следить за лавиной на леднике. Этого человека здесь оставили только с тем условием, что лето он будет проводить один в горах, куда его сторожем направило Инженерное ведомство, а зимой с женой и тремя сыновьями будет жить в селе Балта.

Хотя в селе Гвелети очень хорошее летнее пастбище для выпаса скота, но зато мало пахотных земель; у гвелетцев были пахотные земли в деревнях Кавказского уезда, откуда они каждую осень привозили хлеб на зиму.

Несмотря на то, что жителей Гвелети отправляют в хорошие, плодородные ахалцихский и ахалкалакский уезды, для них покинуть голые скалистые утесы, поднимающиеся до небес – все равно, что потерять драгоценную жемчужину.

Если бы вы сегодня видели храброго и отважного гвелетца, вам бы он уже не показался тем храбрым и отважным гвелетцем! У любого, кому мы пожимали руку и прощались как с нашим соседом еще со времен наших предков, на глазах тут же выступали слезы. Если бы кто утешил их и сказал: «Не грустите, вы едете на хорошее, богатое место», – это хорошее, богатое место, – то он бы тут

გულადი გველეთელი აღარ [მო]გეჩვენებოდათ! ვისაც-კი იმათგანს ხელს ჩამოვართმევდით და გამოვესალმებოდით, როგორც ჩვენთან მა-მა-პაპიდგანვე მეზობლად მყოფს, ის მაშინათვე თვალთაგან ცრემლს გადმოიდენდა. თუ ნუგეშინს სცემდა და ეტყოდა კაცი: ნუ სწუხართ; სადაც თქვენ მისდიხართ, ის კარგი, მდიდარი ადგილიაო, მაშინათვე ამას უპასუხებდა: რაკი ყველა ჩვენი ნათესავობა აქ გვრჩება და იმათთან ჩვეულებრივად ერთმანეთში მისვლა-მოსვლა აღარ გვექნება, მაშინ ჩვენ დაკარგულები ვიქნებით ერთმანეთისათვის და მდიდარს ადგილში გადასახლება რაღას გვარგებსო?!

ამასთანავე სწუხდნენ კიდევ იმაზედაც, რომ გადასახლებულებს ცამეტი კომლი აკლდათ, რომლებიც ყოფილან დროებით კავკავის მაზრის სოფლებში.

საქონელი ბევრი არაფერი გაუყიდნიათ გადასახლების მიზეზით გველეთელებს; რაც კი ხეირიანი რამე ებადათ, ყველაფერი კავკავის მაზრის სოფლებში ნათესავებს გაუგზავნეს შესანახავად.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, სოფელს გველეთში საქონლისათვის ძლიერ კარგი იალაღია და ამიტომ ამჟამად ზოგ-ზოგი ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის პატრონნი ფაცა-ფუცში არიან, რომ როგორმე მოახერხონ სოფელს გველეთში საცხოვრებლად ჩაწერა. მთავრობის ბრძანებით ხევის სხვადასხვა სოფლებიდამ უნდა გადასახლდეს გველეთში რიცხვით იმდენივე კომლი, რამდენიც დღეს გველეთიდგან წავიდა.

გაზეთი „ივერია“, 1888, №109 (26 მაისი), ტფილისი.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

### [გადასახლების აღსრულება და ხალხის მღელვარება ხევში]

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ამბავი სოფ. გველეთის მოსახლეთ აყრისა. ეხლა კიდევ რამდენიმე ცნობა მივიღეთ ამის

же ответил: «Ведь все наши родственники остаются здесь и у нас больше не будет с ними привычного общения, мы будем потеряны друг для друга, и какая нам польза от переезда в богатое место?!».

Они также скорбели о том, что среди выселеных не было тринадцать дворов, которые временно находились в селах Кавказского уезда.

По причине переселения жители Гвелети не продали много вещей; все, что у них было хорошего, отправили на хранение родственникам в села Кавказского уезда.

Как я уже упоминал выше, в селе Гвелети очень хорошие летние пастбища, поэтому в настоящее время некоторые владельцы овец и крупного рогатого скота хлопочут каким-то образом прописаться на жительство в селе Гвелети. По распоряжению правительства в Гвелети должно быть переселено такое же количество дворов из разных деревень Хеви, сколько сегодня покинули Гвелети.

Газета «Иверия», 1888, №109 (26 мая), Тифлис.

## НОВОСТЬ

### [Исполнение решения о переселении и народное волнение в Хеви]

Недавно в нашей газете была опубликована новость о переселении жителей села Гвелети, мы получили еще несколько сведений об этом. Указанное селение в ущелии реки Терек (которую хевцы называют Арагв), расположенное по пути в селение Кавкави[1] из Казбеги (Степанцминда), было заселено кистинами. Всего около 50 человек, мусульмане по вероисповеданию, которые еще при грузинских царях поселились на этой земле, расположенной на границе древней Грузии. Причиной выселения этого села было то, что здешние жители были замечены в воровстве и грабежах

[1] Владикавказ.

შესახებ. ეს სოფელი თერგის (რომელსაც მოხევეები არაგვს ეძახიან) ხეობასა და ხევშია, მდებარეობს კავკავის გზაზე ყაზიბეგის სადგურიდამ (ანუ სოფელ სტეფანწმინდიდამ) რვა ვერსტზე ჩრდილოეთით. სოფელი დასახლებული იყო ქისტებით, სულ 50 მოსახლე იქნებოდა, სარწმუნოებით მაჰმადიანნი იყვნენ და დიდი ხანია, საქართველოს მეფეების დროშივე, ჩამოსახლებულიყვნენ იმ ადგილს, რომელიც ძველ საქართველოს მიჯნის ახლოს მდებარეობდა. გველეთის გადასახლების მიზეზი ის იყო, რომ აქაურები შენიშნულნი იყვნენ მთავრობისაგან ქურდობასა და ძარცვაში. ორის წლის წინად მცხეთასთან ფოსტის გატეხაში ორი მათგანი ერია და სასამართლომ დასაჯა. ამის გამო მთავრობამ გადასწყვიტა მთელი სოფლის აყრა და გადასახლება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ისე რომ თითო სოფელში ორ-სამ კომლობით დააბინავოს. ეს განკარგულება აღსრულებაში მოყვანილ იქმნა მშვიდობიანად. მაისის 20-ს აიყარა ხალხი და გაემგზავრა ახალს ბინაზე დასასახლებლად.

აქაურ მეზობლად მდებარე სოფლების მოხევეთ არ ეგონათ, თუ ასე მშვიდობიანად გათავდებოდა საქმე. ერთის კვირის წინად აყრამდე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მინდვრისა და მთის ქისტების კაცი და ქალი ამ სოფელში თითქმის 1000 სულზე მეტი ჩამოვიდა, რომელთანაც გველეთლებს ნათესაობა ჰქონდათ. ამას გარდა, აქვე მოსულიყვნენ საკმაოდ ბევრი მოხევეები, რომელთაგან ზოგსა ჰყავს აქაური ქალი ცოლადა, და აქაურებთან მძახლობა, ნათესაობა ან მეგობრობა აქვს. ხალხი სხვა შორეულ ადგილიდამაც ბევრი დაესწრო. ყველა აქ დამსწრეში ზოგი სანახავად მოსულიყო, ან გამოსასალმებლად და ან სავაჭროდ, საქონლის საყიდლად. ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ იმათის მწუხარებისა და ტირილის მნახველს გული არ დასწეოდა და ცრემლი არ მოსვლოდა... გულმდუღარედ შესცქეროდნენ. აყრის დროს მოვიდნენ დასასწრებად ქვეშეთის

правительственных средств. Во взломе почты во Мцхета два года назад принимало участие двое из жителей этого села, они были приговорены судом к заключению. В связи с этим правительство приняло решение выселить всех жителей села и расселить их в Ахалкалаксом и Ахалцихском уездах, причем таким образом, чтобы в каждом селении было не более двух-трех кистинских семей. Указанное распоряжение было приведено в исполнении в мирной обстановке, и 20-го мая народ был отправлен на новые поселения.

Хевцы соседних сел не думали, что весь этот процесс пройдет таким мирным образом. За неделю до переселения собралось очень много людей, равнинных и горных кистин и кистинок, более 1000 человек, приходившихся родственниками жителям села Гвелети. Помимо этого, здесь же собралось много мохевцев, у которых либо жена из этого села, либо связывают с его жителями кумовство или дружба. На сходе также присутствовало много людей из дальних мест. Все присутствовавшие там прибыли в село, кто повидаться со своими родственниками, кто, предположительно, купить скот. Каменным должно быть сердце у человека, чтобы при виде этих удрученных и поникших людей, не принять их боль близко к сердцу и не расплакаться... сочувственно смотрели на этих людей. На выселение прибыл пристав из Квешети и еще один из Владикавказа. Они вели себя очень осторожно и вежливо. Народ просил дать им месяц на продажу своего имущества, но был предоставлен лишь пятидневный срок. 20 мая люди, плача и причитая, попрощались со своими родными местами, родственниками и знакомыми.

Газета «Иверия», 1888, №129 (22 июня), Тифлис.

## НОВОСТЬ

**[Переселенцы в Джавахети]**

В селении Котелия распустили странный слух.

ბოქაული და აგრეთვე ერთიც ვლადიკავკავიდამ. ესენი ძალიან სიფრთხილით და თავაზიანად ექცეოდნენ. ხალხი ერთს თვეს ვადასა სთხოვდა, რომ თავისს ნებაზე გაეყიდნა, ვისაც რამ მეტი ბარგი ან საქონელი ეგულებოდა. მაგრამ ხუთის დღის მეტი ვადა შესაძლებლად ვერ აღმოჩნდა. 20 მაისს ხალხი გამოემშვიდობა ტირილითა და ვაებით თავისს ბინა-სახლ-კარს, ნათესავებს და ნაცნობებს.

გაზეთი „ივერია“, 1888, №129 (22 ივნისი), ტფილისი.

Кто-то сказал, что будто из Джавахетии путем жеребьевки между десятью подвориями, одно из подворий переселят в Чечню. Это событие так взволновало джавахцев, что они целыми днями только об этом и говорят.

Сюда уже пришли те кистинцы, которые, по распоряжению правительства, были переселены сюда из селения Гвелети (Хеви). Их ахалкалакская администрация уже расселила по татарским селам. Они выглядели очень поникшими, грустными, и слезы не высыхали на их глазах. Урожай здесь обещает быть хорошим.

Газета «Иверия», 1888, №137 (2 июля), Тифлис.

## ახალი ამბავი
### [ჯავახეთში გადასახლებული გველეთელები]

სოფელს კოთელიაში ერთი ახირებული ხმა გაუვრცელებიათ. იქ ვიღასაც ხმა დაუგდია, ვითომ ჯავახეთიდამ წილის ყრით ათს კომლში ერთი კომლი უნდა გადაასახლონ ჩეჩენშიო. ამ ამბავს ისე შეუწუხებია ჯავახელები, რომ ყოველ დღეს ესღა აქვსთ სალაპარაკო.

აქეთ უკვე მივიდნენ ის ქისტები, რომლებიც მთავრობის ბრძანებით გადმოსახლებულ იქმნენ სოფ. გველეთიდამ (ხევიდამ). ესენი თათრის სხვადასხვა სოფლებში დაასახლა ახალქალაქის ადმინისტრაციამ. საწყლები მეტად დაღონებულ-დაძმარებულები იყვნენ და თვითოეულს მათგანს თვალზედ ცრემლი არ აშრებოდა. მოსავალს აქეთ კარგი პირი უჩანს.

გაზეთი „ივერია“, 1888, №137 (2 ივლისი), ტფილისი.

## ПОСЕЛОК И ДЕРЕВНЯ ХЕВИ (ВОЕННО-ГРУЗИНСКАЯ ДОРОГА)
### [После переселения: жизнь кистина Цоголы и его сыновей, оставшихся в Гвелети]

Каждый, кто путешествовал по Военно-Грузинской дороге, несомненно, обратил внимание на село Гвелети, расположенное в восьми верстах ниже почтовой станции Каз(и)беги по направлению к Дарьяльскому ущелью. В прошлом жителями Гвелети были кистины и чеченцы[1] магометанского вероисповедания, численностью до 40-50 дворов. В 1888 году Верховное правительство Кавказа расселило этих поселенцев в разные уезды Грузии, поскольку в селах местного ущелья и на военной дороге они творили много беззаконий: грабили, воровали. Среди других разбоев в 1886 году четверо гве-

## ხევი (საქართველოს სამხედრო გზა)
### [გადასახლების შემდეგ: გველეთში დარჩენილი ქისტი ცოგოლასა და მისი ვაჟების საქმიანობა]

ვისაც კი საქართველოს სამხედრო გზით უმოგზაურნია, ყაზიბეგის ფოსტის სადგურს

[1] Среди жителей селения Гвелети Душетинского района чеченцев не было. Список жителей этого села тщательно отражен в административном документе 1888-1889 гг., который хранится в Центральном Государственном Историческом Архиве Грузии, ф. 254, опись 3, дело 2279. См. Ингушологический корпус Грузии, том 1, часть вторая, стр. 194-201 (М. Бежиташвили).

ქვემოთ, დარიელის ხეობისკენ, მერვე ვერსტის მანძილზედ მდებარე სოფელს გველეთს უთუოდ შეჰნიშნავდა. გველეთის მკვიდრნი ძველად მაჰმადის სარწმუნოების ქისტები და ჩეჩნები[1] იყვნენ, რიცხვით 40-50 კომლამდე. 1888 წელს ეს სოფელი კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ საქართველოს სხვადასხვა დაშორებულს მაზრებში დაასახლა, რადგანაც ადგილობრივ ხევის მკვიდრთა სოფლებში თუ სამხედრო გზაზედ მათ მიერ მრავალი უწესოება ხდებოდა: ქურდობდნენ, სცარცვავდნენ. სხვა ავაზაკობათა შორის ოთხმა გველეთელმა დიღმის მინდორში 1886 წელს ტფილისის ფოსტა გასტეხეს და მეეტლე და ფოჩტალიონი იმსხვერპლეს. ქისტების გადასახლების შემდეგ, პირველ ხნობაზედ ცოტა არ იყოს ავკაცობამ იკლო ჩვენში. მაგრამ, მოგეხსენებათ, თუ ბოროტება ძირიანად არ მოისპო, ფესვებს კიდევ გაიდგამს.

აი, საქმე როგორ გახლავთ: საწყალს მოხევეებისაც, როდესაც სოფელი გველეთი გადაასახლეს, ადგილობრივმა ინჟენერმა სიპალოვმა ერთს გველეთელს ქისტს, სახელად ცოგოლას, დიდი ქომაგობა გაუწია (ცნობილი იყო, როგორც ქურდი და, მასთან, ჯიხვებზედ კარგი მონადირე) და არ გადაასახლებინა: ეს ქისტი ყირვანის [მყინვარის] ყარაულად გვიდგა და აქ უნდა იყოსო. მთავრობამაც ინჟენერს ხათრი გაუწია და ქისტი ცოგოლა თავისის ექვსის მცირეწლოვან ვაჟით ძველს ალაგზედ დასტოვეს იმ პირობით მხოლოდ, რომ აღარ ექურდნა. ღვთის წინაშე, ბერმა კაცმა პირობა კარგად შეასრულა და არ იქურდა, რადგანაც თვითონ ბებერი იყო და შვილები კიდევ მცირეწლოვანები ჰყვანდა;

ცოგოლა ბუზურტანოვი
Цогол Бузуртанов

летцев напали на тифлисскую почту на дигомском поле и убили кучера и почтальона. После выселения кистин на первых порах злодеяний у нас несколько уменьшилось. Но, как известно, если зло окончательно не искоренить, оно снова пустит корни.

Вот как обстоит дело: когда переселяли деревню Гвелети, бедных жителей ущелья, местный инженер Сипалов оказал большую поддержку кистину из Гвелети по имени Цогола (он был известен как вор и к тому же хороший охотник на оленей) и не позволил его переселить: мол, этот кистин охранял ледник и он должен быть здесь. Правительство проявило уважение к инженеру и оставило кистина Цоголу и его шестерых малолетних сыновей на прежнем месте при условии, что он больше не будет воровать. Говоря перед Божьим Ликом [честно говоря], старик вер-

[1] დუშეთის მაზრის სოფ. გველეთის მკვიდრთა შორის ჩეჩნები არ ყოფილან. ამ სოფლის მოსახლეთა ნუსხა ზედმიწევნით ასახულია 1888-1889 წლების ადმინისტრაციულ დოკუმენტში, რომელიც ინახება საქ. ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრ. არქივის 254-ე ფონდის მე-3 ანაწერის საქმე 2279-ეში. იხ. საქართველოს ინგუშოლოგიური კორპუსი, ტ. 1 ნაწილი მეორე, გვ. 194-201 (მ. ბეჟიტაშვილი).

ეს ორი გარემოება კი საკმარისი იყო, რომ ცოტახნობით მთავრობისათვის თავი კარგად მოეჩვენებინა. თანაც ქისტმა ჯიხვების ხოცვასა და ძღვნების გზავნას მოუხშირა. ამ ოსტატობამ იქამდე გააბედნიერა ბოლოს, რომ ქისტს თავის შვილებითურთ ინჟენერების შუამდგომელობით ნადელათ ნახევარი იმ მამულისა მიეცა, რაც მთლად ორმოცდაათს კომლს გველეთელებს ჰქონდათ. მეორე ნახევარი კი, როგორც უმამულო ხალხს, სახმარებლად სტეფანწმიდელებს მიეცა. ქისტი, ამრიგად, ინჟენერების წყალობით, დღეს არც საკომლოსა, არც სამიწოსა და არც საბეგროს არასა ხდილობს, თუმცა სტეფანწმიდის საზოგადოებაში კი ირიცხება. მეორე კიდევ, მაშინ, როდესაც ჩვენ, საცოდავს მოხევეებს, არ შეგვიძლიან ჩვენი ცხვარ-ძროხა და ჯოგი იარაღით დავიცვათ ქურდისა და ყაჩაღის წინააღმდეგ, იარაღი მთლად ჩამოგვართვეს, რაღაც უფლებით ამ ცოგოლა ქისტის ყველა შვილს კი ნება აქვს იარაღის ტარებისა და ბერდანის თოფები დაუბრკოლებლივ მხარზე უძევთ...

გარდაიცვალა ბერი ცოგოლა, მცირეწლოვანი შვილები დაეზარდნენ. ამათაც ვითომ მამას მიჰბაძეს, დაიწყეს მთებში სანადიროდ სიარული და ყველა მთების გადასავალი ბილიკები გაიცნეს. მალე ახლა სახლებშიაც დაიწყეს თერგის ოლქში მცხოვრები ქისტების მიღება, როგორც მოკეთეებისა და სტუმრებისა (თუმცა სასტიკად აკრძალული ჰქონდათ ქისტების სტუმრად მიღება) და ძველი ქურდობა და ტაციობა ისევ მოიგონეს. ამრიგად, სულ მცირე ხნის განმავლობაში ჯარიახში წაიყვანეს შემდეგი საქონელი: მიხელა ღუდუშაურისა 1 ცხენი, გ. სალკიევისა 1 ცხენი, იოსება ბურდულისა 2 ძროხა, ესტატე ღუდუშაურისა 1 ცხენი, ილიკო ტოფაძისა 1 ცხენი და 1 კვიცი, გიორგი ჯამარჯაშვილისა 1 ცხენი, ნ. ხეთაგურისა სამი ცხენი, გ. მარსაგიშვილისა 1 ცხენი და 1 კვიცი, კიდევ ესტატე ღუდუშაურისა 3 ძროხა და მარიამობისთვის 2-ს მარსაგაშვილისა და მ. ბაზალისა 5 ცხენი გაირეკეს. ამათგან 4 ცხენი დარიელის ხიდზედ დააყრევინეს ქისტებს.

но исполнил свое обещание и не воровал, так как сам был стар, а дети его были малы; этих двух обстоятельств было достаточно, чтобы на какое-то время создать благоприятное впечатление в глазах правительства. К тому же кистин стал чаще охотиться на оленей и приносить дары. Это умение в конце сделало его настолько счастливым, что при посредничестве инженеров кистину с его сыновьями была передана в качестве надела половина земли, которым в общей сложности владели 50 дворов гвелетцев. Другая половина, в качестве помощи безземельным, передана жителям Степанцминда. Таким образом, благодаря инженерам, кистин сегодня не платит никаких дворовых налогов, земельных сборов и пошлин, хотя по-прежнему числится в общине Степанцминда. Во-вторых, в то время, как мы, бедные мохевцы, не можем защитить наших овец, коров и стада оружием от воров и разбойников, [т.к.] наше оружие у нас полностью отняли, по какому-то праву всем сыновьям этого кистина Цоголы разрешено носить оружие и у них без каких-либо препятствий за плечо перекинуты винтовки Бердана...

Старик Цогола скончался, а его малолетние дети выросли. Они также, якобы подражая отцу, начали ходить на охоту в горы и изучили все тропы, пересекающие горы. Вскоре они стали принимать в своих домах проживающих в Терском уезде кистин, в качестве доброжелателей и гостей (хотя принимать кистин в качестве гостей им было строго запрещено), и вспомнили старые обычаи воровства и грабежа. Таким образом, в короткий срок в Джейрах был угнан следующий скот: 1 лошадь, принадлежавшая Михеле Гудушаури, 1 лошадь Г. Салкиева, 2 коровы Иосеба Бурдули, 1 лошадь Эстатэ Гудушаури, 1 лошадь и 1 жеребенок Илико Топадзе, 1 лошадь Гиоргия Джамарджашвили, 3 лошади Н. Хетагури, 1 лошадь и 1 теленок Г. Малсагашвили, еще 3 коровы Эстатэ Гудушаури, а 2-го августа угнали 5

იმედია, კიდევ ბევრი დაიკარგება, თუ ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია: პირველი, უნდა აღიკრძალოს უმოწმობოთ ჯიხვებზედ ნადირობა, მეორე, აღიკრძალოს თერგის ოლქიდგან, ე. ი. მეცხალიდგანა და ჯარახიდგან ქისტებს ჩვენებური ქისტებთან სტუმრად მოსვლა არ შეეძლოთ და მესამეც, დაევალოს ადგილობრივს „სტრაჟნიკებს“ (მცველებს) ხდის კარები იმ დრომდე შეკრული ჰქონდეთ, ვიდრე მთებზედ თოვლს დასდებს. ეს „ხდე“ ერთადერთი გზაა ქისტებისათვის საქურდლად გადმოსასვლელად, და თუ ამ ბილიკის მცველად ერთი შეიარაღებული კაცი იქნება დაყენებული, ფრინველიც კი ვერ გამოეპარება. ამ გზის შეკვრა მხოლოდ 4-ს თვეს იქნება საჭირო, ვიდრე თოვლს დასდებდეს.

**მოხევის შვილი.**

გაზეთი „ივერია“, 1901, №173 (12 აგვისტო), ტფილისი.

лошадей Марсагашвили и М. Базали. Четырех из этих лошадей кистин заставили бросить на Дарьяльском мосту.

Наверное, потеряется еще больше скота, если местное правительство не обратит внимания: во-первых, нужно запретить охоту на оленей без разрешения, во-вторых, нужно запретить кистинам из Терского округа, т.е. из Мецхал и Джейраха посещение наших кистин, и, в-третьих, приказать местным «стражникам» (охранникам) держать врата Хдэ закрытыми до тех пор, пока в горах не выпадет снег. Этот «Хдэ» – для кистин единственный способ пробраться для грабежа на эту сторону, и если хотя бы один вооруженный человек будет стоять на страже этой тропы, то даже птица не сможет перелететь. Закрывать эту дорогу придется всего на 4 месяца, до того, как выпадет снег.

**Сын Мохевца**

Газета «Иверия», 1901, №173 (12 августа), Тифлис.

## კორესპონდენცია

### [გველეთელი ქისტების გადასახლების მიუხედავად, გზებზე ავაზაკობა გრძელდება]

კავკავი. მკითხველს მოეხსენება, რომ 1888 წ. გველეთელი ქისტები გადაასახლეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მიზეზი ამ გადასახლებისა, როგორც ამბობენ, ყოფილა შემდეგი: საქართველოს სამხედრო გზაზედ ხშირად ხდებოდა და ხდება კიდეც სხვადასხვა ავკაცობა, ძარცვა-გლეჯა, ფოსტაზედ დაცემა და სხვა. ყველა ეს ჰბრალდებოდათ გველეთელ ქისტებს, როგორც გზის პირას მცხოვრებლებს. მთავრობამ რომ ვერაფრით ვერ მოსპო ეს ავკაცობა, გარდასწყვიტა სხვაგან გარდასახლება გველეთელებისა, იმ იმედით, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა... ქისტებს ძალიან ეძნელებოდათ დატოვება თავიანთის სამშობლო მთებისა, რომლებთანაც ისე იყვნენ შეზ-

## КОРРЕСПОНДЕНЦИЯ

### [Несмотря на выселение Гвелетских кистин, разбои на дорогах продолжаются]

Кавкави: читатель знает, что в 1888 году гвелетских кистинцев выселили в Ахалцихский и Ахалкалакский уезды. Причиной высылки, как говорят, было следующее: на Военно-грузинской дороге происходили и до сих пор происходят различного рода разбои, грабежи, нападения на почту и многое другое. Во всем этом обвиняли гвелетских кистин, как придорожных жителей. Когда правительству никак не удалось пресечь эти разбои, оно приняло решение о переселении гвелетских кистин, с надеждой на то, что положение исправится... Кистинам было очень трудно покидать родные горы, с которыми они сроднились как с материнской грудью. Они писа-

რდილნი, როგორც მშობლის ძუძუსთან. გაიმართა მიწერ-მოწერა, თხოვნების გზავნა, მაგრამ ვერა ეშველა-რა და მთავრობამ მაინც სისრულეში მოიყვანა თვისი გარდაწყვეტილება.

შემდეგ ქისტების გარდასახლებისა, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მყუდროება ჩამოვარდებოდა და მგზავრს მიეცემოდა შეძლება უშიშრად მგზავრობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრად გამართლდა ეს მოლოდინი და იგივე ავკაცობა მეორდება დღესაც. გველეთელი ქისტები ეხლა აქეთ აღარ სცხოვრობენ და, საკვირველია, ვინ არიან ჩამდენნი ამ ავკაცობისა?! დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს ახლად მომხდარს მაგალითს: ამ თვის 1, ნასადილევის 5 საათზედ, კავკავიდგან ტფილისს გაემგზავრნენ ერთის „ომნიბუსით“ ხუთნი: ერთი მასწავლებელი ქალი და 3 მოსწავლე ტფილისის საქალებო ინსტიტუტისა და ერთიც სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, ს. გ – ძე თაოუზოვი. ომნიბუსი ისეთი იყო, რომ მთელი ბარგი მგზავრებისა ჩაკრული იყო უკან, რაზედაც შეუძლებელია შიგ მჯდომმა თვალყური დაიჭიროს. სად. ყაზბეგში რომ მოსულან (ღამე ყოფილა), უნახავთ, რომ არცერთის მგზავრის ბარგი აღარ არის; უეჭველია ვიღაც უცნობ ბოროტგანმზრახველთ აუჭრიათ. რაღა თქმა უნდა, აქეთ-იქით სცემიან, მაგრამ კვალისთვისაც ვერ მიუგნიათ. ასე ხელცალიერნი კი დარჩენილან საბრალო მგზავრები! ამბობენ, მთელი თავიანთი ჩასაცმელ-დასახურავი თანა ჰქონდათო. კიდევ კარგი, თუ შეძლება ნებას მისცემს, რომ ახლები იყიდონ; მაგრამ ვინ უწყის, შეუძლიანთ თუ არა?..

სასურველია, ვიცოდეთ – გზის მმართველობა მოვალეა თუ არა, რომ აღმოუჩინოს შემწეობა დაზარალებულთ?

**ბ. დ-ლი.**
**1895 წ. ქ. კავკავი.**

გაზეთი „ივერია“, 1895, №192 (7 სექტემბერი), ტფილისი.

ли, отправляли прошения, но это не помогло, и правительство все равно привело свое решение в исполнение.

После высылки кистин все надеялись, что наступит мир и покой, и проезжие смогут безбоязненно ездить по дороге, однако, к сожалению, ожидания эти ни коим образом не оправдались, и те же разбои повторяются и по сей день. Гвелетские кистины там уже не проживают, так кто же повинен в этих разбоях?! В доказательство приведем один пример, произошедший совсем недавно: первого числа сего месяца в пять утра из Кавкази в Тифлис «на омнибусе» отправились 5 граждан: одна учительница, 3 учащихся Тифлисского Института благородных девиц и один студент Московского университета С.Г. Татузов. «Омнибус» был таким, что весь багаж пассажиров был связан сзади, так что его владельцы не имели возможности следить за ним. Когда они прибыли на станцию Казбеги (была уже ночь), оказалось, что багажа нет; несомненно, его по пути срезали злоумышленники. Разумеется, они бросились туда-сюда, но напасть на след своего багажа не смогли. Так и остались бедные пассажиры с пустыми руками! Они рассказали, что везли с собой всю свою одежду. Еще хорошо, если им разрешат приобрести новую, но, кто знает, есть ли у них такая возможность?..

Хотелось бы знать, обязано ли правление дороги оказать помощь потерпевшим?

**Б. Д – ли.**
**1895 г. Г. Кавкази**

Газета «Иверия», 1895, №192 (7 сентября), Тифлис.

## ახალი ამბავი

### [ქისტი ოფიცრის მკვლელობა ნაზრანში და სოფლის პასუხისგება]

კავკავი: კავკავის პოლიციის სამმართველოში მსახურებდა ერთი მოხუცებული აფიცერი ტომით ქისტი – დუნდა. ამას მთავრობისაგან ჰქონდა დავალებული, იარაღი აეხადნა როგორც ქისტებისთვის, ისე ოსებისა და სხვა თემის ხალხისთვისაც, რომელთაც იარაღის ტარების ნება არა ჰქონდათ. ექვსს, ამ თვეს, საღამოს, მატარებლით დუნდა და ერთი იმისი ამხანაგი გაემგზავრნენ თავისს სოფელ ნაზრანისაკენ. ასე, ვახშმობა იქნებოდა, რომ ნაზრანის რკინისგზის სადგურზედ გადმოხტნენ; დუნდას აქ ურემი დაახვედრეს სახლიდგან. მაგრამ იმან ამხანაგს თურმე უთხრა: „პატარა ხანს ფეხით წავიდეთო“, ცოტა რომ გაიარეს, გზას იქიდგან ვიღაცამ გადმოსძახა: ვინა ხართო, მე ვარ დუნდაო, – დაუძხა დუნდამ. შენთან ვიღა არისო, – ესა და ესაო, უპასუხა დუნდამ. მაშ, ჩვენც თქვენ გეძებდითო, – დაიძახა ქისტურათ უცნობმა და რამდენიმე თოფი გავარდა კიდეც. საბრალო დუნდას ერთი ტყვია შიგ პირში მოხვდა და მეორე მუცელში. დუნდა იმ წამშივე გა[რ]დიცვალა, მისი ამხანაგი კი თეძოში დასჭრეს მძიმედ. მეორე დღესვე ავაზაკების კვალს მიაგნეს იქვე ახლოს, ერთის ქისტის სოფელში. ათს, ამ თვეს, ამ საქმეზედ ბ-ნი ოლქის უფროსი წავიდა იმ სოფელში, სადაც დამნაშავე ეგულებოდა, შეჰკრიბა ხალხი და უბრძანა: „ერთის თვის განმავლობაში თუ არ აღმოაჩენთ დუნდას მკვლელს, იცოდეთ ერთს პოლკს ჯარს ჩაგიყენებთო“. მართლაც, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სოფელს აღმოუჩენია ოთხი კაცი დამნაშავე და სოფლის განაჩენით წარუდგენიათ ბ. ოლქის უფროსთან.

გაზეთი „ივერია“, 1895, №45 (1 მარტი), ტფილისი.

## НОВОСТЬ

### [Убийство кистинского офицера в Назрани и ответственность селения]

Кавкави: в полицейском управлении Кавкави служил один пожилой офицер, кистин по происхождению, Дунда. Правительством ему было поручено разоружить как кистин, так и осетин и представителей других народностей, которые не имели разрешения на ношение оружия. Шестого числа этого месяца вечером Дунда и один его товарищ отправились в свое селение Назрань. Было время ужина, когда они соскочили с поезда на железнодорожной станции. За Дундой туда из дома прислали телегу, но он, оказывается сказал своему товарищу: «Давай, немного пройдем пешком». Когда они прошли небольшое расстояние, кто-то окликнул их: «Эй, кто вы такие?». «Я – Дунда» – ответил Дунда. «А кто с тобой?». «Тот-то и тот-то» – отвечал Дунда. «Тогда мы именно вас и искали!» – сказал на кистинском незнакомец, после чего раздалось несколько выстрелов. Одна из пуль попала несчастному Дунде прямо в рот, вторая – в живот, и он скончался на месте. Его товарищ же был тяжело ранен в бедро. На след разбойников вышли уже на следующий день, там же рядом, в одном из кистинских селений. Десятого числа сего месяца по этому делу в то село, где считалось, что скрывается подозреваемый, отправился глава округа. Он собрал народ и приказал: «Если в течение месяца вы не найдете убийцу Дунды, знайте, я пришлю сюда целый полк солдат». Как нам стало достоверно известно, жители села нашли четырех виновных в убийстве и, по решению села, они были переданы главе округа.

Газета «Иверия» 1895, №45 (1 марта), Тифлис.

## ქრისტიანობა ღლიღვებში
### [ქრისტიანობის კვალი ინგუშებში: ლექსიკური მტკიცებულებები და რელიგიური ტრანსფორმაცია]

არ არის არცა იოტის ოდენა საეჭვო, რომ საქართველოს ხელმწიფეების დროს ჩერქეზები, ჩაჩნები, ღლიღვები და ოსები, აქეთ მცხოვრებელნი, ყოფილან ქრისტიანები.

ჰკითხეთ ჩაჩანსა ან ღლიღვსა (ინგუშსა), რომელთაც ქართული არ იციან, როგორ არის იმათს ენაზედ:

პოსტ, – მოგიგებს: მარხა, მარხ.
ვოსკრესენიე – კირა, კირიდსა.
ნედელია – კირა.
პონედელნიკ – ოარშაოთ, ღლიღურად ორშაოთ.
ვტორნიკ – შინარა.
პიატნიცა – პარსკა, პარასკ.
სუბბოტა – შაბათ, შოთ.
სვიაშჩენნიკ – მოზღვარ.
კურიცა – ქუათამ.
როტ – ბაგა, ბაგიე.
დერევო – ხენ, ხე.
კასა (ცელი) – მანგალ (ნამგალი).
შაპკა – ქუი.
ად – ჯუოჟიხიტე, ჯოჯოხეთ.

ჯერ ამ ორიოდე სიტყვიდგანაც სჩანს ცხადად ამათი უწინდელი სარწმუნოება...

მართალია თუ არა ეს, ვერ დაგიმტკიცებთ და ამბობენ, რომ რო ნაზრანის ღლიღვებმა ქრისტეს სარწმუნოება დააგდეს და მიიღეს მაჰმადის სჯული 1848 წ. უკანასკნელი მღვდელი ნაზრანში ყოფილა ცამციევი. აქაურების სიტყვითა, ღვდელი ცამციევის შინ არა ყოფნის დროს ღლიღვებმა თურმე მოსტაცეს ცოლშვილი და შამილს მიჰგვარეს ტყვეთა და ამ დღიდგან დამკვიდრდა აქა მაჰმადიანობა.

... არსად არ ეტყობა უწინდელი საყდრები. აქ სახლები აქვსთ წნელისა, როგორც თქვენში

## ХРИСТИАНСТВО У ГЛИГВОВ
### [Следы христианства у глигвов (ингушей): лексические доказательства и религиозная трансформация]

Нет ни малейшего сомнения в том, что во времена грузинских царей черкесы, чеченцы, глигвы и осетины, жившие по эту сторону, были христианами.

Спросите чеченца или глигва (ингуша), который не знает грузинского, как на его языке звучат некоторые слова:

Пост – марха, марх
Воскресенье – кира, киридса
Неделя – кира
Понедельник – оаршаот, по-глигски оршаот
Вторник – шинара
Пятница – парска, параск
Суббота – шабат, шот
Священник – мозгвар
Курица – куатам
Рот – бага, багие
Дерево – хен, хе
Коса (серп) – мангал (намгали)
Шапка – куй
Ад – джуожихите, джоджохет

Уже эти несколько слов ясно показывают их прежнюю веру.

Правда это или нет – доказать не могу, но рассказывают, что глигвы Назрани оставили христианство и приняли ислам в 1848 году. Последним священником в Назрани был Цамциев. По словам местных жителей, когда священника Цамциева не было дома, глигвы будто бы похитили его жену и детей и отвели к Шамилю как пленников, и с этого дня здесь окончательно утвердилась магометанская вера.

Среди глигвов теперь только один человек, кроме него, остаётся христианином. Примечательно, что во времена Шамиля они не были такими ревностными мусульманами, какими стали в последнее время. Ещё пятнадцать лет назад

საბრძლები, მხოლოდ გალესენ ხოლმე აყალო მიწითა სითბოს გულისათვისა. ცხადია, რომ ამისთანა შენობის დაქცევის შემდგომ, რა დაეტყობა.

...ღლიღვთაგანი მხოლოდ ერთი კაცის მეტი არავინ არის ქრისტიანი. შესანიშნავი ეს არის, რომ შამილის დროს არა ყოფილან მაჰმადის სჯულზე ისე მამჭინე, როგორც ამ უკანასკნელს დროში შეიქმნენ. ჯერ ამ თხუთმეტი წლის წინად ჩაჩნები და ღლიღვები მაგდენს არაფერს დასდევდნენ მაჰმადიანობასა.

...მაინც და მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ოსები და ღლიღვები უფრო ეტანებიან რუსულს სასწავლებელსა, ვიდრე ჩაჩნები, ჩერქეზები, კუმიკები და სხვ., ვინც კი შეასრულებს ხოლმე სწავლასა, კარგები გამოდიან. აქამდისინ სამხედრო სამსახურში ბევრნი იყვნენ აქაური მთის ხალხნი, მაგრამ ამ ჟამად ბევრი სწავლა უნდა იქაც და ამისათვის რიცხვი სამხედრო სამსახურში შემსვლელებისა, რასაკვირველია, მოიკლებს.

ჟურნალი „მწყემსი“, 1886, №10 (31 მარტი), ყვირილა.

чеченцы и глигвы не придавали столь большого значения исламу.

Тем не менее следует сказать, что осетины и глигвы куда охотнее идут в русские школы, чем чеченцы, черкесы, кумыки и другие. Те, кто заканчивает обучение, становятся хорошими, достойными людьми. До сих пор многие из здешних горцев служили в армии, но теперь и там требуется много учёбы, и потому число поступающих на военную службу, разумеется, уменьшится.

Журнал «Мцкъемси» («Пастух»), 1886, №10 (31 марта), Квирила.


მწყემსი

# „ცნობის ფურცელი“

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა,
გამოდიოდა თბილისში 1896 წლის 20 ოქტომბრიდან 1906 წლის 25 მარტამდე.
1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო.
(ქართულ ენაზე)

**1896-1906**

# «ЦНОБИС ПУРЦЕЛИ» (ЛИСТОК НОВОСТЕЙ)

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ПЕРИОДИЧЕСКОЕ ИЗДАНИЕ,
ВЫХОДИВШЕЕ В ТБИЛИСИ С 20 ОКТЯБРЯ 1896 ГОДА ПО 25 МАРТА 1906 ГОДА.
В одном селении начальник войск министерства внутренних дел вдруг объявил собравшимся: «Вы окружены вооруженными войсками. Кто попытается убежать, его удел – пуля, предупреждения не будет. Понимаете? Он обведет голову руками. Это знак: со всех сторон начнут стрекотать пулеметы. – «Теперь вы понимаете?» – Несколько храбрых мужчин с кинжалами направились к трибуне, и их тут же расстреляли. – «Чечено-Ингушская Автономная Советская Социалистическая Республика ликвидирована», – слышен хриплый голос осоловелого от крови палача: «Ее имущество, ее земли переходят в руки советского государства». Вперед выходит майор-ингуш – одну руку он потерял на войне с немцами: на груди полно орденов и медалей. В сопровождении причитаний женщин и плача детей он взбирается на трибуну: «Братья, – кричит он, – мы не предавали родину. Нас оклеветали». – «Замолчи!» – орет на него полковник-палач. – «За оружие, братья, не предавайтесь им в руки живыми!» – И он падает, пронзенный пулей. Женщина в безумном порыве бежит с ребенком на руках: «Стреляйте, убейте меня!» – Очередь из автомата заставляет замолчать и ее. Мы не в состоянии описать, что пережили наши соседи в тот день. Тех, кто избежал смерти, бросили в товарные вагоны, некоторых погнали в Сибирь, других – в Центральную Азию: вонючая тундра и болота в конце концов поглотят этих детей гор – людей образцового рыцарства, воспитанных на чистом воздухе.

Сложно описать!

Перо не поддается!

Поверьте, при мысли об этом каждый грузин так же истекает кровью по капле, как и вы, наши добрые соседи. Что еще мы можем сделать здесь, кроме сострадания? Что еще мы можем сделать, кроме как проклясть этих мучителей и

როგორც თქვენი, – ჩვენო კარგო მეზობლებო. აქ რა შეგვიძლია მეტი, გარდა თანაგრძნობისა. რა შეგვიძლია მეტი, რომ ერთხელ კიდევ შევაჩვენოთ ის მტარვალები და ის რეჟიმი, რომელმაც ასეთი არაადამიანური, მხეცური მოპყრობა იცის უმწეო ხალხისადმი!

გვწამდეს, მათ თარეშსაც მოეღება ბოლო! გვწამდეს ხალხის მკვლელთ არ შერჩებათ სისხლი, ასე გულცივად დანთხეული!

არ დაივიწყოთ ეს გლოვის დღე! არც ჩვენ დავივიწყებთ!

„მებრძოლი საქართველო“ (ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო), 1952, №3 (აპრილი), პარიზი.

этот режим, который умеет обращаться с беззащитными людьми так бесчеловечно и жестоко!

Мы верим – их разгулу тоже придет конец! Мы верим – убийцы народа ответят за кровь, пролитую так хладнокровно!

Не забывайте этот день траура! Мы тоже не забудем!

«Мебрдзоли Сакартвело»[1] (орган Национального совета Грузии), 1952, №3 (апрель), Париж.

მებრძოლი საქართველო

LA GEORGIE COMBATTANTE

№ 3 — № 3

[1] Мебрдзоли Сакартвело (груз. მებრძოლი საქართველო) – Борющаяся Грузия.

## ჩეჩნეთ-ინგუშეთის 1944 წლის ტრაგედია და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

1944 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში დატრიალდა ტრაგედია, რომელიც ორმოცდაექვსი წლის მანძილზე ყოველმხრივ იყო მიჩქმალული საბჭოთა იმპერიული რეჟიმის მიერ...

...დიდი გულისტკივილით შეხვდა ამ ცნობას ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც გახლდათ ჯერ 30-იანი წლების შუა ხანებში დაფუძნებული „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“, შემდეგ კი 40-იანი წლების დამლევს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დაარსების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი...

1952 წლის 23 თებერვალს მიუნჰენში შედგა ჩრდილოეთ კავკასიელთა 1944 წ. ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო შეხვედრა, რომელზეც შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა ქართველ ტრადიციონალისტთა საზღვარგარეთ მოქმედი კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე დათა ვაჩნაძე…

1954 წლის 23 თებერვალს, ტრაგედიის 10 წლისთავთან დაკავშირებით, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. მაგომამ და პრეზიდიუმის მდივანმა, დოქტორმა გ. მაღალაშვილმა მემორანდუმი გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმჟამინდელ გენერალურ მდივანს ბატონ ჰამერშილდს...

„ბატონო გენერალურო მდივანო! თავისი სამშობლოს საბჭოთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს“ აქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

10 წლის წინ, 1944 წლის 23 თებერვალს, ომის დროს სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის და სხვათა მიერ ხელმოწერილი საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის საფუძველზე, კავკასიაში ლიკვიდირებულია ჩეჩნეთ-ინგუშეთის 800 ათასიანი მოსახლეობის მქონე ავტო-

## ЧЕЧЕНО-ИНГУШСКАЯ ТРАГЕДИЯ 1944 ГОДА И ГРУЗИНСКАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭМИГРАЦИЯ

В 1944 году на Северном Кавказе развернулась трагедия, которая на протяжении сорока шести лет полностью замалчивалась советским имперским режимом...

...С болью в сердце встретила эту новость грузинская политическая эмиграция, которая еще в середине 1930-х годов была одним из главных инициаторов создания «Совета Кавказской конфедерации», а в конце 1940-х годов – «Комитета за независимость Кавказа»...

23 февраля 1952 года в Мюнхене состоялось траурное собрание, посвященное [восьмой] годовщине трагедии 1944 года на Северном Кавказе, на котором с пронзительной речью выступил один из лидеров Союза грузинских традиционалистов, действующих за рубежом – видный грузинский политический и общественный деятель Дата Вачнадзе…

23 февраля 1954 года, в десятую годовщину трагедии, председатель Президиума «Комитета независимости Кавказа» А. Магома и секретарь Президиума, доктор Г. Магалашвили направили меморандум тогдашнему Генеральному секретарю Организации Объединенных Наций г-ну Хаммершильду...

«Господин Генеральный секретарь! «Комитет по независимости Кавказа», борющийся за освобождение своей родины от советской оккупации, имеет честь сообщить вам следующее:

Десять лет назад, 23 февраля 1944 года, на основании декрета советской власти, подписанного Сталиным, Молотовым, Кагановичем и другими, во время войны, на Кавказе была ликвидирована Чечено-Ингушская Автономная Республика с населением 800 тысяч человек по обвинению в полезном для Германии труде и «измене» Советскому Союзу. Часть населения была уничтожена на месте Красной Армией, а остальная

ნომიური რესპუბლიკა გერმანიის სასარგებლო მოღვაწეობისა და საბჭოთა კავშირის მიმართ „ღალატის“ ბრალდებით. მოსახლეობის ნაწილი წითელი არმიის მიერ ადგილზევე იქნა გაჟლეტილი, დანარჩენი ნაწილი კი 24 საათის განმავლობაში ციმბირსა და შუა აზიაში იქნა გასახლებული, სადაც მას სიკვდილი ემუქრებოდა. მოსახლეობის ქონება დატაცებულ იქნა, ხოლო ნავთობით მდიდარი მისი ტერიტორიები ცენტრალური რუსეთიდან გადმოყვანილი მუშებითა და გლეხებით იქნა დასახლებული. ასეთივე განადგურება და გადასახლება განიცადა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ავტონომიური ოლქის ბალყარეთის 200 ათასმა მცხოვრებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ორი ერის ამ ბარბაროსულმა განადგურებამ მთელი ცივილიზებული სამყაროს აღშფოთება გამოიწვია და ეს ფაქტი აშკარად ეწინააღმდეგება „გაეროს“ პრინციპებს, დღემდე მის შესახებ საკითხი არ გახდა ღირსი მაღალი საერთაშორისო დაწესებულების მიერ განხილვისა, დაწესებულების მიერ, რომელშიც თქვენ ესოდენ მაღალი და პასუხსაგები პოსტი გიპყრიათ.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოების ჟენევაში გამართულ მხოლოდ ორ სხდომაზე, 1951 წლის 10 აგვისტოს, „შუა აღმოსავლეთისა და აფრიკის ეკონომიკური მდგომარეობის“ საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსიისას დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბატონმა კორლეი სმიტმა შეახსენა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს -არკადიევს „საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ყირიმის რესპუბლიკების მიმართ ჩადენილი წარმოუდგენელი დანაშაულის“ შესახებ. მაგრამ ბრიტანეთის დელეგატის კეთილშობილმა გამოქომაგებამ და საბჭოთა დელეგაციის უზნეო რეპლიკებმა, სამწუხაროდ, გაგრძელება ვერ ჰპოვა. „გაეროს“ მაშინდელი გენერალური მდივნის ბატონ ტრიგვილისადმი „ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული კომიტეტის“ მიმართვის პასუხად 1952 წლის 10 მარტს „გა-

часть в течение 24 часов переселена в Сибирь и Центральную Азию, где им угрожала смерть. Их имущество было разграблено, а богатые нефтью территории заселены рабочими и крестьянами, переселенными из центральной России. 200 тысяч жителей Балкарии, другого автономного региона на Северном Кавказе, подверглись аналогичному уничтожению и переселению.

На двух заседаниях Экономического и Социального Совета, состоявшихся в Женеве 10 августа 1951 года, во время обсуждения вопроса об «экономической ситуации на Ближнем Востоке и в Африке», представитель Великобритании г-н Корлей Смит напомнил представителю Советского Союза – Аркадьеву о «невообразимом преступлении, совершенном советскими властями против Чечено-Ингушской и Крымской республик». Однако, к сожалению, благородное заступничество британского делегата и аморальные реплики советской делегации, не получили продолжения. В ответ на обращение «Северо-Кавказского национального комитета» к тогдашнему Генеральному секретарю ООН г-ну Тригвилу, 10 марта 1952 года от «Департамента ООН по правам человека» был получен ответ, в котором отмечалось, что «вопрос о геноциде на Кавказе (в соответствии с параграфом 75, пункт V) будет поднят для обсуждения на сессии Экономического и Социального Совета». К сожалению, это обещание не было выполнено, и преступление, стоившее жизни миллиона человек, осталось без внимания.

Тем временем советское правительство продолжает свою преступную политику, направленную на уничтожение народов Кавказа...

Таким образом, кавказские народы, известные со времен Страбона, будут исчезать один за другим на наших глазах под ударами советской тирании.

Опираясь на 87-ой параграф Хартии Организации Объединенных Наций, мы обращаемся к

ეროს“ ადამიანის უფლებათა განყოფილებიდან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ „კავკასიაში გენოციდის შესახებ საკითხი (პარაგრ. 75, V პუნქტის თანახმად) დაყენებული იქნება ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად“. სამწუხაროდ, ეს დაპირება არ განხორციელებულა და ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლის ფასად დამჯდარი დანაშაული ყურადღების მიღმა დარჩა.

ამასთან, საბჭოთა მთავრობა განაგრძობს კავკასიის ერთა გასანადგურებლად მიმართულ თავის დანაშაულებრივ პოლიტიკას...

ამდენად, სტრაბონის დროიდან ცნობილი კავკასიელი ერები ჩვენ თვალწინ რიგ-რიგობით გაქრებიან საბჭოთა ტირანიის დარტყმების გამო.

ვეყრდნობით რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 87-ე პარაგრაფს, მოგმართავთ თხოვნით თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, რათა კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობისათვის მიმართოთ ყოველი ღონე კავკასიაში გენოციდის შესახებ საკითხის განხილვისა და ამ ამაზრზენი დანაშაულის გამოსაძიებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საანკეტო კომისიის დანიშვნისათვის“. – ასეთი გახლავთ მემორანდუმის შინაარსი.

**ლევან ურუშაძე**

გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1991,
№36 (27 სექტემბერი), თბილისი.

Вам, господин Генеральный секретарь, с просьбой приложить все усилия в интересах человеколюбия и справедливости для рассмотрения вопроса о геноциде на Кавказе и назначения Комиссии Организации Объединенных Наций по расследованию этого чудовищного преступления» – таково содержание меморандума.

**Леван Урушадзе**

Газета «Тависупали Сакартвело»,[2] 1991,
№36 (27 сентября), Тбилиси.

[2] Тависупали Сакартвело (груз. თავისუფალი საქართველო) – Свободная Грузия.

# „კომუნისტი“

საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
(ქართულ ენაზე)

1920-1990

# «КОММУНИСТИ»

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ,
ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
(На грузинском языке)

# ინგუშეთთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში: ინსტიტუციური პრაქტიკა და ინგუშოლოგიური კვლევების დისკურსი (1941–1970-იანი წლები)

# НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКАЯ И ИЗДАТЕЛЬСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ, СВЯЗАННАЯ С ИНГУШЕТИЕЙ, В ГРУЗИИ: ИНСТИТУЦИОНАЛЬНЫЕ ПРАКТИКИ И ДИСКУРС ИНГУШЕВЕДЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ (1941–1970-Е ГОДЫ)

## ინგუშური გრამატიკის სისტემური კვლევის დასაწყისი საქართველოში

[საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში დ. იმნაიშვილის დისერტაციის დაცვის განცხადება]

1941 წ. 29 სექტემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ამავე ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი დავით სილიბისტროს ძე იმნაიშვილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურში“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ვ. თოფურია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ქ. ლომთათიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. No 8).

გაზეთი „კომუნისტი“,№211 (6 სექტემბერი), 1941, თბილისი.[1]

## НАЧАЛО СИСТЕМНОГО ИССЛЕДОВАНИЯ ИНГУШСКОЙ ГРАММАТИКИ В ГРУЗИИ

**[Объявление о защите диссертации Д. С. Имнаишвили в Институте языка, истории и материальной культуры Академии наук Грузинской ССР]**

29 сентября 1941 г. в 13 часов в здании Академии наук Грузинской ССР (ул. Дзержинского, №8) на публичном заседании Ученого совета института младший научный сотрудник Отделения кавказских языков того же института Имнаишвили Давид Силибистрович будет защищать диссертацию на соискание ученой степени кандидата филологических наук на тему: «Основные и послеложные падежи в ингушском языке».

Официальные оппоненты: профессор В. Топурия и кандидат филологических наук, доцент К. Ломтатидзе.

С диссертацией можно ознакомиться в рабочие часы в библиотеке института (ул. Дзержинского, № 8).

Газета «Коммунист», № 211 (6 сентября), 1941, Тбилиси.[1]

[1] 1939 წლის საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის „მოამბეში“ (მრავალდარგოვანი სამეცნ. ჟურნალი) დაბეჭდილია დ. იმნაიშვილის საანგარიშო მოხსენება ინგუშური ენის შესახებ https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/317429
გვ. 247-252

[1] В 1939 г. в междисциплинарном научном журнале Грузинской нац. академии наук – «Моамбе» опубликован доклад Д. Имнаишвили об ингушском языке https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/317429
стр. 247-252

## ინგუშური ენობრივი სისტემის კვლევა თბილისის აკადემიურ სივრცეში

**[საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლ. დ. მალსაგოვას დისერტაციის დაცვის შესახებ განცხადება]**

27 ივნისს, 12 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინისკის ქ. №8, II სართული), ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ლიდა დოშლუქის ასული მალსაგოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: ვითარებითი ზედსართავი სახელი ჩაჩნურ-ინგუშურ სალიტერატურო ენაში“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი კომუნისტი, №136 (11 ივნისი), 1972, თბილისი.

## ИССЛЕДОВАНИЕ ИНГУШСКОЙ ЯЗЫКОВОЙ СИСТЕМЫ В АКАДЕМИЧЕСКОМ ПРОСТРАНСТВЕ ТБИЛИСИ

**[Объявление о защите диссертации Л. Д. Мальсаговой в Институте языкознания Академии наук Грузинской ССР]**

27 июня в 12 часов в зале заседаний Академии наук Грузинской ССР (ул. Дзержинского №8, II этаж) на открытом заседании Ученого совета Института языкознания Мальсагова Лидия Дошлукоевна будет защищать диссертацию на соискание ученой степени кандидата филологических наук на тему: «Обстоятельственное прилагательное в чечено-ингушском литературном языке».

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Института языкознания.

Газета «Коммунист», № 136 (11 июня), 1972 г., Тбилиси.

# „ლიტერატურული საქართველო“

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო. გამოდის 1931 წლიდან თბილისში. იბეჭდება მხატვრული ლიტ-რა, მ. შ. რეპრესირებულ მწერალთა ნაწარმოებები, ასევე კრიტ. და პუბლიც. სტატიები, თარგმანები, წერილები თანამედროვეობის მნიშვნელოვან საკითხებზე. გაზეთი დღემდე გამოიცემა.

1920-1990

# «ЛИТЕРАТУРНАЯ ГРУЗИЯ»

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ. ИЗДАЕТСЯ В ТБИЛИСИ С 1931 ГОДА. ПУБЛИКУЕТ ХУДОЖЕСТВЕННУЮ ЛИТЕРАТУРУ, В ТОМ ЧИСЛЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ РЕПРЕССИРОВАННЫХ ПИСАТЕЛЕЙ, А ТАКЖЕ КРИТИЧЕСКИЕ И ПУБЛИЦИСТИЧЕСКИЕ СТАТЬИ, ПЕРЕВОДЫ И ПИСЬМА ПО ВАЖНЫМ ВОПРОСАМ СОВРЕМЕННОСТИ. ГАЗЕТА ИЗДАЕТСЯ И ПО СЕЙ ДЕНЬ.

ლიტერატურული საქართველო

5

ტუთბა-ერდი – ქართული კულტურის ძეგლი ინგუშეთში



# ..ᲕᲘᲪᲔᲒᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲝᲕᲔᲒᲚᲔᲗ...“







## „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“ ერთი ძველი ქართული ხელნაწერი ტყობა-ერდიდან

### [დაკარგული ხელნაწერი და კულტურული საზღვარი: ტყობა-ერდის ფსალმუნი ქართულ-ინგუშური ურთიერთობების კონტექსტში]

„ლიტერატურულმა საქართველომ“ ა.წ. 4 ივნისს დაბეჭდა გივი ღამბაშიძის წერილი (ტყობა-ერდი ქართული კულტურის ძეგლი ინგუშეთში), რომელშიც საუბარია ინგუშეთში, მდინარე ასის ხეობაში მდებარე ტყობა-ერდის ქართული ეკლესიისა და მის მიდამოებში ჩატარებული სარესტავრაციო და არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. ამ ძეგლს ისტორიკოსები და არქეოლოგები კარგად იცნობენ (ეს ამავე წერილშიცაა აღნიშნული), მაგრამ, მოსე ჯანაშვილის ერთი პატარა შენიშვნის გარდა (იხ. „შესანიშნავი ნაშთი“, „ივერია“, 1895 წ. No 132), თითქმის ყველაფერი, რაც ტყობა-ერდის შესახებ დაწერილა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას განეკუთვნება და ფართო საზოგადოებრიობისათვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ამიტომაც, შესაძლოა, ზედმეტი არ იყოს მკითხველისათვის ზოგიერთი ცნობა. რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია ქართული კულტურის ამ საინტერესო ძეგლთან.

ტყობა-ერდის ტაძარში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებამდე დაცული ყოფილა ქართული ხელნაწერი, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ძველთაგანვე აქ ინახებოდა თურმე. ეს ცნობა ეკუთვნის გ. ა. ვერტეპოვს, რომელსაც ხელნაწერი თვითონვე შეუძენია 1896 წელს.[1] მისი სიტყვით, იგი ყოფილა ეტრატზე (პერგამენტზე) ნაწერი ფსალმუნი. ხელნაწერი შემდეგ, როგორც ჩანს, გამხდარა კუთვნილება ინგუშეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა (რომელიც მაშინ

[1] Г. А. Вертепов. В горах Кавказа. Терский сборник, Вып. VI, 1903 г., გვ. 118.

## «ИЩИТЕ И НАЙДЕТЕ»[1] ОБ ОДНОЙ ДРЕВНЕЙ ГРУЗИНСКОЙ РУКОПИСИ ИЗ ТКЪОБА-ЕРДЫ

### [Утраченная рукопись и культурная граница: псалтирь Ткъоба-Ерды в контексте грузино-ингушских отношений]

В журнале «Литературули Сакартвело» 4 июня сего года [1971] была опубликована статья Гиви Гамбашидзе («Ткъоба-Ерды – памятник грузинской культуры в Ингушетии»), в которой говорится о реставрационных и археологических работах, проведенных в грузинской церкви Ткъоба-Ерды и ее окрестностях, расположенных в ущелье реки Ассы в Ингушетии. Историкам и археологам этот памятник хорошо знаком (о чем также упоминается в той же статье), но, за исключением небольшой заметки Мосэ Джанашвили (см. «Замечательный остаток», «Иверия», 1895 г., №132), почти все, что написано о Ткъоба-Ерды, относится к специальной научной литературе и малодоступно для широкой общественности. Поэтому, возможно, не будет лишним предоставить читателю некоторые сведения, также связанные с этим интересным памятником грузинской культуры.

До конца XIX века в храме Ткъоба-Ерды хранилась грузинская рукопись, которая, по словам местных жителей, находилась здесь с древних времен. Это замечание принадлежит Г.А. Вертепову, который сам приобрел рукопись в 1896 году[2]. По его словам, это была Псалтирь, написанная на пергаменте. Затем рукопись, по-видимому, перешла в собственность Ингушского науч-

[1] «Ищите и найдете» (груз. „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“). Слова Евангелия от Матфея, 7:7, из Нагорной проповеди Иисуса – «Просите, и дано будет вам; ищите, и найдете; стучите, и отворят вам; ибо всякий просящий получает, и ищущий находит, и стучащему отворят» (Примеч. Н.Амиреджиби).

[2] Г. А. Вертепов. В горах Кавказа. Терский сборник, Вып. VI, 1903 г., с. 118.

ვლადიკავკაზში, ანუ დღევანდელ ორჯონიკიძეში იმყოფებოდა) და 1927 წელს იგი ვლადიკავკაზიდან ლენინგრადში გაუგზავნიათ ნიკო მარისათვის შესასწავლად. ხელნაწერის მოკლე აღწერილობა გამოქვეყნებული აქვს ნ. მარის მოწაფეს, კავკასიის მცოდნე ა. გენკოს. იგი წერს, რომ ხელნაწერი (67 ფურცელი ძალზე დაზიანებული) ნაწერია XI-XII საუკუნის ასომთავრულით და მისი ტექსტი ფსალმუნის ნაბეჭდი ტექსტისაგან ხშირად განსხვავდებაო.[1]

ხელნაწერის შემდგომი ბედი ამჟამად უცნობია. იგი ლენინგრადში ა. გენკოს ხელში უნახავს პროფ. იოსებ მეგრელიძეს: ჯერჯერობით არ მოხერხდა გარკვევა, ნამდვილად დააბრუნეს თუ არა ხელნაწერი ლენინგრადიდან ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი არ არის ნ. მარის არქივში და, არქივის ცნობის მიხედვით, არც არასდროს ყოფილა იქ. ქ. გროზნოდან კი, სადაც ინსტიტუტი გადავიდა ორჯონიკიძიდან, ჩემი წერილის საპასუხოდ მომწერეს – ნ. მარს ხელნაწერი ლენინგრადიდან უკან არ დაუბრუნებიაო. ამავე დროს, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, რომლის შემოწმება ამჟამად ჭირს, 1941 წლის მახლობელ ხანებში ეს ხელნაწერი თითქოს გროზნოს მუზეუმში ყოფილა.

ამრიგად, ხელნაწერი დღეს არ ჩანს, არც ისაა მთლად ნათელი, თუ სად უნდა ეძიოს კაცმა მისი კვალი – ლენინგრადში თუ ჩრდილოეთ კავკასიაში (ორჯონიკიძესა ან გროზნოში). მაგრამ არსებობს მისი სამი გვერდის ფოტო, რომელიც ვლადიკავკაზიდან ინსტიტუტის თანამშრომელს ლ. სემიონოვს გამოუგზავნია თბილისში აკაკი შანიძისათვის. ამ ფოტოსურათების მიხედვით შეიძლება ზოგიერთი რამის გარკვევა ტყობა-ერდის ხელნაწერის შესახებ.

ტექსტი ნაწერია ასომთავრულით, რომელიც ფოტოზე ადვილად იკითხება. ხელის მიხედვით, ხელნაწერი უნდა იყოს მეათე საუკუნისა და არა

[1] А. Генко. Из культурного прошлого ингушей. Записки коллегии востоковедов, V, 1930, გვ. 737.

но-исследовательского института (который тогда располагался во Владикавказе (Орджоникидзе)), а в 1927 году была отправлена из Владикавказа в Ленинград к Николаю Марру для исследования. Краткое описание рукописи опубликовал ученик Н. Марра, кавказовед А. Генко. Он пишет, что рукопись (67 листов, сильно поврежденных) выполнена в XI-XII вв. письмом асомтаврули и ее текст часто [во многих местах] отличается от печатного текста Псалтири.[1]

Дальнейшая судьба рукописи неизвестна. Ее видел в Ленинграде, в руках А. Генко профессор Иосеб Мегрелидзе: пока не удалось выяснить, была ли рукопись действительно возвращена из Ленинграда на Северный Кавказ. Ее нет в архиве Н. Марра, и, по данным архива, ее там никогда и не было. А из г. Грозного, куда Институт переехал из Орджоникидзе, в ответ на мое письмо мне написали, что Н. Марр не возвращал рукопись из Ленинграда. При этом, по некоторым данным, которые в настоящее время трудно проверить, около 1941 года рукопись якобы находилась в Грозненском музее.

Таким образом, на сегодняшний день рукопись утеряна и не совсем ясно, где именно следует искать ее следы – в Ленинграде или на Северном Кавказе (в Орджоникидзе или Грозном). Но есть фотографии трех ее страниц, которые сотрудник института Л. Семенов отправил из Владикавказа в Тбилиси проф. Акакию Шанидзе. По этим фотографиям можно кое-что прояснить относительно рукописи Ткъоба-Ерды.

Текст написан на асомтаврули, что хорошо читается на фотографии. Судя по почерку, рукопись должна относиться к X веку, а не к XI-XII, как предполагал Генко. Текст на фотографии фрагментарен – все три страницы взяты из разных мест, но то, что есть, позволяет определить природу рукописи.

[1] А. Генко. Из культурного прошлого Ингушей. Записки коллегии востоковедов, V, 1930, с. 737.

მეთერთმეტე-მეთორმეტისა, როგორც ვარაუდობდა გენკო. ტექსტი ფოტოზე ფრაგმენტულია – სამივე გვერდი სხვადასხვა ადგილიდანაა აღებული, – მაგრამ რაც არის, ისიც იძლევა საშუალებას ხელნაწერის რაობის დადგენისათვის.

ფსალმუნი, რომელიც სახარებასთან ერთად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია ქრისტიანული ლიტერატურისა, ქართულად ძალიან ადრე, უკვე მეხუთე საუკუნეში უნდა ეთარგმნათ, რადგან ადრექრისტიანული ხანის ლიტურგიკაში მას მთავარი ადგილი ეჭირა. მართალია, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნუსხები მხოლოდ მეათე საუკუნისაა, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ამ ხელნაწერებში დაცული თარგმანი შესრულებულია ბევრად უფრო ადრე (ეგრეთ წოდებულ ხანმეტ ლექციონარში, რომელიც მეშვიდე საუკუნეშია გადაწერილი, მოცემულია დასაწყისი 149-ე ფსალმუნისა: „ხუგალობდით უფალსა გალობითა ახლითა“ და მითითებულია, თუ რა დროს უნდა მისი გალობა). სწორედ ამიტომ სახარებისა და ფსალმუნის ძველ თარგმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ როგორც ქართული ენის ისტორიის შესასწავლად, ისე ქართველთა უძველესი კულტურული კავშირების დასადგენად.

მეთერთმეტე საუკუნეში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც საბერძნეთში, ათონის მთაზე მოღვაწეობდა, ხელახლა თარგმნა ბერძნული ენიდან სახარებაცა და ფსალმუნიც, რადგან ძველი თარგმანები იმ დროს კანონიკურად მიჩნეული ბერძნული ტექსტისაგან ძალზე განსხვავდებოდა. მართალია, თანამედროვე მკვლევრის თვალსაზრისით გიორგის ნაშრომი უფრო ძველის გადაკეთება-შესწორებას წარმოადგენს, ვიდრე ახალ თარგმანს, მაგრამ თვითონ გიორგი მას დაბეჯითებით თარგმანს უწოდებს. გიორგისეულ თარგმანებს ადრე თითქმის მის სიცოცხლეშივე მოუპოვებიათ საყოველთაო აღიარება. გიორგის ნათარგმნი სახარება და ფსალმუნი იქცა ვულგატად – საეკლესიო პრაქტიკაში მიღებულ

Псалтирь, которая наряду с Евангелием является одним из важнейших памятников христианской литературы, должна была быть переведена на грузинский язык очень рано, уже в V веке, поскольку она занимала центральное место в литургии раннехристианского периода. Хотя дошедшие до нас древнейшие списки датируются X веком, вероятно, что перевод, сохранившийся по этим рукописям, был выполнен гораздо раньше (т.н. Ханметский лекционарий, переписанный в VII веке, приводит начало 149-го псалма: „ხუგალობდით უფალსა გალობითა ახლითა“ («хугалобдит’ уп’алса галобит’а ахлит’а» – «Пойте Господу песнь новую») и указывает, когда его следует петь). Именно поэтому древние переводы Евангелия и Псалтири имеют огромное значение как для изучения истории грузинского языка, так и для установления древних культурных связей Грузии.

В XI веке выдающийся грузинский писатель Гиорги Мтацминдели, ведущий деятельность на Афоне в Греции, перевел с греческого языка на грузинский Евангелие и Псалтирь, т.к. старые переводы сильно отличались от греческого текста, считавшегося в то время каноническим. Хотя с точки зрения современного исследователя работа Мтацминдели скорее является переработкой старого перевода, нежели новым переводом, сам Гиорги твердо называет свой труд переводом, который получил всеобщее признание еще при его жизни. Переведенные им Евангелие и Псалтирь стали Вульгатой [(от лат. Biblia Vulgata – «Общепринятая Библия»)] – книгами, принятыми и используемыми в церковной практике. Именно поэтому печатные издания (за исключением современных научно-критических публикаций) содержат именно текст перевода Гиоргия Мтацминдели. Текст Псалтири Ткъоба-Ерды, отчетливо читаемый на фотографии, взят не из перевода Гиоргия, а из раннего (поэтому он отличается от печатной версии). Псалтирь Ткъоба-Ерды отно-

და სახმარ წიგნებად. ამიტომაცაა, რომ ნაბეჭდი გამოცემები (გარდა თანამედროვე სამეცნიერო-კრიტიკული პუბლიკაციებისა) სწორედ გიორგისეული თარგმანის ტექსტს შეიცავს. ტყობა-ერდის ფსალმუნის ტექსტი, რომელიც ფოტოზე კარგად იკითხება, არის არა გიორგისეული თარგმანისა, არამედ ძველისა (სწორედ ამიტომ განსხვავდება იგი ბეჭდურისაგან). ტყობა-ერდის ფსალმუნი განეკუთვნება გიორგის დრომდე არსებულ ადრეულ რედაქციათაგან მეორეს, ეს ის რედაქცია უნდა იყოს, რომელსაც თვითონ გიორგი თავის ანდერძში „ქართულ დავითნს“ ეძახის და რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული იყო საქართველოში გიორგის თარგმნის კანონიზაციამდე.

ფსალმუნის ძველი რედაქციების ხელნაწერთა რიცხვი ძალზე მცირეა. ამიტომაცაა, რომ თვითეული მათგანი ძვირფასია, როგორც ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. ტყობა-ერდის ფსალმუნი, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მისი რამდენიმე გვერდიღაა ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სხვა მხრივაც არის საყურადღებო. მისი არსებობა კიდევ ერთი საბუთია იმ მჭიდრო კულტურული ურთიერთობისა, რომელიც ადრე ჰქონია საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას. ამ ურთიერთობის დასადასტურებლად შეიძლება სხვა ძველი ქართული ხელნაწერიც დავასახელოთ: ესაა XIII საუკუნის ფსალმუნი, ამჯერად გიორგისეული რედაქციისა, რომელიც აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში (სოფელ ზრამაგაში, ისტორიული დვალეთში) იყო დაცული[1] დიდი ხნის განმავლობაში (ამჟამად ხელნაწერი საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ეკუთვნის).

ტყობა-ერდის ფსალმუნი მნიშვნელობას არაა მოკლებული თვითონ ამ ტაძრის ისტორიის თვალსაზრისითაც. ის ფაქტი, რომ ხელნა-

[1] Г. Ахвледиани. Сборник работ по осетинскому языку, 1960, გვ. 173.

сится ко второму из ранних редакций, существовавших до времен Гиоргия Мтацминдели; это, должно быть, та редакция, которую сам Гиорги в своем завещании называет «Грузинской Псалтирью» и которая была широко распространена в Грузии до канонизации перевода Гиоргия Мтацминдели.

Количество рукописей ранних редакций Псалтири очень невелико. Именно поэтому каждая из них бесценна, как важнейший памятник грузинского языка. Псалтирь Ткъоба-Ерды, несмотря на то, что до наших дней сохранилось лишь несколько ее страниц, примечательна и по другой причине. Ее существование является еще одним доказательством тесных культурных связей, ранее существовавших между Грузией и Северным Кавказом. В подтверждение этой связи можно привести еще одну древнюю грузинскую рукопись: это Псалтирь XIII века, на этот раз под редакцией Гиоргия Мтацминдели, которая также долгое время хранилась на Северном Кавказе (в селе Зрамага, в исторической Двалети)[1] (в настоящее время рукопись находится в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН Грузии).

Псалтирь Ткъоба-Ерды немаловажна и с точки зрения истории самого храма. Тот факт, что рукопись датируется X веком, подтверждает мнение Г. Чубинашвили о более раннем строительстве храма Ткъоба-Ерды. Если бы храм был недействующим в IX-X веках, было бы маловероятно найти текст ранней редакции в месте, столь отдаленном от грузинских литературных и культурных центров, поскольку, как уже говорилось, после XI века в церковной практике обычно использовался текст псалмов перевода Гиоргия Мтацминдели. К сожалению, рукопись Ткъоба-Ерды постигла участь многих значимых древних грузинских рукописей – на данный мо-

[1] Г. Ахвледиани. Сборник работ по осетинскому языку, 1960, с. 173.

წერი მეათე საუკუნისაა, მხარს უჭერს ჩუბინაშვილის მოსაზრებას ტყობა-ერდის ადრინდელი მშენებლობის შესახებ. ეს ტაძარი რომ მოქმედი არ ყოფილიყო მეცხრე-მეათე საუკუნეებში, ნაკლებ სავარაუდო იქნებოდა ქართული მწიგნობრულ-კულტურული ცენტრებიდან ასე დაშორებულ პუნქტში ძველი რედაქციის ტექსტის მოხვედრა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, XI საუკუნის შემდეგ საეკლესიო პრაქტიკაში ფსალმუნის გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტი იხმარებოდა ჩვეულებრივ. სამწუხაროდ, ტყობა-ერდის ხელნაწერმა გაიზიარა არა ერთი და ორი დიდებული ძველი ქართული ხელნაწერის ხვედრი – იგი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. იქნებ კიდევ სადმე შეიძლებდეს მისი კვალის მიგნება. გავიხსენოთ, რომ ქართულ ხელნაწერთაგან ბევრს ზოგჯერ უცნაური თავგადასავალი გადახდომია. ამის მაგალითად სინური ხელნაწერებიც კმარა, რომელთაგან ზოგიერთი, საუკუნეთა განმავლობაში სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული, იქედან დაკარგული თუ მოპარული, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ავსტრიაში, ქ. გრაცში აღმოჩნდა, ხოლო ამავე ხელნაწერთა ნაწილი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ინგლისში, ბირმინგჰემში იქნა მიკვლეული. შეიძლება დავსძინოთ, რომ ქართული ხელნაწერების ძიება ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კედევ საჭიროა. გივი ღამბაშიძის ცნობით, ტყობა-ერდის მიდამოებში მას მიუგნია ქართული ხელნაწერების ფრაგმენტებისათვის, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია. „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ...“

**მზექალა შანიძე**

გაზეთი “ლიტერატურული საქართველო“, 1971,
№29 (16 ივლისი), თბილისი.

мент ее следует считать утерянной. Возможно, ее следы все еще можно отыскать. Вспомним, что многие грузинские рукописи порой переживали странные приключения. В качестве примера достаточно привести судьбу синайских рукописей, некоторые из которых, веками хранившихся в монастыре Святой Екатерины на горе Синай, были утеряны или украдены оттуда, а в конце XIX века найдены в г. Грац, Австрии, а другая часть тех же рукописей была обнаружена несколько десятилетий спустя в Бирмингеме, Англии. Таким образом, можно сделать вывод, что поиски грузинских рукописей на Северном Кавказе все еще необходимы. По сведениям Гиви Гамбашидзе, он наткнулся на фрагменты грузинских рукописей в районе Ткъоба-Ерды, которые находятся в руках местных жителей. «Ищите, и найдете…».

**Мзекала Шанидзе**

Газета «Литературули Сакартвело», 1971,
№29 (16 июля), Тбилиси.

## კავკასიელი ხალხების ძმობა მეცნიერული პრობლემატიკა

### [კავკასიური კულტურული კონტაქტების ანთროპოლოგია: ინგუშეთი ქართველი ეთნოგრაფების თვალით]

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1962 წლის აპრილის სესიაზე საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად აღიარებული იყო კავკასიის ხალხთა ეროვნული კულტურების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ძირითადად ეს პრობლემა უდევს საფუძვლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობას.

ამ განყოფილებამ წელს პირველად მოაწყო კავკასიის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია. ერთი ჯგუფი მუშაობდა აზერბაიჯანში, მეორე ლეკეთში, ხოლო მესამე ინგუშეთში. ისტორიის ინსტიტუტის ამ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნული რესპუბლიკების სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერმა თანამშრომლებმაც.

ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მასალის შეკრება „საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ ატლასთან“ დაკავშირებით, რომლის კავკასიური ნაწილის შედგენა ქართველ ეთნოგრაფებს აქვთ დავალებული. ამ ატლასის ერთ-ერთი თემაა „საცხოვრებელი ნაგებობა“.

ქართულ-კავკასიური კულტურულ-ეთნიკური ურთიერთობის საკითხის შესახებ საყურადღებო მასალა შეკრიბა ექსპედიციის ინგუშეთის ჯგუფმა (ალ. რობაქიძე). ექსპედიცია მუშაობდა მდინარე არმხის ხეობაში, რომელსაც ვახუშტი ქისტეთის წყალს უწოდებდა, ხოლო ამ ქვეყანას ქისტეთს[1]. საყურადღებოა, რომ

[1] აღნიშნული საექსპედიციო მასალები დაცულია თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში. მასალები

## БРАТСТВО КАВКАЗСКИХ НАРОДОВ НАУЧНАЯ ПРОБЛЕМАТИКА

### [Антропология кавказских культурных контактов: Ингушетия глазами грузинских этнографов]

На апрельской сессии 1962 года Института этнографии Академии наук СССР одной из главных задач советской этнографии было признано изучение взаимозависимости национальных культур народов Кавказа. Эта проблема лежит в основе работы Отдела кавказской этнографии Института истории им. Иванэ Джавахишвили Академии наук Грузии.

Данный Отдел в текущем году организовал первую комплексную этнографическую экспедицию на Кавказ. Одна группа работала в Азербайджане, другая – в Дагестане, третья – в Ингушетии. В работе экспедиции Института истории также принимали участие научные сотрудники соответствующих научных учреждений вышеупомянутых республик.

Одной из главных задач экспедиции был сбор материала для «Этнографического атласа народов Советского Союза», кавказскую часть которого было поручено составить грузинским этнографам. Одна из тем этого атласа – «Жилые постройки».

По вопросу грузино-кавказских культурно-этнических взаимоотношений интересный материал собрала ингушская группа экспедиции (Ал. Робакидзе). Экспедиция работала в ущелье реки Армхи, которую Вахушти называл водой (рекой) Кистети (груз. ქისტეთის წყალი «Кистетис цкъали»), а саму страну – Кистети[1]. Примечательно, что грузины, следуя именованию Вахушти знают (называют) ингушей кистинами (груз. ქისტი «ки-

[1] Упомянутые выше экспедиционные материалы хранятся в архиве Института истории и этнологии им. Иване Джавахишвили ТГУ. Материалы были изучены, снабжены соответствующим научным оборудованием и опубликованы во 2-м томе настоящего Корпуса (М. Бежиташвили).

ქართველები ინგუშებს ვახუშტისეული ქისტების სახელით იცნობენ, არმხის ხეობა ემიჯნება, ერთი მხრივ, ხევს, ხოლო მეორე მხრივ – ხევსურეთს. ამ ზოლში ქართულ-კავკასიური კულტურულ-ეთნიკური ურთიერთობის მრავალრიცხოვანი ფაქტები ერთნაირი სიცხადით არის წარმოდგენილი როგორც მატერიალური კულტურის, ასევე სოციალური ცხოვრებისა და ხალხური რწმენა-წარმოდგენების სფეროში.

არმხის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს მრავალსართულიანი ციხე-სახლები, რომლებიც აგების სიმტკიცით და მთელი რიგი დეტალებით ძალიან ჰგვანან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ციხე-სახლებს. იგივე უნდა ითქვას ინგუშეთში საკმაოდ გავრცელებული კოშკის (ვჰოუ) შესახებ, რომელიც ხალხური ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კოშკის გადახურვა.

კავკასიის მთიელთა უშუალო ურთიერთშეხების ზოლში, ისევე როგორც სხვა ხალხების მჭიდრო მეზობლობის პირობებში, ხშირად ჰქონდა ადგილი ეთნიკურად სხვა ელემენტის ინკორპორაციას. როგორც წესი, ეს შეთვისება შეთვისებული ელემენტის სრული ასიმილაციის პირობით ხდებოდა. ამ შემთხვევაშიც ჩვენ მოგვეპოვება არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იქმნებოდა ინგუშური გვარების ხევსურული, თუშური და მოხევური განშტოებანი. ექსპედიციის მიერ ახლა ინგუშურ ეთნოგრაფიულ მასალაზეა დამოწმებული ჩვენ მიერ თუშეთში, ხევსურეთში და ხევში ადრე ჩაწერილი თქმულება იმის შესახებ, რომ არმხის ხეობის სოფელ ხულში ცხოვრობდა ხუთი ძმა, რომელთაგან ერთი ხევსურეთში დასახლდა, სოფელ ღულში და დასაბამი მისცა ქისტაურების გვარს; მეორე

შესწავლილ იქნა, შესაბამისი სამეცნიერო აპარატით აღიჭურვა და საგამოცემოდ მომზადდა ჩვენ მიერ და გამოქვეყნებულია „საქართველოს ინგუშოლოგიური კორპუსის“ მე-2 ტომში (მ. ბეჟიტაშვილი).

сти»). Ущелье Армхи граничит с одной стороны с Хеви, с другой – с Хевсурети. В данной зоне многочисленные факты грузино-кавказских культурно-этнических взаимоотношений представлены с одинаковой ясностью как в области материальной культуры, так и в области социальной жизни, а также народных верований и представлений.

Среди памятников материальной культуры Армхинского ущелья внимание привлекают многоэтажные крепости-дома, которые по своей прочной конструкции и множеству деталей очень похожи на крепости-дома гор Восточной Грузии. То же самое можно сказать и о башне (ингуш. «вlов»), довольно распространенной в Ингушетии и являющейся великолепным образцом народной архитектуры. Особого внимания заслуживает перекрытие/крыша башни.

В зоне прямого контакта кавказских горцев, а также в условиях тесного соседства с другими народами, часто происходила инкорпорация отличных этнических элементов. Как правило, такое заимствование осуществлялось при условии полной ассимиляции заимствованного элемента. В этом контексте мы также находим многочисленные примеры формирования хевсурской, тушинской и мохевской ветвей ингушских фамилий. На основе ингушского этнографического материала экспедиция подтвердила ранее записанное нами предание о тушинской, хевсурской и хевской фамилии Кистаури (груз. ქისტაური), в частности, что в селе Хули Армхинского ущелья жили пять братьев, один из которых поселился в Хевсурети, в селе Гlули, и дал начало роду Кистаури; второй брат поселился в Хеви, в селе Гайботен, и от него произошла фамилия Хулелидзе; третий брат нашел убежище в Тушети, поселился в деревне Бикурта и стал предком здешнего рода Кистаури. Даже если бы это в основу этого предания была бы положена сказка, этого все равно было бы достаточно, чтобы доказать, что в представлении людей, кавказцев, подобное этниче-

ძმამ ფეხი მოიკიდა ხევში, სოფელ გაიბოტენში და მისგან წარმოსდგა გვარი ხულელიძე; მესამე ძმამ თუშეთს შეაფარა თავი, სოფელ ბიქურთაში დასახლდა და აქაური ქისტაურების მამამთავარი გახდა. ეს გადმოცემა რომ მხოლოდ ზღაპრული წარმოშობისა ყოფილიყო, ის მაინც საკმარისი იქნებოდა იმის მტკიცებისათვის, რომ ხალხის წარმოდგენით ამ რიგის ეთნიკური შერეულობა არ არის უცხო და მიუღებელი რამ.

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ თქმულება – ზემოთ დასახელებული ხუთი ძმის ჩამომავლობას ხევსურეთში, თუშეთში, ხევში და ინგუშეთში – ინგუშები ახლაც „ხულხოის“ უწოდებენ, ე. ი. ერთი სოფლიდან და ერთი წინაპრისაგან წარმომდგარ ხალხად მიიჩნევენ. როგორც ირკვევა, ინგუშური წარმოშობისანი არიან ყაზბეგელი ქუშიშვილები (ძველად ქუშთუ ტეიფა) და კარკუჩელი მარსაგიშვილები, რომელთა მოსახლეობა სნოს ხეობაში ჯერ კიდევ XV საუკუნის დოკუმენტებით დასტურდება. სოციალური ურთიერთობის სფეროდან ყურადღებას იპყრობს რიგი საზოგადოებრივი ინსტიტუტების და სოფლის თავისებურებანი. თავისებურებათა მსგავსება ინგუშებისა და ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის სათანადო მონაცემთა შორის მრავალმხრივ საყურადღებო დასკვნების გაკეთების საფუძველს ქმნის.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს, უწინარეს ყოვლისა, ინგუშური სოფელი. ძირითადად საზოგადოებრივ-ეკონომიურ ერთეულს ინგუშეთში, ისევე როგორც საქართველოს მაღალმთიანეთში, ძველად წარმოადგენდა ხევი („ჭოჩ“), რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. ეს სოფლები ხშირად მონოგენური იყო და ეპონიმის სახელს ატარებდა. თითოეულ ამ სოფელს ჰქონდა თავისი თავშესაყარი ადგილი. ამ ადგილს ინგუშურად ეწოდება ფეღ, რაც ხევსურული საფეხნოს სრულ შინაარსობლივ ანალოგს წარმოადგენს. შედარებისათვის შეიძლება აქვე იყოს მოტანილი თუშური საანჯმო, სვანური ლანყავ, რაჭული სანახშო, მოხევური

ское смешение не является чем-то чуждым или неприемлемым.

Но это не просто предание – происхождение пяти упомянутых выше братьев из Хевсурети, Тушети, Хеви и Ингушетии ингуши до сих пор называют «хулхой», т.е. считают людьми, вышедшими из одного села и от одного предка. Как выясняется, Казбегские Кушишвили (ранее Куштой-тейп) и Марсагишвили из Каркучи имеют ингушское происхождение, их пребывание в ущелье Сно подтверждается документами XV века. В сфере социальных отношений привлекает внимание ряд общинных институтов и особенностей сел. Сходство черт в имеющихся данных о социальной жизни ингушей и грузинских горцев создает основу для множества интересных выводов.

В этом контексте, прежде всего, внимание привлекает ингушское село. В старину главной социально-экономической единицей в Ингушетии, как и в высокогорьях Грузии, были Хеви (ингуш. «чIож», груз. ჭოჩ), состоящие из нескольких селений. Эти селения часто были моногенными и носили эпонимическое название. В каждом из этих селений было свое место сборищ, которое на ингушском языке называется «пегI», что является полным аналогом хевсурского «сапехно» (груз. საფეხნო). Для сравнения можно привести тушинский «саанджмо» (груз. საანჯმო), сванский «ланкъав» (груз. ლანყავ), рачинский «санахшо» (груз. სანახშო), мохевский (груз. «салакъбо»), осетинский «нихас», балкарский «нигIаш» и др.

В заключении несколько слов о хевсурско-ингушских отношениях в сфере народных верований и представлений. В этой связи стоит отметить древний праздник Атенгеноба (груз. ათენგენობა), широко распространенный среди горцев Восточной Грузии, который отмечался в июле в Ингушетии, в нескольких десятках километров от села Хули. В скале до сих пор заметна пещера под названием Атенгешка. Установлено, что в древности ингуши собирались здесь

სალაყბო, ოსური ნიხას, ბალყარული ნიღაშ და სხვა.

ბოლოს ორიოდე სიტყვა ხევსურულ-ინგუშური ურთიერთობის შესახებ ხალხურ რწმენა-წარმოდგენათა სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის ძველად ფართოდ გავრცელებული დღეობა ათენგენობა, რომელიც ივლისში იმართებოდა ინგუშეთში სოფელ ხულიდან ათიოდე კილომეტრის დაცილებით, კლდეში ახლაც მიუთითებენ გამოქვაბულს, რომელსაც ათენგეშკა ეწოდება. დადგენილია, რომ ძველად აქ ინგუშები თავს იყრიდნენ დღეობაზე. მოჰქონდათ რიტუალური პურები, არაყი; დიდ ქვაბებში, რომლებიც ხევსურული სალუდე ქვაბის მსგავსია, ხარშავდნენ ლუდს, სწირავდნენ საკლავს და დელა-ს (ღმერთს) შეწევნას სთხოვდნენ. აქ კარგად ჩანს, რომ ინგუშების დღესასწაულის სახელწოდება როგორც მნიშვნელობით, ისე ენობრივად სავსებით უპასუხებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისათვის დამახასიათებელ სათანადო მოვლენებს, რომლის პარალელები სხვა კაეკასიელ ხალხთა ყოფაშიც არის ცნობილი.

ქრისტიანობა ინგუშეთში საქართველოდან შევიდა, მაგრამ შემდეგში ინგუშებმა მაჰმადის რჯული მიიღეს. მუსლიმან ინგუშებსა და ქრისტიან ხევსურებს შორის ყველაზე უკომპრომისო რელიგია ჩადგა. ხევსურებმა და ინგუშებმა საერთო დღესასწაულის სახით წარმართული ათენგენობა შემოინახეს. ეს დღეობა განეკუთვნება კავკასიის ხალხთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელ წინაქრისტიანული და წინაისლამურ დღეობებს, რომლის განდევნა ამ ხალხების ყოფიდან ვერც ერთმა ოფიციალურმა რელიგიამ ვერ შეძლო.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ მოითხოვენ კრიტიკულად გადაფასდეს ძველი შეხედულება, თითქოს კავკასიონის ქედი ყოფდა და აცალკევებდა იმიერ და ამიერ კავკასიის მთიელებს. ინგუშეთ-ხევსურეთის გა-

на праздник. Они приносили ритуальный хлеб и водку; в больших котлах, подобных хевсурскому пивоварочному котлу, варили пиво, приносили в жертву животных и просили помощи у Дэла (бога). Здесь становится ясно, что название ингушского праздника, как по смыслу, так и по языку, полностью отвечает с соответствующим событием/явлением, характерным для жизни горцев Восточной Грузии, параллели с которым известны и в быту других кавказских народов.

Христианство проникло в Ингушетию из Грузии, но позже ингуши приняли Ислам. Между ингушами-мусульманами и хевсурами-христианами встала наиболее бескомпромиссная религия. В виде общего праздника хевсуры и ингуши сохранили языческий Атенгеноба. Этот праздник относится к дохристианским и доисламским праздникам, характерным для определенной группы народов Кавказа, который ни одна официальная религия не смогла вытеснить и искоренить в среде этих народов.

Приведенные выше факты требуют критической переоценки старого представления о том, что Кавказский хребет разделял и отделял друг от друга кавказских горцев. Ингушско-Хевсурские перевалы – лишь малая часть обширной, сложной и детально разработанной системы коммуникаций, которые охватывали весь Кавказский хребет и на протяжении веков способствовали сближению народов, проживавших вдоль этого хребта, на его северных и южных склонах.

**Русудан Харадзе**
Доктор исторических наук,
заслуженный деятель науки

Газета «Комунисти», 1962, №281 (30 ноября),
Тбилиси.

დასასვლელები მხოლოდ მცირე ნაწილია დიდი და დეტალურად დამუშავებული კომუნიკაციების სისტემისა, რომელიც მთელი კაეკასიონის ქედს მოიცავდა და საუკუნეთა მანძილზე ხელს უწყობდა ამ ქედის გაყოლებით, მის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მობინადრე ხალხების დაახლოებას.

**რუსუდან ხარაძე**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გაზეთი „კომუნისტი“, 1962, №281
(30 ნოემბერი), თბილისი.

კავკასიელი ხალხების ძმ

## ბრძოლებში ნაწრთობი[1]

**[იდეოლოგიური ისტორიული მეხსიერება: ინგუშთა და ქართველთა „რევოლუციური ძმობის“ კონსტრუქცია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში]**

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სპარტაკ რეხვიაშვილის წიგნი „ბრძოლებში ნაწრთობი მეგობრობა“ (რედაქტორი ა. არობელიძე).

...ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი საარქივო მასალებსა და სპეციალურ ლიტერატურას არ სჯერდება. ნაშრომის შინაარსის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის ფართოდ იყენებს ადგილზე მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს. ეს კიდევ უფრო ამდიდრებს და მიმზიდველს ხდის ნაშრომს.

...წიგნის მთავარი ღირსება სწორედ ის გახლავთ, რომ ავტორი აღნიშნული რთული პერიოდის დღემდე ნაკლებად შესწავლილ საქა-

[1] სარედაქციო კომენტარი: წინამდებარე რეცენზია მკაფიოდ ჯდება საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელ „ხალხთა მეგობრობის“ იდეოლოგიურ მოდელში, რომელიც ეროვნებათაშორის ურთიერთობებს რევოლუციური თანამეგობრობისა და კლასობრივი სოლიდარობის პრიზმაში წარმოაჩენს. რეცენზიაში გამოვლენილი ეპოქისთვის ტიპური პათეტიკური ტონი საბჭოთა მეხსიერების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნარატიულ სტრატეგიას ასახავს. ამავე დროს, ვინაიდან კორპუსის წინამდებარე ტომი არ წარმოადგენს „გასუფთავებულ“ ისტორიას, არამედ დისკურსის არქივს, იდეოლოგიური ტექსტებიც ისეთივე მნიშვნელობის წყაროა, როგორც კრიტიკული თუ ემპათიური ნარატივები. ამგვარად, აღნიშნული ტექსტი არის არა მხოლოდ კონკრეტული გამოცემის შეფასება, არამედ საბჭოთა იდეოლოგიური ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტატიული მაგალითი, რომელიც ნათელს ჰფენს იმ დისკურსულ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებში ინტერპრეტირდებოდა XX საუკუნის კავკასიის ისტორია (მ. ბეჟიტაშვილი).

## ЗАКАЛЁННАЯ В БОЯХ[1]

**[Идеологизированная историческая память: конструирование «революционного братства» ингушей и грузин в советской историографии]**

Издательство «Советская Грузия» выпустило книгу кандидата исторических наук, старшего научного сотрудника Музея дружбы народов Академии наук Грузинской ССР Спартака Рехвиашвили «Закалённая в боях дружба» (редактор А. Аробелидзе).

